



# ისტორიული მამკვიდრობება

სამათების კონფერენციალი ურნალი, 2014 წ. ოქტომბერი, №10 (51), ფასი 3 ლარი

## დავით საჩავალი

დავით საჩავალი, ევროპულ განათლებასთან და რესელ გაქანებასთან ერთად, თავის თავში ერთიანება ძველი ერთვალი კაზის ყველა მოსახლე თვისებას, მზად იყო, ხილება ერთობლი გულებით გადასახით მოსახის თავში მოსახის მიზანისა სამოგლოსა და ტაჯების კაზობრივისათვის... 9



## საიდუმლო, როგორც რჯახი<sup>13</sup> თითქმის საკუთარი არ ამხედვა



«ოდითგან ჩვენ ჩასელი კარცესი ელტვოდა უცხო ქვეყნებს და ყველაზე ეთებ მეოღოდ უნ, კავკასია, იღეალების ჯანი გმისავდა»

არა აატიქა  
ცერები ესენინი

25


## ეკანასკნელი გასტროლები ცოხები

28

«ნარმდგანი მცველობისას იცითლა გამოირთო და საეჭალი სათეატროს უკუკა გამგებელი. ვედავდი, როგორ უგანყინევდათ თვალები ჩვენ გეოგრაფის და ეს თვალები თითქოს უკა გატებდა მენების თეატრის ნაევარად ჩაგდებას და გამოიწვევდა. საოზრება ხდებოდა»...

## გრიგოლ აჩაშიძე — 100

«ეს მინდა ტყეალის ჩრდილები დამარცა, ტყეალის ყვავილის თეთრი სედარა...» 37



ალექსადრე  
4 გიორგის ქა  
ბაგრატიონ-  
იშვილის დეკი

საქათვალოს  
გელგული  
6 უვალებან  
სასაჩველი  
სტეარი იყო

ე. ჯაველიძე:  
საჯარო  
ცერიტი

15 ჟაზონ  
ირაკლი  
ლარიავალი

45 ქველი  
თბილისის  
ურთა საქარ-  
თვალოგი  
მარიამ ებრევარებ  
სევადასევა  
ერვანდის  
მხატვართა  
გამოქვეყნება



ରମ୍ପାଳ ଶବ୍ଦାଲ୍ଲିଙ୍ଗେ — “କେବେଳୁ ତଥିଲ୍ଲିବିଲ୍ ଶୁଣାଯାଇ”

— ଡା. ଅନୁମତି

# სარჩვი

სახელობადი ქართველები

<b>■ ალექსანდრა გიორგის ძე პავლესტიორე-იმერეთისევი (1797-1862)</b>	<b>4</b>
ზრაბგენერალი	
<b>■ საქართველოს ეკლესიურ უცემები სასახლი სტეფანი იური</b>	<b>6</b>
მამალიშვილი	
<b>■ დავით სარაჯიშვილი</b>	<b>9</b>
უკალაღო ევეფანი	
<b>■ სიძუძლო, როგორსაც რკასი თითქმის საკუთარი არ ახდება</b>	<b>13</b>
ჩვენი ფოსტა	
<b>■ ეძინებარ ჯავალიშვილი: საჯარო ცერიტო</b>	
ბატონ ირაკლი ლარიშვილი	
<b>■ ეძინებარ ჯავალიშვილი: საჯარო ცერიტო</b>	<b>15</b>
მეგობრობა გზად და სიცად	
<b>■ სარგებ ესენიე: შეოვენება ასა ბევრი</b>	
და იორდად ქალება იგვისათად გაცემისა	
<b>■ სიტორის ფურცელი</b>	<b>25</b>
<b>■ უკანასკელი გასტროლები სრუები</b>	<b>28</b>
ზოგონალიშვილი	
<b>■ დაუვიცყარი გაცვალები</b>	<b>31</b>
იგავისა	
<b>■ გრიგორ აბაშიშვილი – 100. „ეს მიღეა ტყემლის ჩრდილები დამარცვა, ტყემლის უვავისის თათრი სედარა...“</b>	<b>37</b>
ეთობრაზიული მასალები	
<b>■ ქოჭელეთი</b>	<b>39</b>
«დათი ქველი დიღებისა»	
<b>■ «გატონის ზონის ისტორიისათვის</b>	<b>41</b>
ხელოვება	
<b>■ ქველი თბილისის ყოფა საქართველოში მშომავა სსვადასსეა ეროვნების მხატვართა გამოქვეყნები</b>	<b>45</b>

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი  
„ისტორიული მემკვიდრეობა“

UDC (უაკ) 050 (479.22)

0-892

სარედაქციო კოლეგია  
პასუხისმგებელი რედაქტორი დარეპან ანდრიაძე  
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95



# კლექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმპერატორი (1797-1862)

თავადი ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმპერეტინსკი დიმიტრი გიორგის ძის უფროსი ძმა იყო. ორივე ძმა ათლეტური აღნაგობისა და ლამაზი სახისანი იყვნენ.

ალექსანდრე გიორგის ძე ბატონიშვილ კონსტანტინე დავითის ძეს ჰერცოგ ტანადობითა და სახით. ნიკოლოზ იმპერეტინსკის გადმოცემით, ალექსანდრესა და დიმიტრის რომ ჩაეცვათ სამხედრო ფორმა და შერეულიყვნენ ხალხში, გარევნობით ყველა ადვილად მიხვდებოდა, რომ ისინი ბაგრატიონები იყვნენ. ალექსანდრე პატა კორპუსში იზრდებოდა, საიდანაც კორნეტად გადაიყვანეს ულანთა ლეიბ-გვარდიულ პოლკში. ძმასავით მასაც კარგი მომავალი ჰქონდა. მან თავისი სამსახურით მალე მიიძყრო უფროსების ყურადღება, დაიმსახურა ხელმწიფე-იმპერატორის ნდობა და წყალობა. სამხედრო სამსახურში მის მიერ განვლილი გზა ჯერჯერობით დადგენილი არაა, თუმცა ცნობილია, რომ 1840-იანი წლების დასაწყისში იგი გენერალ-ადიუტანტი გახდა. სამხედრო სამსახურში იგი ბევრჯერ დაანინაურეს. დივიზიის მეთაური გახდა, მაგრამ გენერალ-ადიუტანტის წოდება შერჩა ბოლომდე.



ალექსანდრე ძალიან კეთილი ადამიანი იყო. მის ხელმძღვანელობაში მყოფ სამხედრო ნაწილების ოფიცერებსა და მებრძოლებს მეტად უყვარდათ თავიანთი მეთაური. ალექსანდრე ბაგრატიონ-იმპერეტინსკი ძალიან ფიცხიც იყო, მაგრამ მალე ავინყდებოდა გულის მოსვლა და გაბრაზება.

ერთხელ, ხელმწიფე-იმპერატორის ამალაში ყოფნის დროს, სამსახურებრივი საქმისათვის გაგზავნეს მეზობელი გუბერნიის ქალაქში გუბერნატორთან. ალექსანდრეს ეჩქარებოდა და მეტესაც აჩქარებდა, უნდოდა, დროზე მისულიყო დანიშნულ ადგილას. ნახევარი ვერსი იყო დარჩენილი ქალაქამდე, რომ მოულოდნელად მათ საბარგულმა გადაულობა გზა. მებარგულები უკაინელები იყვნენ. ალექსანდრეს მეტემ იმდენი უყვირა და ემუდარა მებარგულებს, რომ სხა ჩაეხლიჩა. მებარგულები, პირიქით, ბრალს სდებდნენ მეტეს და უყვიროდნენ: შენ საით ბრუნდები, ვერ ხედავ, რომ ჩვენც იქით მივდივართ? ისინი იცინოდნენ და გზიდან გადასვლას არ აპირებდნენ. საბარგულის მიზეზით მთელი გზა შეიკრა. ქართველ გენერალს ეჩქარებოდა და მეტეს უბრძანა, როგორმე ასცილებოდა საბარგულს.

გაბრაზებულმა მეტლემ მებარგულებს უყვირა: რას შევრებით, რას ჩადიხართ, ნახევრად შეშლილებო, იცით, ვინ მიმყავს? ჩემი ბატონი ნარჩინებული გენერალია, იგი ამალაშია (Он в свите). სამწუხაროდ, „სვიტა“ უკრაინულ ენაზე მამაკაცის უბრალო გლეხურ გრძელეკალთებიან ზედა სამოსს ნიშნავს, ამიტომაც მებარგულებმა ხარხარი დაიწყეს და მეტლეს მიაძახეს: „ჩვენთან ყველა „სვიტაშიაო“.

ალექსანდრე სასტიკად აღენთო, კარეტიდან თავი გამოჰყო და გალანძლა თავხედი მებარგულები, რადგან „ის მიდიოდა სამსახურებრივი საქმისათვის თვით ხელმწიფე იმპერატორის — ნიკოლოზ პავლეს ძის ბრძანებით“. ახალგაზრდებმა გაოგნებული ქართველი გენერლის სიტყვები არაფრად ჩაგდეს და მიაძახეს: „ჩვენ თვითონ თვედორე მიხეილის ძის კონტორის მსახურები ვართო“. მებარგული ახალგაზრდები ჯიუტობნენ, არ იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე და არც აპირებდნენ საბარგულის გვერდზე გადაყენებას, რათა გენერლის კარეტისათვის გზა მიეცათ. საბედნიეროდ, მეტლემ მოახერხა საბარგულისათვის გვერდის აქცევა და იქაურობას მალე გაშორდნენ. ქალაქში მისვლისათანავე ალექსანდრე გიორგის ძე

ბაგრატიონ-იმპერეტინსკი გუბერნატორს ეახლა. სამსახურებრივი საქმის დაწყებამდე მომხდარი ამბავი მოახსენა და სოხოვა დამნაშავეთა დასჯა. გუბერნატორმა ბრძანება გასცა, სასწრაფოდ მოენახათ დამნაშავენი და სასტიკად დაესაჯათ. ძებნა დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე მოიყვანეს მებარგულე ახალგაზრდები და დაამწყვდიეს სასჯელის დადებამდე.

ქართველ გენერალს, როგორც ყოველთვის, იმჯერადაც მალე გადაუარა სიბრაზემ და იკითხა — „სად არიან ახლა დამნაშავენი?“. როცა შეიტყო, რომ ისინი დამწყვდებოდები ჰყავდათ და სასჯელს ელოდნენ, თვითონვე სოხოვა გუბერნატორს მათი განთავისუფლება. ალექსანდრე ბაგრატიონ-იმპერეტინსკის თხოვნით ორივე დამნაშავე იმავე დღეს გაათავისუფლეს. ალექსანდრეს, როგორც უკვე აღინიშნა, დიდი დამსახურება და ავტორიტეტი ჰქონდა როგორც თავის ხელმძღვანელობაში მყოფ სამხედრო ნაწილისა თუ დივიზიის მთელი შემადგენლობის წინაშე, ასევე ზემდგომი უფროსების წინაშეც. იმპერატორი პირადად იცნობდა და მაღალ შეფასებას აძლევდა მის ერთგულსა და თავდადებულ სამსახურს. ალექსანდრე, მართლაც,

არაჩვეულებრივი ერთგულებითა და სამაგალითო მონძომებით ემსახურებოდა იმპერიის ინტერესებს, მაგრამ არც თავისი ქართველობა ავინყდებოდა, უყვარდა თავისი სამშობლოც და გვარიც.

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი 1840-იანი წლების დასაწყისიდან იცნობდა ორივე ძმას. უყვარდა კიდეც ალექსანდრე და დიმიტრი, ქება-დიდებასაც ასხამდა ორივეს დამსახურებას, მაგრამ ალექსანდრეს ნათესაური ერთგულებითა და სიყვარულით არ იყო კმაყოფილი. ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკი წერდა თავის მოგონებებში: „მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე გიორგის ძეს ხშირად უყვარდა ფრაზები: „ჩვენი გვარი, ჩვენი ქალაქი, ჩვენი სისხლი“, საქმით სულ სხვანაირად იქცეოდა“. ნიკოლოზ ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ სიკეთილამდე ვერ დაივინყა ალექსანდრეს მიერ ერთხელ მისდამი გამოჩენილი შემთხვევითი უყურადღებოდა. როცა ახალგაზრდა ნიკოლოზი პაჟთა კორპუსში იმყოფებოდა, ალექსანდრე უკვე გენერალი იყო. ქართველ გენერალს ერთხელ მოუსურვებია იმავე პაჟთა კორპუსში მყოფი თავისი მეგობრის — გენერალ ზასის შვილების ნახვა. ალექსანდრეს უნახავს გენერალ ზასის შვილები, ხოლო იქვე მყოფი თავისი ნათესავის — ნიკოლოზის — ნახვა დავიწყებია. ეს ამბავი ძალიან განუცდია პატარა ნიკოლოზს და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაწერილ თავის მოგონებებში ჩაუწერია გულისტყავილით: „მახსოვს, ალექსანდრე გიორგის ძე ერთხელ პაჟთა კორპუსში მოვიდა. მოითხოვა, გამოეძახათ მისი ამხანაგის — გენერალ ზასის შვილები, ჩემი ნახვა კი არ მოისურვა. ჩემმა პაჟელმა ამხანაგებმა მითხრეს, — „ბიძაშენი მოსაცდელ ოთახშია, წადი იმასთან“. მე ჩავედი მეკარის ითახში, შევიხედე კარის მინიდან და გარკვევით დავინახე, რომ ბიძაშემი ელაპარაკებოდა ზასებს. მე შევეკითხე ამხანაგებს, ხომ არ უკითხავს ჩემ შესახებ რაიმე ბიძაშემს? მიპასუხეს, რომ არა, შენ შესახებ არაფერი უკითხავს. „აპა, თუ ის მე არაფრად მაგდებს, მეც მას არაფ-

რად ჩავაგდებ — გავიფიქრე გულში, შემოვბრუნდი და წავედი“. 20 წლის შემდეგ მოუგონებია ნიკოლოზის ეს უსიამოვნო ამბავი ალექსანდრესთვის. ალექსანდრე გახევდა, ხელები გაშალა და ისე დაიბნა, რომ მხოლოდ წაიბუტებუტა: „ო, ძმაო, ხანგრძლივად გცოდნია შენ დამახსოვრება“. ამ მოგონების შემდეგ, ალარ ივინყებდა ალექსანდრე მომხდარ ამბავს და ნიკოლოზთან შეხვედრისას ყოველთვის იმეორებდა: „ტფუ, როგორი მეხსიერება გქონია!“ ამ ორ ბაგრატიონ-იმერეტინსკს შორის მომდევნო წლებში უფრო ახლო ნათესაური ურთიერთობა დამყარდა. ნიკოლოზი ხშირად ნახულობდა უკვე სიბერებში შესულ ქართველ გენერალს.

ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი იმპერატორის დიდი ნდობითა და წყალობით სარგებლობდა, ხელმიფის ამალაშიც მსახურობდა. იგი ცხენოსანთა დივიზიის მეთაური იყო და ამ თანამდებობაზე ბევრგან გენერალ-ლეიტენანტის ჩინით იყო. ალექსანდრემ გენერალ-ადიუტანტის ჩინით დატოვა სამხედრო სამსახური. 1850-იანი წლების ბოლოს მას ავადმყოფობა დასჩემდა. მალე, მაღალი წნევის გამო დამბლა განუვითარდა. პარალიზებული მოხუცი ალექსანდრე სიკეთილის წინ კვლავ მოინახულა ნიკოლოზმა, დაამშვიდა ავადმყოფი, რომ პარალიზებული ავადმყოფები კვლავ დიდ ხანს ცოცხლობენ. გაიხსენა თავისი მამის — კონსტანტინეს ავადმყოფობა, რომ ისიც ასევე იყო დააგადებული და მაინც დიდხანს იცოცხლაო. ალექსანდრე ყურადღებით უსმენდა, ბოლოს ნაღვლიანად გააქნია თავი და მოულოდნელად მიმართა ნიკოლოზს: „შენ, ნიკოლოზ, დაივინყე, გეთაყვა, პატარა ზასების შესახებ!“ ამ საუბრის შემდეგ ალექსანდრეს დიდხანს ალარ უცოცხლია. იგი გარდაიცვალა 1862 წელს. მას ცოლი არ ჰყოლია და, რაღაც თქმა უნდა, შთამომაცლობა არ დაუტოვებია.

ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი დაკრძალეს ალექსანდრე ნეველის ლავრაში, ლაზარევის სასაფლაოზე, ძმის — დიმიტრის გვერდით. მის დაკრძალვას ესწრებოდა პეტერბურგის მონიავე საზო-

გადოება, ქალაქის მთელი გენერლობა და მთავრობის წარმომადგენლები. ალექსანდრე გიორგის ძე-საც ზუსტად ისეთივე ძეგლი დაუდგეს, როგორიც მისი ძმის — დიმიტრის საფლავზე დგას.

ძეგლის ზემო ძირითად ნაწილში, შევ გრანიტში, ამოკვეთილია ნაწერა:

Генерал-Адъютант

Генерал от Кавалерии князь

Алесяндр Георгиевич

Багратион-Имеретинский  
скончался 5-го февраля 1862 года  
на 66 году от рождения

ორივე ძმის — ალექსანდრესა და დიმიტრის — იმპერიის წინაშე დიდ დამსახურებასა და ავტორიტეტზე მეტყველებს ისიც, რომ ისინი დაიკრძალენ ალექსანდრე ნეველის ლავრაში, ლაზარევის სასაფლაოზე, იქ, სადაც რუსეთის საქვეყნოდ ცნობილი პირები იკრძალებოდნენ (ალექსანდრე ნეველის ლავრა რამდენიმე ახლომდებარე სასაფლაოსაგან შედგებოდა. მათ შორის ყველაზე ძნელად ხელმისაწვდომი ლაზარევის სასაფლაო ყოფილა, სადაც რუსეთის იმპერიის გამოჩენილი და ყოვლის შემძლებელი პირები იმარხებოდნენ. ლაზარევის სასაფლაოს ტერიტორია ძველად კერძო საკუთრებას წარმოადგენდა და პატრონი ძალიან ძვირად ჰყიდვა დასაკრძალავ ადგილებს. ამიტომ იყო, რომ გამოჩენილ პირებს ან თვითონ უნდა დარჩენოდათ დიდალი თანხა, ანდა მთავრობის ხარჯით უნდა მომხდარიყო ადგილის ყიდვაც და დაკრძალვაც. ალექსანდრე ნეველის ლავრაში სასაფლაო დაახლოებით 5000 კვ. მეტრს შეადგენს. ამ მცირე ფართობზე 1000-მდე პიროვნებაა დაკრძალული, რომელთაგან არ მოიძებნება არც ერთი, რომლის სახელიც მთელ იმპერიაში არ ყოფილია ცნობილი. გარდა მისა, ალექსანდრე და დიმიტრი ბაგრატიონ-იმერეტინსკების სხვადასხვა ფერისგან გემოვნებით შერწყმული გრანიტის ძეგლები იმდენად ძვირფასია და ლამაზად შესრულებული, რომ იმ ტერიტორიაზე არსებულ ყოვლის შემძლებელთა ძეგლებს შორის დღესაც პირველობას იმსახურებს.

## მისამართი გორგავალი

# საქართველოს გულგული ყველგან სასერვაცი სტეარი იყო

აკაკი წერეთელმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი ქუთაისში გაატარა. თბილისში მხოლოდ სტუმრად ჩამოდიოდა რამდენიმე დღით. თედო სახოკიას ეს წერილი ერთი ფრაგმენტია აკაკის ცხოვრებისა და იმ ხანისა, როცა საქართველოს ეს საამაყო პოეტი გამოჩნდა თბილისის ცისკიდურზე და მოგვიანებით პარიზსაც ეწვია.

## აკაკი თბილისში

რუსეთიდან უმაღლეს სწავლა-დამთავრებული თითო-ოროლა ქართველი, რომელიც ჩამოდი-ოდნენ თბილისსა თუ ქუთაისში, ყველანი ცდილობდნენ, როგორ-მე სახელმწიფო სამსახურში მო-კალათებულიყვნენ; ვერც კი ნარმოედგინათ, გარეშე სახელმ-წიფო სამსახურისა, თვისის ინი-ციატივით ცხოვრებაში ლელოს გატანა თუ შეიძლებოდა. უმე-ტესწილ „ჩინოვნიკობაში“ ეძიებ-დნენ ხსნას, „ჩინოვნიკობა“ გაე-ხადათ იდეალად.

გამონაკლისს შეადგენდა აკაკი, ეს ყველაფრით ნებიერი ბუნები-სა და ბედისა: ნიჭით, არაჩვეუ-ლებრივი სილამაზის გარეგნო-ბით, მოსწრებული სიტყვა-პასუ-ხით, დაუშრეტელი მახვილგონი-ერებით.


თავისუფლების მეხოტბის, და-მოუკიდებლობის მოყვარის ბუნე-ბა ოღონდაც რომ არ ეგუებოდა ერთ ადგილას განსაზღვრულ სა-ათებში ჯდომას, ვისსამე უფრო-სობას, ვისსამე ბრძანებას, რაც ხვედრი იყო მაშინდელი ჩინოვნი-კობისა. მართლაცდა, აკაკი ერ-თადერთი ქართველი იყო, რო-მელსაც ჩინოვნიკობა და საზო-გადოდ რამე „სამსახური“ არ გა-მოუცდია, თუ არ ჩავთვლით ას-ეთ თავისმოსაბეზრებელ სამსა-ხურად ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარედ ყოფნას, ისიც ძალიან მოკლე ხნით.

აკაკი ყველასათვის ძვირფასი და სანატრელი სტუმარი იყო. პი-რველი ოჯახი, სადაც აკაკიმ ხან-გრძლივი ბინა დაიდო, იყო ლიზა

(ელისაბედ) ჭავჭავაძე-მარჯანიშ-ვილის, სოლომონ ჭავჭავაძის ქა-ლისა და მარჯანიშვილის ქვრივის ოჯახი, მაშინდელ გოლოვინის (ან რუსთაველის) პროსპექტზე, მი-რიმანვის სახლში, იქ, სადაც ახ-ლა რუსთაველის გამზირთან გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისია. დიასახლისს ექვსი შვილი ჰყავდა, ერთი მათგანი — კოტე შემდეგში გახდა ქართული სცენის სახელო-ვანი და უნიტიერესი რეჟისორი. ხოლო ქალთაგან ერთი, თამარ ვაჩინაძისა, ბოლდის დედათა მო-ნასტერს წინამდლოლობდა 1890 წლიდან.

ელისაბედ მარჯანიშვილის ოჯ-ახში აკაკის ერთი საუკეთესო ოთ-ახი საკუთრადა ჰერნდა სანოლად და სამუშაოდ. ეს ოთახი „ცისფერ ოთახად“ იწოდებოდა და შიგ მარ-თლა რომ ცისფერი იყო ყველაფე-რი: საბანი, ლამპის აბაური, მუ-თაქები, კედლებიც ცისფრად იყო გაჩითული; ალბათ, საერთო შეხა-მებისა და ჰარმონიისათვის, დია-სახლისის სამოსელშიც ცისფერი სჭარბობდა. ეტყობა, პოეტის სიმ-პათია ყოფილა ეს ფერი.

როცა ლექსი უნდოდა დაეწერა, აკაკი დაირის ხმას ააყოლებდა. დიასახლისი ხელში დაირას აიღ-ებდა და ნელა, სულ ნელა, სულ დაბალი ხმით დაინყებდა დაკვრ-ას. პოეტი კი ბოლთას სცემდა ოთ-ახში. მაგიდას რომ უნდა მისჯდო-მოდა და ხელში კალამი აეღო სა-ნერად, თითოთ ანიშნებდა დიასა-ხლისს, შექრდიონ და შეუდგებო-და ნერას. ასეთ პირობებში იწერე-ბოდა თურმე აკაკის იმდროინდე-ლი ლექსები. ეტყობოდა, მისი მშვენიერი დიასახლისი ერთგვარ როლს თამაშობდა მის პოეტურ



შთაგონებასა და შემოქმედებაში.

ზოგჯერ ეზოში მწვანეზე გაშ-ლიდნენ თურმე ხალიჩებს და ზედ მოკეცილი ატარებდნენ ტკბილ ბაასში დროს, აკაკის დაუსრულე-ბელი ობუნჯობის მსმენელნი.

ამ ოჯახშივე დადიოდნენ, რო-გორც მეინახენი, საქართველოში იმ დროს ახლად დაბრუნებული ივანე მაჩაბელი, ჩვენი ნიჭიერი არტისტი ვასო აბაშიძე. ხოლო ლიზა მარჯანიშვილის სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ: ალ. ყაზბეგი, სერგეი მესხი — რედაქ-ტორი „დროებისა“, მაკო საფა-როვისა, მერე ვასო აბაშიძის მე-ულე.

1882 წელს ლიზა მარჯანიშვი-ლის სალონში მოსიარულეთ მიე-მატა ახალკურს დამთავრებული ექიმი გრიგოლ ელიავა (შემდეგ-ში ბათუმში ცხოვრობდა, ცნობი-ლი იყო საზოგადო მოლვანეო-ბით), რომელმაც ცოლად შეირთო ლიზას უფროსი ქალი ნინო.

ერთ ზაფხულს აკაკი თავისმა დიასახლისმა წაიყვანა სიღნაღმში, სადაც მისი და ეკატერინე ამ ქა-ლაქში მდგარი ჯარის ნაწილის უფროსს — აბელიშვილსა ჰყავდა

ცოლად. მასპინძელი აბელიშვილი და მასთან ერთად მთელი სიღნალის საზოგადოება განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით დაუხვდნენ აკაკის. აუდებელი სუფრა სუფრას მოსდევდა თურმე ძვირფასი სტუმრის პატივსაცემად. აკაკის ენაწყლიანობისგან პირდაპირ აღტაცებული იყო საზოგადოება. დიდხანს ჰქონდათ სალაპარაკოდ აკაკის სტუმრობა... აკაკიც, თავის მხრივ, დიდხანს განსაკუთრებული სიამოვნებით იგონებდა თურმე სიღნალელთა გულითად დახვედრას და მათ პატივისცემას.

ამ წერილში მოთხოვილი ამბავი შეიცავს პერიოდს 1881-1885 წლებისას.

ჩვენს წერილს ისე ვერ დავამთავრებთ, თუ არ მოვიხსენიეთ ერთი მეტად საინტერესო ამბავიც. საქმე ის გახლავთ, რომ **ლიზა ჭავჭავაძე** (შემდეგში მარჯანიშვილისა) აკაკიზე გაცილებით ადრე ილია ჭავჭავაძესა სცნობია. მშვენიერი ლიზა ყოფილა პოეტის პირველი სიყვარულის საგანი და შერთვაც უნდოდა თურმე ცოლად; ლიზაც თანახმა ყოფილა ამისა, მაგრამ მამა ლიზასი, სოლომონ ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძის ახლო ნათესავი, ნინიაალმდევი გამხდარა ნათესავთა ქორწინებისა და ილიას მიერ ლიზას შერთვის საქმეც ჩაშლილა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მშვენიერი ლიზა და მისი და ეკატერინე, აბელიშვილის მეუღლე, სოლომონ ჭავჭავაძის მესამე, ჯვარდაუწერავ, ცოლისაგან შეძენილი უკანონო შვილები ყოფილან, მაგრამ სოლომონს ორივე კანონიერად უშვილებია და თავისი გვარიც მიუცია, ილია ჭავჭავაძის უსათაურო გულდამწვარი ლექსი „გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდს ბაღში“ დაწერილა იმ გრძნობის გავლენით, რომლითაც გამსჭვალული ყოფილა ჭაბუკი პოეტი (დაახლოებით 21 წლისა) ახალგაზრდა, იშვიათის სილამაზის თანამოგვარისადმი. უნდა ვიფიქროთ, 20 წლის განმავლობაში (ლექსი დაწერილია 1860 წ. პეტერბურგში) პირველი ახალგაზ-



რდული გრძნობა სიყვარულისა, ალბათ, საკმაოდ შენელდებოდა, ისიც ელისაბედის გათხოვების შემდეგ, და სავსებით გასაგებია, თუ ლიზა მარჯანიშვილის სალონში ილია ჭავჭავაძესაც რატომ ვერა ვხედავთ, ისიც აკაკის გვერდით!..

პირადად მე აკაკი პირველად დავინახე თბილისში 1885 წლის გაზაფხულზე. აკაკი ასე, 45 წლისა იქნებოდა, მე კი სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი. მაღალი იყო, წარმოსადეგი, მხარბეჭიანი. დიდი, ანერილი, ხუჭუჭა, შავი გრუზა თმა და მისი შესაფერი წვერ-ულვაში ლამაზ ჩარჩოდ შემოვეოდა მეტად მაღალ შუბლს, ვაჟებაცურ და ლვთაებრივ სახეს; ცოტათი კეხიან ცხვირს ზემოდან წამოსხდომოდა დიდრონი, ცოცხალი ნაპერწკლების მფრქვევი, შორსგამჭვრეტი, ჭკვიანი თვალები. ვინც ერთხელ დაინახავდა ამ სახეს, შეუძლებელი იყო დავინწინდა. კაცი იქნებოდა თუ ქალი, ვინც აკაკის ჩაუვლიდა, შეუძლებელი იყო, უკან არ მოეხედნა და თვალი არ გაეყოლებინა პოეტი-

სათვის, თითქოს სურს, სამარადისოდ ჩარჩეს ხსოვნაში მისი გარეგნობაო.

დღესაც, მრავალი წლის შემდეგაც, აკაკი — ეს განსახიერება არაჩვეულებრივი ფიზიკურისა და გონებრივის სიმშვენიერისა, თვალწინ მიდგას ცოცხლად და ვჭრეტ; თვალწინ მიდგას არა მარტო მისი სახე, არამედ თვით ის ადგილი, სადაც ისა ვნახე: მთავრობის ახალი სასახლის ბალის აღაყაფის პირდაპირ, ტროტუარზე. მეტად განუზომელი იყო შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე დასტოვა, რომ ისე ადვილად დამვიწყოდა!..

ამ წერილის მასალა მოგვცა, როგორც ახალგაზრდობის ტკბილი მოგონება, ჩვენი მწერლისა და ფრანგ კლასიკოსთა ქართულად სწორუპოვარი მთარგმნელის, განსვენებულის ივანე მაჭავაროიანის ქვრივმა, პატივცემულმა ნინო მაჭავარიანისამ — იმ დროს გიმაზიის მოწაფემ და ლიზა მარჯანიშვილის უფროსი ქალის, ნინოს, ამხანაგმა. ნინო მაჭავარიანისა (ქალიშვილობაში — სულხანიშვილი) თავის ამხანაგთან ხშირად დადიოდა და ხედავდა დასახელებულ მწერლებს და ჩვენს საზოგადო მოღვაწეთ, რომელთა შორის აკაკი განსაკუთრებით ირჩეოდა, როგორც ნიჭით, ისე გარეგნობით.

## აპაპი პარიზი 1909 წელს

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი საფრანგეთის დედაქალაქ პარიზს პირველად 1909 წელს ეწვია. იმ დროს პარიზში მოსწავლე ქართველობისთვის მთელი დღესასწაული იყო აკაკის ჩამოსვლა. მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ყველანი დატრიალდნენ და შეეცადნენ, შესაფერად დახვედროდნენ დიდებულ მგოსანს. მის პატივსაცემად მოაწყვეს ქართული სალამო. ამ სალამოზე მოწვეულ იქნენ ფრანგი მწერლები, რომელთაც უნდა გაეზიარებინათ მასპინძლების სიხარული, სახელმოვანი მგოსნის იქ ყოფნით გა-



მოწვეული. ფრანგები პირველად ხედავდნენ, როგორც ქართველ პოეტს, ისე ქართველობას ერთად თავმოყრილს, და მოხიბლულნი დარჩნენ, როგორც აკაკის არაჩვეულებრივი გარეგნობით, ისე ქართული დროსტარებისა და ცეკვის სიმშვენიერით. ეს შეხვედრა მათ დიდხანს ჰქონდათ ლაპარაკის საგნად და ტკბილად მოსაგონებლად. თვით მოღასანი უზომოდ იყონ ნასიამოვნები პარიზის ქართველობის მიერ მისდამი გულწრფელი პატივისცემით და იმასდა იძახდა თურმე: ასეთი პატივისცემის შემდეგ რომ მოვკვდე, არ დამენანება კიდეცაო.

პოეტს სურდა, პარიზიდან გადასულიყონ ევროპის სხვა ქალაქებშიაც, სადაც კი ქართველები ცხოვრობდნენ. იმ დროს მე ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ვიყავი, ციმბირიდან ლტოლვილი და აქაურობას თავშეფარებული. ჩემ გარდა ბრიუსელში კიდევ იყო ორი ქართველი: პალიკო ყიფიანი და ბარბარე ყიფიანისა; ხოლო ბელგიის სხვა ქალაქებში (ლიეჟი, უნგრეთი, მონსი) ათ კაცამდე იქნებოდნენ ქართველები. აკაკის პა-

რიზში ყოფნის ამბავი გვესმოდა და დიახაც გვშურდა, რომ არ შეგვეძლო, საყვარელი მგოსანი დაგვეპატიუნა და ერთ კვირას მაინც გაგვეჩერებინა ჩვენ შორის.

ამ წუხილში რო ვიყავით ბელგიის ქართველები, ისე ზედდატანებაზე თვითონ აკაკის წერილი მოვიდა ბრიუსელში ჩემს სახელზე: ბედნიერი ვარ, რომ პარიზი ვნახე და საფლავში არ ჩამყვა მისი ჯავრიო. აქაურმა ძართველობამ ძალიან მასიამოვნა, მინდა ევროპის სხვა ძალაქებიცა ვნახო, აი, თუნდა თქვენი ბრიუსელი, თქვენი ნახვაც გამეხარდებოდა, მაგრამ რა ვენა, უფულობა, როგორც ყოველთვის, ხელს მიგლის, ამიტომ მიიღეთ მორი სალაშიო (პოეტის ეს წერილი იმპერიალისტური ომის დროს ბრიუსელში დამრჩა ჩემს ბიბლიოთეკასთან ერთად, სადაც იმედი უნდა ვიქონიო, დღესაც უნდა ინახებოდეს).

ცხადი იყო, ჩვენ უნდა გვეზრუნა საგზაო ფულის გაგზავნისთვის და, ბრიუსელში რომ ჩამოგვივიდოდა, მის შესაფერ პატივისცე-

მისათვის დიდი მადლობა მოვახ-სენე წერილის მოწერისათვის და გამოვთქვი ბელგიაში მყოფი ქართველობის საერთო, გულწრფელი სინანული, რომ ჩვენმა ხელმოკლეობამ ნება არ მოგვცა, მისი აქ მოწვევით უსაზღვრო სიამოვნება განვეცადნა.

პარიზში აკაკის ყოფნასთან დაკავშირებით, უნდა მოვიხსენიოთ აკაკის გამოუქვეყნებელი ლექსი, მას რომ გამოეგზავნა პარიზიდან საჩხერეში ბეჭან წერეთლისათვის. ამ ლექსში აკაკისებური იუმორით აწერილია შთაბეჭდილებანი, რაც დაუტოვებია პოეტზე ამ მსოფლიო კულტურის ქალაქს, სახელდახელოდ ნანას ცხოვრებას მისას. ლექსში აკაკი გამოსთქვამს სინანულს, რომ პარიზი ვერ ინახულა ახალგაზრდამ, რათა სავსებით ეგმნა სიამენი ფრანგთა დედაქალაქისა. ახლა კი, — ამბობს პოეტი, — ჩემთვის, მოხუცებულისათვის, ყოველივე ეს მიუწვდომელი, შორით საყურებელიაო.

**თაღო სახოკია,**  
„ჩემი საუკუნის ადამიანები“,  
თბილისი, 1984



1912 წლის 17 ივლისს აკაკის გასაცილებლად რაზველთა მიერ გამართული ნადიოზი თბილისში, ვერაზე, ეძეოს პალმი

# დავით საჩაჯიშვილი

„დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო შვილთაგანი, უნაკლო და კეთილშობილი საზოგადო მოღვაწე, ძველ თბილისელ მოქალაქეთა შთამომავალი, ევროპული განათლების მქონე, პატრიარქალურ ქართულ წეს-ჩვეულებებზე აღზრდილი, გერმანიის უნივერსიტეტის ქიმიის დოქტორი, იყო პიროვნება, რომელიც სამრეწველო წარმოების წამოწყები და მხატვრული ლიტერატურის ფაქიზი დამფასებელი, პრაქტიკოსი საქმის კაცი და მოაზროვნე თეორეტიკოსი გახლდათ“, — წერდა გაზეთი „ზაკავკაზიე“.


## ქართული პონიაპის წარმოების სათავეებთან

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი დაიბადა 1848 წლის 28 ოქტომბერს, თბილისში. ის გახლდათ ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე. ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. სახელი გაითქვა, როგორც მრეწველმა და ქველმოქმედმა.

სწორედ დავით სარაჯიშვილი იდგა კონიაკის წარმოების სათავეებთან. საქართველოში კონიაკის დამზადება დაიწყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, მაგრამ ქართული პროდუქციის აბსოლუტური უმრავლესობა თავისი ხარისხით ვერ უწევდა კონკურენციას ცნობილ ფრანგულ კონიაკს – მათი წარმოება საქართველოშიც და რუსეთის იმპერიაშიც მაშინ კუსტარული იყო, ხოლო ტექნიკური ეფუძნებოდა არა ცოდნას, არამედ მითქმა-მოთქმას იმის შესახებ, თუ როგორ აკეთებენ კონიაკს ფრანგები. შესაძლებელია, რომ ქართული კონიაკის წარმოება კულავაც იმ დაბალ დონეზე დარჩენილიყო, ახალგაზრდა და მენარმეს, დავით სარაჯიშ-

ვილს რომ არ გასჩენოდა სურვილი, მოეწყო საკუთარი კონიაკის წარმოება მკაცრად მეცნიერულ საფუძველზე. სარაჯიშვილი თავისი ოცნების განხორციელებისაცენ მიისწრაფვოდა ჯიუტად, როგორც რომანტიკოსი და გააზრებულად, როგორც გონიერი ბიზნესმენი.

მან ბრწყინვალე განათლება მიიღო. 1867-1878 წლებში ქიმიას სწავლობდა გერმანიაში, მიიღო ქიმიის მეცნიერებათა დოქტორისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხები. 1878-1879 წლებში უკვე მომწიფებული მეცნიერი ინწყებს მეღვინეობის შესწავლას საფრანგეთში. სწორედ აქ შეძენილმა ცოდნამ მისცა მას საშუალება, დაეფუძნებინა სამრეწველო წიადაგზე კონიაკის წარმოების საქმე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დავითმა შეისწავლა და ქიმიური ანალიზი ჩაუტარა ყურძნის ტრადიციულ ჯიშებს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაარკვია, რომ ორგანოლებრივით და ქიმიური შემადგენლობით ისინი ძალიან უასლოვდებიან ფრანგულ ჯიშებს, რომლებისგანაც საფრანგეთში საკონიაკე სპირტს ამზადებენ, 1888 წელს სარაჯიშვილმა თბილისში



გახსნა პონიაპის პირველი ძარხანა, რომელიც მუშაობდა სამამულო ცენტრულის პაზაზე. იმავე ცელს მისივე ინიციატივით მცყობრში ჩადგენილი და მომდევ გამოიწვია 218-200 ბოთლი კონიაკი. 1889-1913 წლებში სარაჯიშვილის ფირმის კონიაკმა (განსაკუთრებით „ქველისაძველმა“) და ლიქიორმა რუსეთსა და საერთაშორისო დეგუსტაციებსა და გამოფენებზე მიიღო ოქროს (9), ვერცხლის (5) და ბრინჯაოს მედლები. სარაჯიშვილის ქარხნის ბაზაზე შეიქმნა თბილისის კონიაკის ქარხანა.

ამის შემდეგ ქარხნები ააგო ყიზლარში (1889), ერევანში (1894), კალარარში (კიშინოვის მახლობლად, 1895), ბაქოში (1896) და სხვაგან.

## უდიდესი ქველმოქმედი

დავით სარაჯიშვილმა სახელი გაითქვა არამხოლოდ როგორც მსხვილმა მეცნიერმა და მეწარ-

«რას მიქვია უშვილობა, განა ყველა  
გავშვი, მომავლის იხედად  
აღზრდილი, ქვეყნის საკათილდღეო  
განვითილი, ჩემი ჰვილი არ არის?!»



მემ, არამედ, როგორც ქველმოქმედმაც. მისი სახელი დაკავშირებულია „ქართველი გლეხობის აღმდგენელი კომიტეტის“, სამუსიკო სასწავლებლის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სხვა ეროვნული წამოწყებების ჩამოყალიბებასა და შექმნასთან.

გაზეთი „ზაკავკაზსკაია რეჩ“ წერდა: „მის სიცოცხლეში არ არსებობდა ხალხისთვის სასარგებლო საქმე, რომელშიც მონანილეობა არ მიეღოს. ძნელია ყველაფრის ჩამოთვლა.... მისი მატერიალური დახმარების წყალობით საქართველოში აშენდა მრავალი ეკლესია, მათ შორის, ცნობილი ქაშუეთის ტაძარი თბილის ცენტრში“. 1994 წელს ცნობილი ბიზნესმენის — ელგუჯა ბუბუტე-იშვილის ინიციატივით, დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის ნეშტი გადასვენებულ იქნა ამ ტაძრის სამლოცველოში (ეკვდერში). სარაჯიშვილს, რომელმაც შექმნა რუსეთის მრეწველობისთვის სრულიად ახალი დარგი, მშვენივრად ესმოდა განათლების მნიშვნელობა და მოსწავლეახალგაზრდობას მატერიალურ დახმარებას უნევდა. ყოველწლიურად დიდ თანხას აძლევდა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებს, აგრეთვე, კერძო პირებს, მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად. შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ რევოლუციამდელი უურნალისტების აზრს, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ დ. სარაჯიშვილი ევროპულ განათლებასთან და რუსულ გაქანებასთან ერთად, თავის

## ფრანგი მწერალი ბარონ და პატი სარაჯიშვილი



თავში აერთიანებდა ძველი ქართველი კაცის ყველა მოსაწონ თვისებას, მზად იყო წმინდა ქართული გულეკეთილობითა და საზოგადოებრივი საქმისათვის თავდადებით, მთელი თავისი სიმდიდრე შეენირა სამშობლოსა და ტანჯული კაცობრიობისთვის. ამიტომაც აფასებენ მას ასე საქართველოშიც და რუსეთშიც.

„დავით სარაჯიშვილის სახლი ნამდვილი სალონი იყო, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მანანა ორბელიანის სალონის გაგრძელებად,“ — ამბობდა ექვთიმე თაყაიშვილი. მის სახლს „სარაჯიშვილების ნომერს“ და „ევროპასაც“ ეძახდნენ. სახლის პირველ სართულზე განთავსებული იყო მაღაზიები, მეორეზე კი — საცხოვრებელი ბინები და სასტუმრო. ეს სახლი მაღალი გახდა არისტოკრატულ-ლიტერატურული სალონი, სადაც კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, სახელმწიფო უცხოეთიდან. სახ-

ლის სტუმრები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, ვალერიან გუნია, არტურ ლაისტი და სხვ. საუბრობდნენ, კამათობდნენ ქვეყნის საჭიროობოტო საკითხებზე. მას არ უყვარდა გრძელი ლაპარაკი, თავის აზრს ხატავდა მოკლედ, სხარტად, ერთი საგნიდან მეორეზე გადადიოდა, მეორედან მესამეზე, და რაღაც 5 წელის განმავლობაში იმდენ კითხვას აღძრავდა, იმდენ საგულისხმოს იტყოდა, თანამოსაუბრენი გაკვირვებული რჩებოდნენ.

ქვეყნისთვის ყველა მნიშვნელოვანი წამოწყებაში დავითს გვერდით ერთგული მეუღლე — ეკატერინე ფორაქიშვილი ედგა. სამნეუბაროდ, სიკეთით სავსე წყვილს შვილი არ ჰყავდა. „რას მიქვია უშვილობა, განა ყველა ბავშვი, მომავლის იმედად აღზრდილი, ქვეყნის საკეთილდღეოდ განვრთნილი, ჩემი შვილი არ არის?“ (დ. სარაჯიშვილი).

დ. სარაჯიშვილმა ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით დააარსა კომიტეტი, რომელსაც ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა ევალებოდა. დავითი მათ საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად სტიპენდიებს უნიშნავდა. დავითის სტიპენდიანთებს შორის ბევრი შემდგომში ცნობილი მოღვაწეა. კომპოზიტორები: ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი; მომღერლები:

**დ. სარაჯიშვილი, ევროპულ განათლებასთან და აუსულ გაქანებასთან ერთად, თავის თავში ართიანებდა ქველი ქართველი კაცის ყველა მოსაწონ თვისების გულერთილობითა და საზოგადოებრივი მთელი თავისი სემილი განათლებასთან და რუსულ გაქანებასთან ერთად, თავის**

ვალერიან ქაშაკაშვილი, ვანო სარაჯიშვილი; მხატვრები: გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, გრიგოლ მესხი; მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე; მეცნიერებიდა საზოგადო მოღვაწეები: სოლომონ ჩოლოვაშვილი, მოსე შალამბერიძე, სილოვან კაკაბაძე, ფილიპე გოგიჩაშვილი, არჩილ ქართველიშვილი, ნინო ციციშვილი, კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე. დავითი ფულად დახმარებას უწევდა ასევე უცხოეთში მყოფთ: აკაკი შანიძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს, გერონტი ქიქოძეს, თედო სახოვიას, ნოე უორდანიას და მრავალ სხვას, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. „გავლიან დღენი, თვენი, საუკუნენი და დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის სენებას ვერავინ ამოშლის, ვერავინ ამოფხიკავს, ... შთამომავლობას გადაეცემა მისი ხსოვნა. ვინაიდან მისგან დაზრდილსა და განათლებულის ქართველთა შვილებით და შვილიშვილებით იქნება საქართველო სავსე“ (ზაქარია ჭიჭინაძე).

დავითი 1911 წელს მიძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. მისმა ანდერძმა კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა საზოგადოება. ანდერძის თანახმად, მრავალმილიონიანი ქონების უდიდესი ნაწილი ქართველი ერის განვითარებას უნდა მოხმარებოდა.

„განსვენებულის საფლავი დიდუბის ეკლესიის ეზოში მუდამუამ სათაყვანებელი იქნება ქართველებისთვის“ (დეკანოზი 6.



თაღაკვაძე).

საქართველოში დატრიალებული მოვლენების გამო, სამწუხაროდ, არც ეს წინასწარმეტყველება ასრულდა. დავითის ნეშტმა სამჯერ შეიცვალა განსასვენებელი: 1938 წელს, ხელისუფლების დადგენილებით, პანთეონში „ბურუუსა“ ადგილი არ იყო, ის ჯერვაკის სასაფლაოს ხევში, შემდეგ კი, მისივე თითიდან მოხსნილი ბეჭდის წყალობით, ვაკის სასაფლაოზე დაასვენეს. 1995 წელს კი, მისი სახსრებით აშენებულ ქაშვეთის ეკლესიაში (ამ ფაქტის აღსანიშნავად ეკლესიაში შესასვლელ კარებზე დავითისა და მისი მეუღლის ინიციალებია ამოტვიფრული) გადაასვენეს.

### ანტონ ფილიპოვი, უურნალ „Российский Альманах Вин“-ის რედაქტორი:

„სარაჯიშვილის მსგავსი აღამიანები თავადვე ქანია თავის თავს და იმ დაზღვრის მიზანით თავადვე ადამიანი და მათ ამზადებდნენ მხოლოდ საქართველოში მოწეული ყურძნით. სარაჯიშვილმა შემოიღო კონიაკების კლასიფიკაცია, ფრანგული კონიაკების ანალოგით. მის კონიაკებს ერქვა — „OC“ — (ძალიან ძველი), „ფინმამპანი“, „რანშამპანი“. ფრანგული სახელების მიუხედავად, იყო ქართული კონიაკები — მათ ამზადებდნენ მხოლოდ საქართველოში მოწეული ყურძნით. სარაჯიშვილის ფირმის სხვა ქარხნებშიც იყენებდნენ ყურძნის მხოლოდ ადგილობრივ ჯიმებს.“

სარაჯიშვილის კონიაკები პოპულარული იყო რუსეთის იმპერიაშიც და საზღვარგარეთაც... 1913 წელს, უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ, მის ფირმას მიენიჭა წოდება „მისი საიმპერატორო უდიდესობის კარის მიმოფებელი“. რუსეთში პირველად სარაჯიშვილმა შემოიღო კონიაკების კლასიფიკაცია, ფრანგული კონიაკების ანალოგით. მის კონიაკებს ერქვა — „OC“ — (ძალიან ძველი), „ფინმამპანი“, „რანშამპანი“. ფრანგული სახელების მიუხედავად, იყო ქართული კონიაკები — მათ ამზადებდნენ მხოლოდ საქართველოში მოწეული ყურძნით. სარაჯიშვილის ფირმის სხვა ქარხნებშიც იყენებდნენ ყურძნის მხოლოდ ადგილობრივ ჯიმებს.“

როგორი შეხედულებაც არ უნდა გვქონდეს საბჭოთა კავშირის დროებაზე, თბილისის კონიაკის ქარხნისთვის ეს აყვავების პერიოდი იყო. მაგრამ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ სანარმოში, საბჭოთა დროსაც და დღესაც, მთლიანადაა შემონახული კონიაკის წარმოების ის ტექნოლოგია, რომელიც დანერგა სარაჯიშვილმა“.

### ანტონ ფილიპოვი,

ერალ „РОССИЙСКИЙ АЛЬМАНАХ ВИН“-ის რედაქტორი:

„სარაჯიშვილის მსგავსი აღამიანები თავადვე ქანია თავის თავს და იმ დაზღვრის მიზანით თავადვე ადამიანი და მათ ამზადებდნენ მხოლოდ საქართველოში მოწეული ყურძნით. სარაჯიშვილის ფირმის სხვა ქარხნებშიც იყენებდნენ ყურძნის მხოლოდ ადგილობრივ ჯიმებს.“

სორიად ასეთი აღამიანი იდგა კონიაკის ნარმოების სათავებთან ჩასათბობი.



## სტალინის მცირე დიპლომატიური გამარჯვება

სახელგანთქმული ქართული კონიაკების უმრავლესობა შექმნილი იყო მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში. „ვარციხე“ — 1954 წ., „თბილისი“ — 1958 წ., „გრემი“ — 1961 წელს და ა. შ. ბევრმა მათგანმა — „გრემმა“, „ვარციხემ“, „ენისელმა“ სახელწოდება მიიღეს იმ სოფლების მიხედვით, რომელთა შემოგარენშიცაა მოწეული საკონიაკე ყურძენი. თბილისის კონიაკის ქარხნის ყველაზე უფრო სახელგანთქმულმა კონიაკმა „ენისელმა“ სხვადასხვა დროს საერთაშორისო გამოფენებზე მიიღო 21 მედალი, რომელთაგან 14 ოქროა. ამ კონიაკის შექმნის ოფიციალურ თარიღად ითვლება 1946 წელი, მაგრამ ცნობილია, რომ 1945 წლის თებერვალში იალტის სამშვიდობო კონფერენციაზე ჩამოსული დიდი სამეულის ნევრები — სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი, — ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომელმაც იგი დააჭამიკეს. სამუშაო შეხვედრებს შორის გამართულ დეგუსტაციაზე ჩერჩილმა, რომელიც შესანიშავი მცოდნე იყო კონიაკისა, ჯერ ფრანგული კონიაკი გასინჯა და უკმაყოფილო დარჩა მისი გემოთი. „აი, ეს კი საუკეთესოა, ფრანგული, — ნამოიძახა ბრიტანეთის სახელმწიფოს მეთაურმა, როცა „ენისელი“ გასინჯა. „ფრანგული კი არა ქართულია, — გაუსწორა მას სტალინმა. მაშინ ჩერჩილმა ივარაუდა, — საქართველოში, ალბათ, ფრანგი სპეციალისტები მუშაობენ. ძლიერ გაუკვირდა, როცა უთხრეს, თბილისის კონიაკის ქარხანაში არც ერთი უცხოელი არ მუშაობს. სტალინი დიდად კმაყოფილი დარჩა ამ მცირე დიპლომატიური გამარჯვებით და გასცა განკარგულება, რომ დაეჯილდოებინათ „ენისელის“ ავტორი. ასე გახდა კონიაკის ქარხნის მთავარი ტექნოლოგი ვახტანგ ციციშვილი სტალინური პრემიის ლაურეატი.

### ი. გოგებაშვილი:

## თავისი ანდერძით სიკვდილი დათრგუნა და ბრტყინვალე შარავაცდები შეიმოსა

დავით სარაჯიშვილმა სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1910 წლის 3 ივნისს, დონის როსტოკში ნოტარიუსთან შეადგინა ანდერძი. ანდერძის თანახმად, ქონება (სამი მილიონი მანეთი) შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

1. 500 ათასი მანეთი — წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას;
2. 150 ათასი მანეთი — ქუთაისის თეატრის ასაშენებლად;
3. 200 ათასი მანეთი — ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას;
4. 25 ათასი მანეთი — ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას;
5. 50 ათასი მანეთი — თბილისში პოლიტექნიკურ ან სხვა უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად;
6. 30 ათასი მანეთი — ვლადიკავკავის (ორჯონიქიძე) ლარიბ მოსწავლეთათვის, სწავლის ქირის გადასახდელად (განურჩევლად ეროვნებისა);
7. 25 ათასი მანეთი — საქართველოს საეთნოგრაფო საზოგადებას წიგნების გამოსაცემად;
8. 100 ათასი მანეთი — თბილისის ქართულ დრამატულ საზოგადოებას;
9. 10 ათასი მანეთი — სამინათმოქმედო სახელოსნოს გამოსწავლებულ ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოებას;
10. 171 ათასი მანეთი — სარაჯიშვილის ფირმის მუშა-მოსამსახურებისათვის;
11. 5 ათასი მანეთი — ქართული ფილარმონიის საზოგადოებისათვის;
12. 20 ათასი მანეთი — ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებას — ქართული ახალი ორიგინალური ბელეტრისტული ნაწერებისათვის პრემიის დასანიშნად;
13. 50 ათასი მანეთი — ავლაბარში საპროფესიო სკოლის დასაარსებლად და შესანახად;
14. 10 ათასი მანეთი — მოსკოვის ქართულ საზოგადოებას;
15. 10 ათასი მანეთი — დიდუბის ტაძარს;
16. 5 ათასი მანეთი — რუსეთის მევენახეთა და მელვინეთა საზოგადოების სადგურს ოდესაში;
17. 200 ათასი მანეთი — ქირურგიული საავადმყოფოს ასაშენებლად თბილისში.



ს

# საიდუმლო, რომელსაც რჯახი თითქმის საუკუნე არ ამხელდა

ამთავითვე გეტყვით: ქალბატონ შუქურა თალაკვაძის ბებიის — ალექსანდრა ლუკაშვილის ოჯახის თვალწინ იზრდებოდა გორელი ბიჭი სოსო ჯუღაშვილი — მომავალი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, რომლის სახელის ხსენებაზე მსოფლიოს აზანზარებდა. ეს ერთი.

**მეორე:** ქალბატონ შუქურას მონათხრობი პირველად ქვეყნდება. თითქმის საუკუნეა, ოჯახის წევრებს არსად, არავისთან სიტყვა არ წამოსცდებიათ სოსო ჯუღაშვილის შესახებ. რატომ? ამაზე — ქვემოთ.

**და მესამე:** დაბეჯითებით ვთხოვ საქართველოს პრეზიდენტს — გიორგი მარგველაშვილს, ნუ დაკარგავს თავის ძვირფას დროს ამ პუბლიკაციის წასაკითხად, რადგან იგი (ეს წერილი) მისი „პრინციპის“ რადიკალურად სანინაალმდეგო მუხტის შემცველია.

**გაგაბასენებთ:** ლონდონში საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტში გამართულ პრესკონფერენციაზე მისთვის დასმული შეკითხვის პასუხად მან ცინიკური აპლომბით განაცხადა, რომ მზად არის, წავიდეს მოსკოვშიც და სხვა ნებისმიერ ქალაქში, სადაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხები განიხილება და არა, მაგალითად, სტალინის ბავშვობა.

ამ წერილში სწორედ სტალინის ბავშვობაზეა ლაპარაკი და ნუ მოცდება! დაზოგოს დრო, რომელიც ასე სჭირდება პრემიერ-მინისტრთან ურთიერთობის გასარკვევად და დასალაგებლად.

დრო, რომელიც უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე გაცვეთილი დებულების აჩემება — დრო ფულია.

**დავიბანოთ ხელი, ჩამოვიწოდოთ ეს ფასდადებული ჭუჭყი და ვთქვათ სათქმელი.**

ქალბატონ შუქურას ბაბუა ნიკიტა თალაკვაძე მღვდელი იყო — გამორჩეული სასულიერო და საზოგადო მოღვაწე.

— ნიკიტა თალაკვაძის მამა —

მალაქია მედავითნე იყო, — **ყვება ქალბატონი შუქურა**, — იმ დროს არსებული წესის თანახმად, სასულიერო პირების შვილებს უფასოდ სწავლის უფლება ეძლეოდათ. მალაქიას შვილებმა ისარგებლეს ამ უფლებით და ყველამ უმაღლესი განათლება მიიღო. უფროსი ძმა პოლიტიკას გაჰყვა, რევოლუციონერი გახდა. მონაწილეობდა რსდმპ დამფუძნებელი ყრილობის (მინსკი, 1898 წლის 1-3 მარტი) მუშაობაში. სამწუხაროდ, ავად გახდა — ფილტვების ანთება დაემართა და გზაში გარდაიცვალა.

ნიკიტა თალაკვაძემ ცოლად ითხოვა რუსეთის ჯარის გორში განლაგებული პოლკის კაპელანის — ზაქარია ლუკაშვილის ქალიშვილი — ალექსანდრა ლუკაშვილი.

კაპელანის ოჯახი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. ლუკაშვილებთან ხშირად დადიოდა ეკატერინე გელაძე, ბესარიონ ჯუღალების ცოლი, სოსოს დედა, და საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა.

— ბებია ალექსანდრას შინაურები საშას ვეძახდით, — განაგრძობს ქალბატონი შუქურა, — ზოგჯერ იგი იხსენებდა კეკეს შვილთან — სოსო ჯუღაშვილთან ურთიერთობის დეტალებს, გვიყვებოდა და ყოველთვის ერთი და იმავე თხოვნით ამთავრებდა: არავის უთხრათ, ხმა არ ამოიღოთ, იმის ყურამდე არ მიაღწიოს.

**ეშინოდა.**

**არცთუ უსაფუძვლოდ:** საბჭოთა წყობილების პერიოდში ქვეყნის ხელმძღვანელების (უპირველესად, — სტალინის) პირადი



ალექსანდრა ლუკაშვილი

ცხოვრების დეტალების აფიშირება „რეკომენდებული არ იყო“.

არც არავინ რისკავდა ამ „რეკომენდაციის“ იგნორირებას.

ზაქარია ლუკაშვილის ოჯახი კაცთმოყვარეობით, ადამიანებისადმი თბილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. უყვარდათ კეკეც და იგიც ასეთივე სიყვარულითა და პატივისცემით უპასუხებდა, კეთილი გულის ადამიანი იყო.

მის ვაჟს, სოსოს, განსხვავებული ხასიათი ჰქონდა. საშა ბებია იგონებდა, როგორ მოდიოდა სოსო მათთან, მაგრამ კარის ზღურბლს არასოდეს გადმოაბიჯებდა. რამდენჯერ უთხოვიათ, შეინ შემოდიო, უარით უპასუხებდა და დედას ყოველთვის ქუჩაში ელოდებოდა.

სადილად მიიპატიჟებდნენ, საუზმეზე... არა და არაო.

ტყიურის ხასიათი ჰქონდა, — ამბობდა ბებია, — ალბათ, თავმოყვარეობა არ აძლევდა უფლებას, ვინმესგან დავალებული ყოფილიყო, — უმატებს ქალბატონი შუქურა, — ამიტომაც მის ტოლ



ბავშვებს „ვოლკი“ შეურქმევიათ, მგელი.

ბებიაჩემის ძმები სოსოს ტოლები იყვნენ, ერთი-ორი წლის სხვაობით. თავიანთ ტანსაცმელს კეკეს ხელით ხშირად უგზავნიდნენ სოსოს, მაგრამ, ის ტანსაცმელი სოსოს რომ მდესმე ჩაეცვას, არავის უნახავს. ზამთარ-ზაფხულ ერთადერთ გაქათქათებულ-გაუთოვებულ თეთრ ხალათში დადიოდა.

სოსო, ძირითადად, თავისი წრის ბიჭებთან ურთიერთობდა, მაგრამ არც ლუკაშვილების ოჯახის ბავშვებთან კონტაქტზე ამბობდა უარს — ქუჩის პირას ჩამომსხდარ თანატოლებთანაც დამჯდარა და წაკითხული წიგნებით მიღებულ შთაბეჭდილებაზეც ულაპარაკია.

ქამარში გარჩობილი წიგნებით დადიოდა ყოველთვის. კითხულობდა ყველაფერს, რაც ხელში ჩაუვარდებოდა. საოცარი მეხსიერებით ყოფილა გამორჩეული.

ერთხელ ბავშვების წრეში ისე-თი რამ უთქვამს, რომელიც ბებიაჩემს მთელი ცხოვრების მანძილზე დახსომებია და ჩვენ, შვილიშვილებს, ჩურჩულით გვიყვებოდა.

და ქალბატონმა შუქურამ გაიმეორა ბებიის მიერ ჩურჩულით მონაყოლი ამბავი, რომელიც, მას შემდეგ განვლილი ისტორიით თუ შევაფასებთ, საკრალური მნიშვნელით დამუხტული აღმოჩნდება, წინასწარმეტყველების ელფერდაკრული.

— ერთხელ, ყვებოდა საშა ბებია, ბავშვები ჩვეულებისამებრ სახლის წინ რომ ვისხედით, მოვიდა და სოსო. თავიდან ჩვენს საუბარ-

ში არ ჩარეულა, მაგრამ შემდეგ, როცა წაკითხულ ლიტერატურაზე დავიწყეთ დაპარაკი, სიტყვა აიღო და თქვა:

— ნაპოლეონი ხომ გაგიგიათ?

ჩვენ ვთქვით, რომ, რა თქმა უნდა, გაგვიგია და წაგვიკითხავს კიდევ.

მაშინ ნეკა თითო ასწია და გვითხრა:

— ხომ ხედავთ ამ ნეკა თითს? ვხედავდით.

გავა დრო და ჩემთან შედარებით ნაპოლეონ ბონაპარტი ამ ნეკის ხელაც არ გამოჩნდება.

გასცინებიათ მაშინ ბავშვებს, ხუმრობად ჩაუთვლიათ.

**ადვილი ასახსნელია ყმანვილ სოსო ჯულაშვილის ეს განცხადება.**

ჯერ ერთი, მაშინ (და შემდეგაც — საუკუნეთა გასაყარზე განსაკუთრებით) განათლებული ახალგაზრდობა ისე იყო ლიტერატურით გატაცებული, რომ თავიანთ მომავალს ისტორიული პიროვნებების თუ მხატვრული ნაწარმოებების გმირთა ცხოვრების ანალიზურს წარმოიდგენდნენ.

რევოლუციური რომანტიზმით იყო დამუხტული ის თაობა.

არც სოსო ჯულაშვილი, არც მისი თანატოლები გამონაკლისები არ იყვნენ.

ყმანვილ სოსოს, უნდა ვიფიქროთ, ნაპოლეონის იმპერატორბა, ქვეყნის მეუფება კი არ ხიბლავდა, არამედ ის გმირული საწყისი, თავდადება, ის დაუოკებელი მისწრაფება, ცოდნა და გაქანება, რომლის წყალობითაც შეძლო კორსიკელმა ახალგაზრ-

და კაცმა საფრანგეთის ისტორიის მდინარების ახალი კალაპოტით წარმართვა, ახალ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნა და განმტკიცება.

წლების შემდეგ უთულდ ასეთი გატაცების, ასეთი რევოლუციური რომანტიზმის გავლენით შეარჩია ახალგაზრდა რევოლუციონერმა სოსო ჯულაშვილმა თავისი პარტიული ფსევდონიმი — კობა. ეს ცნობილი და მისი ბიოგრაფიების მიერ კარგად ახსნილი ფაქტია. შეარჩია და შერჩა, რის დადასტურებასაც იპოვით თუნდაც მემუარულ ლიტერატურაში: კლიმენტ ვოროშილოვი სწორედ ამ მეტსახელით მიმართავდა უკვე ხალხის ბელადად აღიარებულ, პარტიის გენერალურ მდივანს, უზარმაზარი იმპერიის მმართველს იოსებ სტალინს — კობა!

პოლიტბიუროს წევრებიდან სხვა ვერავინ ბედავდა სტალინთან ასე „გაშინაურებას“.

ქალბატონ შუქურას ერთ-ერთ გაზეთში რამდენიმე წლის წინათ ამოუკითხავს, რომ ალექსი კოსიგინთან, შემდგომში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან, რომელიც სტალინის დაწინაურებული იყო, „ვერტუშეით“ — სამთავრობო ხაზით — დაურეკავს იოსებ ბესარიონის ძეს.

კოსიგინი ადგილზე არ ყოფილა, ყურმილი მის თანაშემწეს აუღია და წესისამებრ უპასუხია, რომ უსმენს თანაშემწე ლუკაშვილი. პაუზა.

შემდეგ კი სტალინის დამახასიათებელი ყრუ ხმით შეკითხვა:

— ლუკაშვილი... იზ გორი?

კოსიგინის თანაშემწეს დაუდასტურებია — დიახ, გორიდან ვარო.

კვლავ პაუზა... ბელადს, ეტყობა, თავისი სიყმანვილის წლებმა გაურბინა თვალწინ და — ტელეფონის წყვეტილი ზუმერი — სტალინმა ყურმილი დაკიდა.

ის ლუკაშვილი — ერეკლე, საშა ბებიის ერთ-ერთი ძმის ვაჟი იყოო, — დაასრულა საუბარი ქალბატონმა შუქურა თალაკვაძემ.

**არგაზ სახეალიერი**

## ეაშინ ცეკა თითო ასინა და გვითხრა:

— ხომ ცეზარ ამ ცეკა თითს?

ვცეზარით.

გავა დრო და ჩათან უადარებით ცეკლეორ გონაკარტი ამ ცეკის ცელა არ გამოჩენება.

გასცინებით ეაშინ გავავებს, ცემარგად ჩაუთვლიათ.

ელიტბარ ჯაველიძე

# საჯარო ნარილი ბატონი ირაკლი დარბაზილი

ბატონი ირაკლი, დარწმუნებული ვარ, რომ სხვათაგან განსხვავებით თქვენ გიყვართ საქართველო და ქართველი ხალხი და მათი სიკეთე გწადიათ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აღქმით, თქვენ ბრძანდებით ის პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც არ გსურთ, საკუთარ ბედნიერებასა და კარიერას გადააყოლოთ მრავალ ქარცეცხლში გამოვლილი, მაგრამ დღემდე ვინაობაშერჩენილი ჩვენი ერი.... დღეს, როდესაც გლობალისტურ-მასონური, ანტიეროვნული წარლენა წალევით ემუქრება და დედამიწის პირისგან აღვას უპირებს ჩვენ მცირერიცხოვან, მაგრამ უძველესი ცივილიზაციის მქონე და, ვიტყოდი, ამ ცივილიზაციის შემქმნელ ერს, გადავწყვიტე, როგორც ასაკოვანმა და მრავალჭირნახულმა კაცმა, ჩემეული თვალთახედვა მოგახსენოთ ამ პრობლემის თაობაზე. იმედია, ამას კადნიერებაში არ ჩამომართმევთ და ვინძლო ზოგიერთი თვალსაზრისი გაიზიაროთ კიდეც....

(დასასრული. დასაცხისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №9)

## ღ) ქულტურისა და განათლების თავსატესი

დღეს აშშ საქართველოში „მშვიდობის გზით“ რომ გაპატონებულა და, ილიას სიტყვებს გავიმეორებ, „მიუღია ყოველგვარი აღმატებული უფლებრივი და ეკონომიკური უპირატესობა აღმოსაფხვრელად ადგილობრივი კულტურისა, ჭუუა-გონების მოღვაწეობისა, ეკონომიკურის და პოლიტიკურის დამოუკიდებლობისა“, ვარებ, უდავო ჭეშმარიტებაა და, ვინც ამას ვერ აღიქვამს, ან უმეცარი ბრიყვია, ან ბრმა და ყრუა, ანდა გაქნილი და გაიძვერა თალღითია!

ამერიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ადგილობრივი კულტურის აღმოფხვრა და მის ნაცვლად მულტიკულტურის დამკვიდრებაა, რადგანაც ამ გზით, სულ მცირე, ქვეყნის სუვერენიტეტი „ითქვითება და იკარგება სხვადასხვაგვარ მულტიკულტურულ ასოციაციებში (ა. კოლიევი), ესეც არაა საიდუმლო!

ამის თაობაზე არა ერთ პოლიტოლოგს, სოციოლოგსა თუ კულ-

ტურის მკვლევარს გამოუთქამს თავისი თვალთახედვა. რადგანაც მავანი ლიბერასტ-კოსმოპოლიტი ილიას ყავლგასულად მიიჩნევს, მიზანშეწონილად მიგვაჩინა, აქვე მოვიხმოთ შეხედულებანი იმ მოაზროვნეთა, რომელთაც ეს მართლაც ყავლგასული ვერ დაინუნებენ: აი, რას ვაუნყებს ა. ნაზარჩუკი თავის ერთობ საყურადღებო ნაშრომში: „ახალი საკომუნიკაციო შესაძლებლობანი (ტელევიზია, კომპიუტერიზაცია და მისით — ე. ჯ.), რომლებიც გამოყენებულია პირადი სტრატეგიულ-ეგოისტური მიზნებისთვის, გლობალიზაციის ლიდერებს ანიჭებს არა მხოლოდ კერძო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძლევამოსილებას, არამედ ავინორებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ანგრევს კულტურებსა და საცხოვრისებს, რაც საფუძველია ლოკალური საზოგადოების თანაარსებობისა. გლობალური კულტურის ჩარჩოებში — კულტურის დომინირების საკითხი — ეს არის კულტურისა და თანასაზოგადოების გადარჩენის პრობლემა“.

ურიგო არ იქნება, აქვე მოვიხმოთ ცნობილი ამერიკელი „ეკო-



ნომიკური მკვლელის“ ჯონ პერკინსის თვალთახედვა სკოლებსა და მასობრივ ინფორმაციაზე „კორპორატორატის“ ზემოქმედების განუსაზღვრელი ძალის შესახებ. მკვლევარის აზრით, ამ ძალამ მიიყვანა ამერიკა იმ ზღვრამდე, როცა „მსოფლიო ამერიკული კულტურა“, „გადაიქცა ურჩეულ-მანქანად, რომელიც განუნყვეტლივ შთანთქავს სულ უფრო მეტ საწვავს... ბოლოს და ბოლოს, ის ანადგურებს ყოველივეს და ყველაფერს, რაც მას გარს არტყია და, როცა სხვა არჩევანი აღარ დარჩება, დაიწყებს თავისივე თავის შთანთქმას.“

გავიხსენოთ ცნობილი ამერიკელი ეკონომისტისა და პოლიტოლოგის — ლინდონ ლარუშის მრავლისმეტყველი აზრი: „ყველაზე მეტად ოლიგარქებს აშინებთ ნაციონალური (ეროვნული — ე. ჯ.) სახელმწიფოები. ისინი მიეჩვინენ, ისე მოეცენენ ხალხს, როგორც უტვინო პირუტყვებს, რომლებიც მორჩილად მიბოდიალბენ იქით, საითაც მიერკებიან. მაგრამ XX საუკუნეში ამ „პირუტყვებმა“, ჯერ ერთი, დაიწყეს ჯეროვანი განათლების მიღება



და, მეორეც, თანამედროვე მეცნიერების მიღწევების წყალბაზით შესამჩნევად იმატა მათმა შობადობამ. ამან კი საფრთხე შეუქმნა ოლიგარქთა ძალაუფლებას. თუკი ხალხს განათლებას მივცემთ, მათი მონებად ქცევა ხომ შეუძლებელი გახდება. მეტიც, მმართველი სისტემის მექანიზმი კარგად გარკვეული, ისინი მოინდომებენ ოლიგარქიული ხელისუფლების განადგურებას. ამიტომაც მსოფლიო ოლიგარქიას, რომელიც მართავს ქვეყნიერებას, ერთი მხრივ, არ ხელს არ აძლევს მოსახლეობის ზრდა, რადგანაც, რაც უფრო მეტი განათლებული ადამიანი იქნება, მით უფრო გაძნელდება მათი მართვა; მეორე მხრივ კი, იგონებს ხალხის დადაუნების სხვადასხვა მეთოდს. აი, ყველან რატომ ინერგება დაბალი, მდარე ხარისხის მასობრივი კულტურა. აი, მთელ მსოფლიოში რატომ წევენ დაბალი განათლების დონეს და ატარებენ შეზღუდული მშობიარობის პოლიტიკას“.

ვგონებ, ნათლად მხილველთათვის ყველაფერი ცხადია. **აშშ-ის საგარეო პოლიტიკა, რომელიც იღვნის მსოფლიო იმპერიის შექმნისა და ქვეყნიერების ერთპიროვნული მართვისათვის, ესწრაფის, სხვადასხვა ქვეჩყანაზე მოიპოვოს პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა, რომლის მეშვეობითაც ის ანადგურებს ადგილობრივ ტრადიციულ კულტურას და მის ნაცვლად ნერგავს მდაბალ, უსახო და „უკულტურო კულტურას“, რომელიც ადამიანთა მოდგმის სულიერ ამაღლებასა და სრულყოფას კი არ უწყობს ხელს, არამედ მათ დაჩრდუნებასა და გაცხოველებას. იმავდროულად, ეპრძვის ადამიანთა განათლების დონის ამაღლებას და შეგნებულად ამდაბლებს მას, რადგანაც განათლებული და კულტურული ადამიანები ძნელად სამართავი არიან. მათ კი სურთ, მომავალი მსოფლიოს მოსახლეობა პირუტყვად აქციონ, რათა გარე, საითაც მოესურვებათ, იძით გაიღევნონ და გარეკონ. ეს არის საჭა-**

## ნისტური გზა მსოფლიო საზოგადოების გაცხოველებისა, რომელსაც საპოლოოდ მოჰყვება დაღამინაზე არსებული თითოების ზველა ერის და, უაირველესად კი, საიდუმლო მისი აღმსრულებელი ერთველი ერის ვინაობისა და თავისთავადობის მოსახლეობა და ცარხობა!

ამიტომაც ე. წ. დასავლეთისა და „დემოკრატიის სიმბოლოდ“ აღიარებული ამერიკის ბრძანის მცემლებს შევახსენებთ მაცხოვრის შევინებას: „ერთალენით ცრუნინასწარმეტყველთაგან, რომელი მოვიდოდიან თქეუნდა სამოსლითა ცხოვართაითა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ“ (მათე, 7, 15).

ჰოდა, თუ დროულად შევიცნობთ, რომ ამერიკა ყალბი დემოკრატიის ცრუნინასწარმეტყველია, ცხვრის ქურქში გახვეული მგელია, რომელიც მოდის ჩვენი ეკონომიკის, პოლიტიკური თავისუფლების, დამოუკიდებელი აზროვნების, კულტურის, განათლების, ზნეობის, რწმენის, ტრადიციების და, რაც მთავარია, ერის ვინაობის დასახრავად და მოსახლებლად, ხომ კარგი და გაგიხარია! თუ არადა, ისე გაქრება ჩვენი ერი, რომ ვერც კი მოვასწრებთ თვალის დახამხამებას.

პირველავავე სიტყვას რომ მოვიდეთ, **ახალი მსოფლიოს არქიტექტორები კონფლიქტების წარმოქმნის ერთ-ერთ არსებით მიზეზად მიიჩნევენ კულტურულ განსხვავებულობას.** აი, რას გაუწყებს ამერიკელი ეთნოგრაფი კ. იანგი: „ფართომასშტაბიანი ძალადობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბოლო ათწლეულების პოლიტიკურ საზოგადოებაში, უმეტეს შემთხვევაში ნარმოიქმნებოდა კულტურული და არა კლასობრივი განსხვავებულობის მიზეზით“. დაახლოებით ამასვე გვაუწყებს იტალიელი სოციოლოგი ა. გრამიში, რომლის აზრითაც „კულტურული ჰეგემონია“, რომლის საფუძველსაც ქმნის არა ეკონომიკური კატეგორიები, არამედ ეთიკურ-პოლიტიკური პრინცი-

პები — საზოგადოების კულტურული თვალსაწიერი, ადამიანთა თვალთახედვას რომ შეიცავს თავად ადამიანზე, სამყაროზე, ტრადიციებზე, მორალსა და რწმენაზე, სრულად განსაზღვრავს სახელმწიფოს სტაბილურობას თუ რღვევას“. ასე რომ, ამა თუ იმ სახელმწიფოზე ჰეგემონიის დამყარება და იქ სრული სიმშვიდის დასადგურება სავსებით არ საჭიროებს იარაღის გამოყენებას, არამედ მოითხოვს „კულტურული ჰეგემონიის“ მოპოვებას და, შესაბამისად, ტრადიციულ კულტურების, რომელთაც აქვთ ავტონომია და ცნობიერების საზღვრები, განადგურებას და მის ნაცვლად „მულტიკულტურის“, ანუ ისეთი დაბალი დონის კულტურის გაბატონებას, ეროვნულ ტრადიციებს მთლიანად რომ არის მოწყვეტილი და ჰეროში მოფარფატე ფერად ბუმტს ჰგავს.

სამწუხაროდ, უკვე კარგა ხანია, ქართული ტელეარხების მეშვეობით ამგვარმა „უკულტურო კულტურის“ ნიაღვარმა ლამის წალეკა საქართველო: მომღერალთა ხელოვნურად გამართული კონკურსები, რომლებიც, როგორც წესი, უცხოური მუსიკალური ნაწარმოებებით არის დაპროგრამებული, ნიჭიერ ქართველ ბავშვებს იძულებულს ხდის, სიყალისა და ბრმა მიმბაძველობის მაგალითი გვიჩვენონ, რაც შემსრულებლის ღვთითბოძებულ ნიჭიერებას აჩანაგებს და მომავალი თაობის გემოვნებას რყვნის. მეტიც, მათი ცნობიერებისა და ესთეტიკური ალლოს გადაგვარებას უწყობს ხელს; ასევე თანამედროვე ევროპული ცეკვების ფალსიფიკაციაც, რომელმიც ჩართულია ზოგიერთი „ცნობილი“ ხანდაზმული პირვენებაც, გულისამრევია იმ ადამიანთათვის, რომელთაც მეტნაკლებად ესმით ქართული ცეკვის ტრადიციები. გონებანაგვრილი მავანი „ესთეტი“ გაგვიგულისდება და შემოგვიტევს, რომ ეს ყოველივე საინტერესოა და მრავალი მაყურებელიც ჰყავს. ჩვენც სწორედ მაყურებლის (უმეტესად ახალგაზრდობის) სიმრავ-



ლე გვალელვებს, რაც, ერთი მხრივ, თანამედროვე საზოგადოების უმდაბლეს გემოვნებაზე მეტყველებს, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ახალგაზრდათა ნათელ პერსპექტივას ეჭვის ქვეშ აყენებს. **მიზანიც „მულტიკულტურის“ გავრცელებისა სწორებ ის არის, რომ ახალგაზრდა თაობა „საჭარისაფური მუსიკითა და ვაკებანალიტი“ გარევნა, ესთეტიკური აღმა და უჩრდებონ, ტრადიციების, ზეობისა და რწმენის გრძნობა ჩაუხსონ.** ამ მხრივ ყურადღისადებია ის კომედიმოუები, რომლებიც უკილო იუმორით გამოირჩევა, მაგრამ სამაგიეროდ ბილნისტყვაობას ნერგავს მოზარდებში. მთავარი მაინც ის არის, რომ ეს ფარსები ყოველგვარ ეროვნულ ღირებულებას გესლავს და აბუჩად იგდებს. არ უნდა გამოგვეპაროს, აგრეთვე, ამ ტელეგადმოცემასთა ანტურაჟი თუ დეკორატიული ელემენტები, რომლებიც სარკასტულ ფონს ქმნის და მათ ბნელ ზრახვებს წარმოაჩენს. გავიხსენოთ თუნდაც „ტაბულას“ ერთ-ერთი წამყვანის, რომელიც დიდი სიბრძნით არ გამოირჩევა, ზურგს უკან ჩამოშვებული ფარდა, სადაც ქართვლის დედა მწვადნამოცმული შამფურებითა და ხინკლით სავსე თაბაზით არის გამოხატული. ეს „ტაბულა“ თავის დამფუძნებლებიანად — ცხრა ღობეზე გადამხტარ წამყვანიანად — რას იმსახურებს, კარგა ხანია, ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილია; სიცრუისა და გარყვნილების წუმპე რომ არის, ესც არ უნდა იყოს სადავო. ისიც ცხადია, რომ ჭურადამჯდარი ადამიანი მისკენ არც კი იხედება. მაგრამ ამჯერად მე სხვა რამ მაინტრესებს: **რატომ დუმს საქართველოს ხელისუფლება? რასა იქმს ქართველი საზოგადოება?!** რატომ ითმენს ამგვარ უზნეობას და ქართველთა სიმშინდის სიმბოლოს — ქართვლის დედის შეურაცხყოფას?! რატომ არ დაახევს თავზე ამ ტილოს გებელს-ბოკერიას და ლაგამაწყვეტილ დულცინეას?!

**რატომ ხმას არ იღებს კულტურის სამინისტრო, რატომ არ გამოთქვამს აღმფოთებას ამგვარი ამორალობისა და ეროვნული ღირსების მასხრად აგდების გამო?!** თუმცადა ეს უკანასკნელი იმგვარი მნერლების ნანარმოებების თარგმანებითა და უცხოეთში მათი პოპულარიზაციით არის დაკავებული, ისე უხვად აფინანსებს, ვიტყოდი, ამ „უბორნიის მნერალთა“ შემოქმედებას, რომ არ შეიძლება, ნორმალურ ადამიანს არ აღეძრას კითხვა: ეს ჩვენი „კულტურის თავგაცემი“ მჭიდრო სულიერ თუ ფიზიკურ კავშირს ხომ არ ამყარებენ „ტაბულას“ სულის ჩამდგმელებთან და, რაც მთავარია, ხელს ხომ არ უწყობენ ჩვენში „მულტიკულტურის“ დაფუძნებას და მდიდარი ქართული კულტურის ამოძირებასა და გადათელვას?!

სანუხარი ის არის, რომ ამ დამანგრეველ პროცესს, „დემოკრატიის ვარდებითა და პაროვნებით შემკულს“, საზოგადოების დიდი, „ტვინგამორეცხილი“ წანილი ჯეროვნად ვერ აღიქვამს, ვერ გაუცნობიერებია, თუ რა უბედურება მოაქვს ჩვენი ერისათვის და მას უმნიშვნელო წვრილმანად მიიჩნევს. არადა, ამ „წვრილმანში“ მარხია ძალის თავი!!! ამიტომაც სიფხიზლე ისე გვმართებს, როგორც არასდროს, რათა დავიცვათ ჩვენი კულტურადა გადავარჩინოთ ქართველი ერის ვინაობა, გადავარჩინოთ ჩვენთვის ღვთითბოძებული მაღალი ნიჭიერება და შინაგანი ნატიფი სულიერება, ასე უხვად რომ იღვრება ქართულ ხალხურ ლექსში, სიმღერასა თუ ცეკვაში.

დღეს გეგმიურად და მიზანმიმართულად გაღატაკებულ და ათასგვარი ინფორმაციით გონებადამძიმებულ და ტვინგამორეცხილ ადამიანს, რომელსაც მხოლოდ ერთი საზრუნავილა აქვს, როგორმე დააპუროს ოჯახი — გამოკვებოს შვილები, აღარ შესწევს უნარი, გააცნობიეროს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერის ყოფნა-არყოფნისათვის ამ პრობლემას. სამწუხაროდ, იგი

ნაკლებად ადარდებს, არ ვიცი უცოდინობის, არ ვიცი — გულმავიწყობისა თუ თვითგადარჩენის ინსტინქტისა გამო სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქართველი ინტელიგენციასაც.

მეტიც, ის არ ანალელებს არც კულტურის სამინისტროს, რომლის უპირველესი მოვალეობაა ქართული კულტურის დაცვა და გადარჩენა. ანუხებს კი არა, შეიძლება ითქვას, მთელი თავისი აპარატით, მ. სააკაშვილის ზეობის დროს რომ შეიქმნა და დღესაც აგრძელებს მძლავრობას, უკვე შეფარულად ცდილობს, ხელი შეუწყოს ქართული კულტურის განადგურებას და მის ნაცვლად ამერიკული თუ დასავლური ე. ნ. კულტურის დამკვიდრებას. ამ ინდივიდებს, რომლებიც მოწყვეტილი არიან ეროვნულ ფესვებს, არად მიაჩნიათ ეროვნულ სულიერებით ნასაზრდოები ქართული ხელოვნება, არად დაგიდევენ იმას, რომ ქართულ მრავალხმიან სიმღერას „სულიერ ღირებულებათა საოცრებებს“ შორის საპატიო ადგილი მიაკუთვნეს, ხოლო „ჩაკულულ“ კოსმოსში გუგუნებს და სირინოზთა გალობრი ეხმანება. ავინყდებათ, რომ ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მოცეკვავებმა ქალური სინარჩინოთა და ვაჟკაცური როკვით მთელი მსოფლიო განაცვიფრებს. არც ის ახსოვთ, რომ ქართველმა ზეპირსიტყვიერებამ უამრავი გამაოგნებელი პოეტურ შედევრი დაგვიტოვა. მეტიც, არაფრად მიაჩნიათ ქართული ხუროთმოძღვრების ხელთუქმნელი ძეგლები: ოშკი, ხახული, შატბერდი, ნიკონინდა, ბოლნისის სიონი, სვეტიცხოველი, ჯვარი, ბეთანია და მისთ. არ სურთ, არ უნდათ არაფრარი, რაც ქართველის ნიჭით არის ქმნილი, ქართული სულით გაბრნებული და ცხვირაცხელინი, ტუჩებაპაბზუებულნი ყოველივე ამას ზემოდან დაპურებენ: რა არის, ჩვენ ევროპელები ვართ და ევროპულ კულტურას უნდა ვეზიაროთ. ამიტომაც ჩამოლალეს ინგლისელი ყავლებასული მოცეკვავენი, მოიხმეს ხმაჩახლეჩილი



კუტუნიოს დარი მომლერლები, ათასი ჯურის მუსიკალური ჯგუფები და შეგნებულად შლიან და ურევენ ღვთითბოძებულ, ეროვნული სულით გაჯერებულ ქართულ ჰარმონიას.

რას იზამ, ყველას თავისი გზა-კვალი და ესთეტიკური აღქმა აქვს. როგორც ამბობენ, გემოვნებაზე არ დავობენ, თუმცა ამ თვალთახედვითაც თუ შევხედავთ პრობლემას, ის, რასაც ისინი თავს ახვევენ ქართველ ხალხს, ესთეტიკური სიღრმისეული აღქმის-გან ძალიან შორს დგას. XX საუკუნის უდიდესი მოაზროვნისა და მწერლის — ჰერმან ჰესეს სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, თანამედროვე მუსიკა კლასიკურთან შედარებით „ღორობა“ არის და სხვა არაფერი. ხოლო ღორების ღრუტუნის ემოციური აღქმა ის-ევ მხოლოდ ღორს შეუძლია და ადამიანს არ ეგების.

საერთოდ, მუსიკის ზემოქმედების ძალა ადამიანის ფსიქიკაზე საყოველთაოდ აღიარებულია, ამიტომაც ის ჯერ კიდევ უძველეს ხანაში გამიჯნული იყო ორად: სულიერების დამამშვიდებელ და სულის ამნენავ მიმართულებებად. პირველი იყო ღვთისადმი მიძღვნილი გალობანი (სერაფიმები და ქერუბიმები, დავითის ქარი...), მეორე კი ვნებით და ქვენა გრძნობათა აღმძრელი სატანისტური, ეშმაკისეული ქუხილი (იუბალას ინსტრუმენტული მუსიკა).

ახლა, თუ თანამედროვე მუსიკალურ რეალობას გავიხსენებთ, ერთი უდავო ჭეშმარიტება თვალში გვეცემა: ახალგაზრდებში ერთობ პოპულარულია როკ-მუსიკა, განსაკუთრებით კი მისი სახეობა „მძიმე და შავი, მომაკვდინებელი მეტალი“, რომელშიც წამყვანი ადგილი უჭირავს ბასგიტარას, განსაკუთრებული სიძლიერით რომ მოქმედებს ადამიანის ტვინის ცენტრზე და აღიზიანებს სექსისა და ძალადობის მგრძნობიარე სფეროებს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თავად სოლისტებიც და მაყურებელნიც ტრანსმისი და ჟამში ცვივიან... სოლისტები



სცენაზე იხდიან შარვლებს, შარდს აპურებენ მაყურებელს, უჩვენებენ უკანალებს და ამას ყოველივეს აღტყინებაში მოჰყავს მაყურებელი... იმავდროულად სატანისტური სიმბოლოებით „გამშვენიერებულია“ სასცენო დეკორაცია: ბოლი, ელვა, ცეცხლი, ხუთქიმიანი ვარსკვლავი, მართლმადიდებლური ჯვრის თავდაყირა გამოსახულება და მისთ. მოკლედ, ეს არის ლაგამანყვეტილი სატანისტური აღლუმი, რომელსაც, ხილული ეფექტების გარდა, თან ახლავს „შებრუნებული ულერადობა“, რაც ხორციელდება მაღალი სიხშირის ხმოვანებით და მაგიური სიტყვებით (იან ვან ჰელზინგი) და ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს: ახალგაზრდის სულის გადაგვარებას და მისი ცნობიერების დამონებას. ამას ემატება ექსტაზური საშუალებანი, რომელიც უზომო რაოდენობით ვრცელდება აღტყინებულ საზოგადოებაში და ვიღებთ სრულ ვაკენალიას, ყოველგვარი სირცხვილის გრძნობის დაკარგვას და აღვირასნილ სექსუალურ გარყვნილებას. არსებითი მაინც ის არის, რომ დისკოორეგიბის გამართვისას მოცეკვავენი მთლიანად კარგავენ თავის თავზე კონტროლს და რას სჩადიან, თავადაც არ უწყიან. **საბოლოო ჯამში, ვიღებთ „დაპარგულ თაობას“, რომელსაც აღარ აინტერესებს არც მამული, არც მოყვასი, არც მეგობარი,**

**არც ნათესავი და არც რა ადამიანური თვისება,** მას რომ ცხოველის ბუნაგიდან ამოიყვანს და ისევ ადამიანის სახეს დაუბრუნებს.

სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი, ის „კაზანტიპი“, რომელიც განხორციელდა საქართველოში ვიღაც ჩიტირეკია სიგუას ინიციატივით, სწორედაც რომ ზემორე ხსენებული „სატანისტური ვაკხანალია“ და მისი მიზანი არა ფინანსური მოგება, არამედ ქართველი ახალგაზრდობის გარყვნა და გადაჯვარება მხოლოდ.

ასე რომ, ზემონამოჭრილი საუბარი ესთეტიკური გემოვნების თაობაზე ამჯერად უადგილოა და ყურით მოთრეული. ჭეშმარიტება კი ის არის, რომ საქართველოში მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად მკვიდრდება მულტიკულტურა, რომელსაც ასაზრდოებს ოდენ ერთი მიზანი: ქართველი ახალგაზრდების გათახსირება და გადაჯიშება!..

საქართველოს კულტურის სამინისტროს, როგორც ქართული სულიერების დამცველის, უპირველეს საზრუნავად უნდა იქცეს ქართული ტრადიციების, უძველესი ცივილიზაციის დაცვა და გადარჩენა. თუ ის ამას არ იქმს, მაშინ უნდა ვალიაროთ, რომ არა ქართული კულტურის ქომაგ და დამცველ ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე, არამედ იმ კოლაბორაციონისტ ძალასთან, რომელიც ჩვენი არაკეთილმოსურნე „მე-

გობრების“ ნებას ასრულებს და ანგრევს ეროვნული სულიერებისა და უძველესი ცივილიზაციის საგანძურს. ხოლო მისი წარმომადგენელი ყვავ-ყორნებს მოგვაგონებენ, ჩხავილით რომ აყრუებენ საოცარ მისტიკურ, იდუმალ სამყაროს.

როცა ამ წერილს ვამთავრებდი, შეიცვალა კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობა, მაგრამ ამ ცვლილებებს, ვფიქრობ, სასურველი შედეგი არ მოჰყება: ჯერ ერთი, მოადგილის პოსტს ინარჩუნებს გუშინ „ნაციონალების“ თავგადაკლული ქომაგი, დღეს „ქართული ოცნების“ პანგებზე მოჭიკვიკე მ. ბერიკაშვილი, რომელმაც თავისი მოღვაწეობით უკვე დაამტკიცა, რომ მას ქართული კულტურის პრობლემები დიდად არ ანალიზებს და ოდენ თავისი კეთილდღეობით არის დაკავებული. იმავდროულად მინისტრის პოსტი დატოვა პატიოსანმა, მრავალჭირნახულმა ადამიანმა, რომელსაც ქართულად უძგერდა გული. მისი ადგილი კი დაიკავა გიორგაძემ. ამ კაცის ნიჭა და შესაძლებლობებს ვერ შევაფასებ, რადგანაც მისი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ცოტა რამ მსმენია. მაგრამ ის კი გამიგია, რომ სააკაშვილის ერთგული ყმა იყო, რაც თავისი თავად ჩემთვის მრავლის მთემელია. როგორც ამბობენ, გამოცდილი შოუმენი და გამობრძმედილი მენეჯერიც არის, რომელსაც ძალუძს, უცხოეთიდან მოიწვიოს ცნობილი მუსიკოსები და მომღერლები და სარფი-

ანი, მომგებიანი კონცერტები გამართოს. ეს თავისი თავად ცუდი როდია, მაგრამ ჩვენ დღეს შოუმენები კი არ გვჭირდება, არამედ იმგვარი კაცი, რომელიც მოზღვავებული უხამსი კულტურის ნიაღვარს წინ აღუდება, ჩვენს კულტურას, ცივილიზაციას წალეკვისგან იხსნის. ყველა ქართველმა უნდა გავაცნობიეროთ, რომ „კულტურის შტურმი“, რომელსაც აშშ ახორციელებს ჩვენს სამშობლოში, უფრო რესპიციური და ძნელად დასამარცხებელია, ვიდრე რუსული ტანკები თუ ხიმტები. ამიტომაც ვიმეორებ, რომ მთელი ჩვენი ძალის ხმევა და ენერგია, თუ კიდევ შეგვრჩენია, უნდა შევალიოთ ქართული კულტურის, ზნეობის, რწმენისა და ტრადიციების გადარჩენას. და, თუ ჩვენ ეს ვერ შევძლით, მაშინ იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ ქართველი ერის არსებობა უკანასკნელ დღეებს ითვლის.

## განათლება და გეცნიერება

ეროვნების თვითობის და ვინაობის გადარჩენისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლებასა და მეცნიერებას, რომლებიც ასევე ძლიერი შტურმისა და თავდასხმის ობიექტებად იქცა. 1990-იან წლებში ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდგომ პირველი, რასაც დაუნდობლად შეუტიეს, ეს იყო განათლების სფერო, რომელსაც საბოლოოდ მეცნიერების დამცრობა

და აბუჩად აგდება მოჰყვა.

კვლავაც უნდა გავიხსენოთ დიდი ილია, რომლის აზრითაც, „ჩვენ ძვალ-რბილში გამჯდარი“ უმეცრება შეუბრალებლად ღრღნის ერის სიცოცხლესაც და ჩვენსასაც და ამ სენს მხოლოდ დაამარცხებს განათლების კენლოვა. მეტიც, ილია ჩვენი ცხოვრების წინამდღვრად მიიჩნევს ცოდნას, რომელიც ხმალზე და ზარბაზანზედაც უფრო რეალური ფრის. ამიტომაც ის ფიქრობს, რომ „ლონიერია და ჭირომძლეველია ის ადამიანი, ვისაც ჭუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია“. სწორედ ამის გამო ის ცოდნას ისეთ „მადლიან სიმდიდრედ“ მიიჩნევს, რომ, „რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს უნილადო, შენ არა დაგავლდებარა, თუ არ მოგემატება“. ცოდნა მას ანთებულ სანთელს აგონებდა მრავალმხრივ, მხოლოდ ერთ რამები — არა: სანთელი, როცა იქნება, ჩაინვება და გაერება, ხოლო „ერთხელ ანთებული ცოდნა კი — თავის დღეში არა: მამიდან შვილზე გადადის, შვილიდან შვილის-შვილზე“. და ასე და ამგვარად თაობიდან თაობას გადაეცემა.

მოკლედ, ჩვენი სულიერი მამის აზრით, ცოდნაა ის ძალა, რომელიც ერის უკვდავებას ასაზრდოებს, ცოდნის ჩირალდნის ჩაქრობა კი ერის სიკვდილს იწვევს, ამიტომაც პრძანებდა იგი: „განათლების საქმეში განათლების მეტი არავინ რა შეურიოს და წმიდა რამ ამღვრიოს“.

სამწუხაროდ, ეს ჭეშმარიტება ჩვენზე უკეთ გააცნობიერეს ახალი მსოფლიოს მშენებელმა სოციალურმა ინჟინერებმა. ისინი უმაღვერეს არსებულ ვითარებაში, მოინდომეს ჩვენი ცოდნის ჩირალდნის ჩაქრობა და განათლების საქმეში თავისი ბინძური პოლიტიკა ჩართეს, რომელსაც ჩვენი უნიგური, ბენელი ხელისუფლება წინ კი არ აღუდგა, არამედ, პირიქით, რაც ძალი ჰქონდა, შეუბერა და შეუბერა, რომ როგორმე ცოდნის სანთელი ჩაქრო და გაექრო... თავი და თავი ის არის, რომ გა-

**ყველა ქართველმა უძა გავაცნობიეროთ,  
რომ „კულტურის უზრუნველყოფის აუგ  
ახორციელებას ჩვენს სამომავლოში, ეფექტუ  
საშიში და ქელად დასამართლებელია, ვიდრე  
რასელი ტანკები თუ სიმტები. ამიტომაც  
ვიმეორება, რომ მთელი ჩვენი ძალის სამომავლო  
უძა კიდევ უზრუნველყოფის და  
შევალიოთ ქართველი კულტურის, ზოგიერა,  
რევოლუციას და ტრადიციების გადარჩენას.**



ნათლების ე. წ. რეფორმების ინიციატივად მოგვევლინენ აშშ და მისი უძლები შვილი სოროსი, რომელმაც თავისი ავანტურისტული პროგრამის განხორციელება და-ავალა დოლარის სიმწვანით თვალაჭრებულ და სულგაყიდულ „განათლების მესვეურებს“, ტყავიდან რომ ძვრებოდნენ, რათა მათი დამფინანსებელი ბატონის ყოველგვარი სურვილი და ნება აღესრულებინათ. სხვათა შორის, ამასვე იქმნდა ის რუსეთში, სანამ არ გააპანდურეს იქიდან. თუმცადა მან მოასწრო და გარკვეული დალი დაასვა რუსეთის განათლების პროგრამას. სწორედ ამ ფაქტს უნდა მივაწერო ის, რომ ქართული და რუსული სასკოლო პროგრამები საოცარი სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს.

ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა ჩვენი „რეფორმატორების“ „ბრმა მიმბაძველობამ“: მათ ის ამერიკული სისტემა გადმოიღეს, რომელიც ქართული განათლების დონეს კი არ ამაღლებდა, არა-მედ, პირიქით, ანგრევდა იმ საძირკულსაც, რომელზეც აშენებული იყო ეროვნული ცნობიერება. თუმცა, თუ უფრო ღრმად ჩავწვდებით საქმის არსს, მაშინ ჩვენი „განათლების მესვეურთა“ „რეფორმატორობა“ არც მიმბაძველობითა და არც უმეცრებით აიხსნება. ისინი გააზრებულად ახორციელებდნენ იმ მიზანს, რაც აშშ-ის განათლების სისტემაში, როგორც „თანამედროვე პოლიტიკის შემქმნელ კონცეფციაში“, არის ჩადებული. **ეს მიზანი, როგორც არაერთგზის აღვიზნებისათვის უნდა მიმდინარეობოს**, სამართლის უმატებების განახორციელებაზე და აუდიტორიული კონსალტინგის განვითარებაზე.

აბა, სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ამერიკის განათლების სისტემა, რომელიც „დაპროგრამებული იყო თვითგანადგურებაზე“ (ჯ. კოლემანი) და აღექსანდრე კინგის ძალის ხელში,

ვით ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რათა ამერიკელ ახალგაზრდობას სათანადო განათლება არ მიეღო და საერთოდ, ისეთ დონეზე დაეშვა, რომ „მას ძნელად შეიძლება ენოდოს განათლება“ (ჯ. კოლემანი). ახალი განათლების არქიტექტორებმა ის სხვა ქვეყნებისათვის სავალდებულო და მისაბად პროგრამად აქციეს და წარმატებით განახორციელეს იმგვარ განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა: უგანდა, ნიგერია, კამბოჯა და, ასე განსაჯეთ, საქართველო. სამწუხაროა, რომ ამპროცესს ახორციელებს და წარმართავს ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაცია **RTT-ინტერნეიტელი**, რომელმაც ზემოხსენებულ ქვეყნებში წარმატებით გაართვათავი დაასახულ მიზანს. არ ვიცი, სხვა როგორ აღიქვამს ამ ფაქტს, მაგრამ ქართველი ერისათვის იგი უდავოდ ღირსების შემლახავია და შეურაცხმყოფელი: ჯერ ერთი, ერთი, რომლის კულტურის ისტორია მრავალი ათასნეულის მიღმა იღებს სათავეს და რომელსაც კაცობრიობის (ჰივილიზაციის საგანძურში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი, ახლად წამოჩიტული და ჯერაც გონს ვერმოსული ხალხების დონეზე არ უნდა დაეყვანათ და, მეორეც, თავად ამერიკასაც, რომლის კულტურის ისტორია 200 წელსაც არ ითვლის, არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია, ქართველ ხალხს განათლების სტატუსი განუსაზღვროს და დაუდგინოს.

თუმცა ამერიკას, როგორც მსოფლიოს № 1 ქვეყანას, შენი სულეიირი წარსული სულაც არ აინტერესებს, აინტერესებს კიარა, აღიზიანებს. შესაბამისად, მისი ამოშანთვაც სწადია და იქმს კიდეც ამას. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანამ, რომელიც, 90-იანი წლების მონაცემებით, განათლების თვალსაზრისით, 39-ე ადგილზე გამოვიდა, ამ სფეროშიც მოინდომა მსოფლიო ლიდერობა და მსოფლიოს გადასწვდა, რათა ბნელი ქვეყნები „გაენათლებინა“.

საერთოდ, აშშ-ის განათლების სისტემაში წინ წამონეულია

ცხოვრებისეული პრაგმატიზმი, შესაბამისად ისეთი მორალური კატეგორიები, როგორიც არის: უსამართლობა, სიხარბე, მომხვეჭელობა და ძალადობა, თუკი ისინი ხელს უწყობენ პიროვნების კეთილდღეობას, სავსებით მისაღებია. მეტიც შეიძლება ითქვას, ეს მოდელი უფრო მაღლა აყენებს ცხოველურ ინსტინქტებს, ვიდრე სულიერ მხარეს. **ყველაზე საგულისხმო მაინც ის არის, რომ ამერიკული განათლების კონცეფცია ებრძვის და საწყისშივე აშთობს ყოველგვარ ეროვნულ თუ ეთნიკურ თვისობრიობას და განსხვავებულობას. ერთი სიტყვით, ეს სისტემა ზრდის და აყალიბებს არა ლვითისმოსავ, ზნეკეთილ და ერისა და ქვეყნის მოყვარე პიროვნებას, არამედ საკუთარ ნებანაგვრილ, უსულგულო ადამიანს, რომელიც ხელისუფლების მიერ რობოტივით იმართება და მოქმედებს. ახლა ბჟეზინსკის პოპულარულ ნაშრომს — „ტექტონიკულ ერას“ თუ გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, რომ შემოთავაზებული მოდელის საბოლოო მიზანია, მოახდინოს ადამიანის ერთგვარი კლონირება, რათა შექმნას „რობოტოიდი“, ანუ ერთგვარი მოძრავი არსება, რომელიც გარენულად იქნება ადამიანი, იმოქმედებს როგორც „ადამიანი“, მაგრამ ადამიანობისგან ძალიან შორს იქნება. უფრორე ცირკის განვითარების ცხოველს ემსგავსება, მორჩილად რომ ასრულებს მომთვინიერებლის ნებისმიერ ბრძანებას.**

აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ სწავლების პროგრამა, რომელიც დღეს ინერგება ქართულ სინამდვილები, თავად ამერიკაში შექმნილი იყო ძნელად აღსაზრებული ბავშვებისთვის და სავსებით არ ესადაგება ქართველი ბავშვის ნათელ გონებას... სწორედ ამ პროგრამის მეშვეობით ბავშვი შეგნებულად მოსწყვიტეს ეროვნულ ნიადაგს, დაავიწყეს ისტორიული წარსული და სახელოვან მამულიშვილთა სახეები, ეროვნული ტრადიციები და ლირებულებანი, ჩაუკლეს რწმენა, რომელმაც

დღემდე შემოინახა ჩვენი ერის ვინაობა. სამაგიეროდ, ჩაუნერგეს სიყვარული ათასი ჯურის სექტებისადმი. მეტიც, შეუფერებელ ასაკში მოზარდებს „სექსუალური ცხოვრებისთვის“ ამზადებენ. ალბათ, ამიტომაც ჩვენი დიდი განმანათლებლის და, შეიძლება ითქვას, „ქართველთა მასწავლებლის“ — იაკობ გოგებაშვილის უნივერსალური აღმოჩენა ანბანთსწავლებისა, რომელიც „აი ია“—ს სარკისებური მიმართების ესთეტიკურ და პედაგოგიური სიბრძნის გამაონებელ მწვერვალად შეიძლება მივიჩნიოთ, განდევნებს სასწავლო პროგრამიდან და მის ნაცვლად, მაპატიოს უფალმა და ჩვენი დიდი წინაპრის სულმა, ლამის ასო და საშო, შესაბამისი მხატვრული და ფოტოგრაფიული გაფორმებით დაამკვიდრეს. ვისაც მოხმობილი მაგალითი საეჭვოდ მიაჩნია, გადახედოს სახელმძღვანელოების დონეს, რომელიც ესთეტიკურობისა და ზნეობრიობის დაცემისა და გადაგვარების საუკეთესო ნიმუშია და თავად დარწმუნდება, რასთან გვაქვს საქმე.

ერთი სიტყვით, ჩვენი „დიდი მეგობრის“ და კიდევ უფრო დიდი „კეთილმოსურნის“ — სოროსის დაუღალავი გარჯისა და საქართველოს სულწაბილნულ „განათლების მესვეურთა“ თავგამოდების შედეგია ის, რომ დღეს საჯარო სკოლებში საოცრად დაეცა განათლების დონე, თითქმის აღარ ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას. მეტიც, ყველა ის მხატვრული ქმნილება, ეროვნულ-პატრიოტულ სულს, ეთიკურ-რელიგიურ მრჩამსს რომ უღვივებდა მოზარდს, გააქრეს სწავლების პროგრამებიდან. სულ ახლახან განდევნებს რაფიელ ერისთავის საოცრაო ლექსი „ხევსურის სამშობლო“ (!!!), რაც იმის აშკარა დასტურია, რომ სოროსიზაცია, როგორც ანტიეროველი ჰირი, დღესაც თავს იჩენს ქართულ სკოლაში!

ბის სწავლების თვალსაზრისით. მოკლედ, „დიდი მეგობრის“, აერიცის მიზანი — ქართველი მოზარდი დაუნის დონეზე დაიცვანოს — მისი უძლები შვილის, სოროსისა, და „ქართველი სოროსისთვის“ ხელდასხმით მიღწეულია.

აბა, სხვაგვარად როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ამ ბოლო ხანს ჩატარებული გამოკითხვით ქუთაისისა და გურიის სკოლების მაღალი კლასის მონაფეები ვერ კითხულობენ ტექსტს, მეტიც, წაკითხულს ვერ იგებენ. ამაზე უფრო უმეცრება ნარმოუდგენელია, როცა მოზარდმა არ იცის, ვინ დაწერა „ვეფხისტყაოსანი“ ანდა „გამზრდელი“ თუ „დიდოსტატის მარჯვენა“. თავზარდამცემია, როცა ვაჟა-ფშაველას ძეგლი აკაკი წერეთლისა პეტრია, თავად აკაკის კი კომპოზიტორად მიიჩნევს, ხოლო შევჩერებული ქანდაკებას ილიას ძეგლად აღიქვამს!..

დიახ, ეს ყოველივე სასაცილოა, თავზარდამცემი რომ არ იყოს და ქართველი მოზარდის გონების სრულდარწლუნგებაზე არ მეტყველებდეს.

მაგრამ განათლების რეფორმა, რომელსაც მართებულად უწოდეს „სიკვდილის პროგრამა“, ამით როდი დამთავრდა. მან სკოლიდან უმაღლეს სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში გადაინაცვლა. თუ სკოლის გარდაქმნას შედარებით სიფრთხილით ეკიდებოდნენ, უმაღლესები პირდაპირ შტურმით აიღეს და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაუწყეს ნერევა: თუნდაც გავიხსენოთ, რადამართეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელსაც ყველა ქართველი ახალგაზრდა აღიქვამდა ტაძრად, სადაც არა ოდენ ღრმა განათლების მისაღებად მიდიოდა, არამედ ეროვნული სულის მასაზრდოებელი იდეის გასათავისებლად და სულიერი შიმშილის დასაოცებლად.

უპირველეს ყოვლისა, გააუქმეს უნივერსიტეტის ავტონომია, გააუქმეს დიდი სამეცნიერო საბჭო და დაამკვიდრეს პრეზიდენტის

მმართველობა, რომელმაც „მიხურუნი“ რეფორმები გაატარა: ა) გაუქმდა ფაკულტეტები. უფრო სწორად, ყოვლად უსაფუძვლო შერწყმა განხორციელდა და 26 ფაკულტეტის ნაცვლად მივიღეთ ე. წ. ექვსი მიმართულება; ბ) გააუქმეს კათედრები, სამეცნიერო და სასწავლო პროცესის მთავარი კერა; გ) გაუქმდა სამეცნიერო ნანილი (ორგანიზმი), რომლის გარეშეც უნივერსიტეტი კარგავდა მთავარ საუნივერსიტეტო ფუნქციას; დ) დახურეს რუსთველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვათა სახელობის კაბინეტები, რომლებშიც ერთობ მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობდა; ე) შენწყიტეს მთელი რიგი უაღრესად მნიშვნელოვანი დისციპლინების სწავლება; ვ) ფაქტობრივად, გაუქმდა ფუნდამენტური ცოდნის დაუფლება და ნორმალური სწავლების პროცესი; ზ) გაუქმდა სამეცნიერო ხარისხების დაცვის მკაცრად გამიჯნული ნორმებიდა მოთხოვნები; თ) გაუქმდა სამეცნიერო წოდებები და თანამდებობები: ლაბორანტი, უფროსი ლაბორანტი, მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე და სხვ.; ი) გაათავისუფლეს დაუნჯებული მეცნიერი, გამოცდილი ორგანიზატორი და გამობრძმედილი რექტორი როინ მეტრეველი, რომელიც უმძიმეს პერიოდში, 13 წლის მანილზე უნივერსიტეტს სახე არ დაუკარგა, და მის ადგილას წამოასკუპეს ერთმანეთზე უბირი და უმეცარი პიროვნებები: ლორთქიფანიძე, ხუბუა, კვიტაშვილი... კ) დაბოლოს, ყოველგვარი მობიდიშების გარეშე უნივერსიტეტიდან გაყარეს სამი ათასზე მეტი თანამშრომელი, მათ შორის სახელგანთქმული მეცნიერები, თავიანთი დარგის კორიფეები, დიდი პედაგოგიური გამოცდილებისა და სტაჟის მქონენი; ლ) ჩაატარეს უკანონო წ. კონკურსი, რომელსაც წარმართავდნენ განათლების სამინისტროს, „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და სოროსის „ლია საზოგადოება — საქართველოს“



ყოვლად დაბალი დონის უვიცი წარმომადგენელი. მოკლედ, ჩატარეს უნივერსიტეტის სოროსიზაცია და „მიხუნიზაცია“, რომელმაც უნივერსიტეტი განმინდა იმ დანართმოსილი მეცნიერებისა განა, რომელთაც სოროსისა და მიშას სურათი არ ჰქონდათ გულზე ამოტვიფრული და არ იზიარებდნენ განათლების ამ დამანგრეველ პოლიტიკას. ერთი სიტყვით, აღასრულეს სოროსის ნება თუ მითითება, რომ უნივერსიტეტი უნდა განმენდილიყო „მეცნიერული ბალასტისაგან, ყველასაგან — დაწყებული პროფესორით და დამთავრებული ლაბორანტით, რომელიც „ურჩობს, არ სურს ქედი მოიხაროს ჩვენი უპირატესობის წინაშე, არ სურს იმუშაოს ჩვენთვის... ვისაც ჯიუტად ამოჩენებული აქვს ეროვნული იდეა და ლირსება, ჩანასახშივე უნდა ჩაიხშონ და ჩაიფერფლონ. ისინი უნდა მოექცნენ იზოლაციაში“ და ასე და ამგვარად „ყოველი ლაბორატორია, ყოველი კათედრა და ინსტიტუტი უნდა ვაქციოთ ჩვენი კადრების სამჭედლოდ... ჩვენი მოწინააღმდეგენი გარიყეთ, გააძვეთ!..“

აკი გააძვეს და გარიყეს ამ ნაძირლებმა და უნივერსიტეტი აქციეს სოროსის კადრების სამჭედლოდ, უმეცარი „კმარელებით“, „უნიფერსი“ გოგოების სალალობოდ, როცა ძნელი გასარკვევია, რომელია მამრი და რომელი — მდედრი და მათ პროჩესიონალიზმსა და განათლების დონეზე ხომ ლაპარაკი არც კი ლირს. მოკლედ, ჩვენი ცოდნის ტაძარი უმეცართა სარბილად აქციეს და მისუნინების მიშას საკერძედ გარდაქმნეს, სადაც აკადემიზმის ნაცვლად თავაშვებული ურნმუნებისა და სულნამცეცობის ვაკებანალიაა გაჩაღებული.

საბოლოო ეტაპი, რომელმაც უნდა დააგვირგვინოს „სიკვდილის პროგრამის“ აღსრულება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაა, რომელიც, საყოველთაო აღიარებით, წარმოადგენს მეცნიერების გუმბათს. მეცნიერება კი, როგორც მოგეხ-

სენებათ, ყოველგვარი განათლებისა და აზროვნების საფუძველთა საფუძველია. შესაბამისად, ამ გუმბათის დაუნგრევლად საბოლოო მიზანი — ქართველი ერის გადაგვარებისა — მიუღწეველი იქნებოდა.

ბუნებრივია, რომ ჩვენი სულის გარდამემნელი არქიტექტორები კვლავაც ქართველ „მეცნიერთა მეცნიერების“ ხელის გამოღებით შეეცდებოდნენ ამ ქართული სულიერების ციხესიმაგრის დალაშექვრას და მის აღებას. შეუდგნენ კიდეც:

უპირველეს ყოვლისა, მეცნიერებათა აკადემია საბჭოთა იდეოლოგის გამოღონაშთად გამოაცხადეს და ათასგარი ჭორ-მართლის გამოგონებით მოინდომეს მისი სახელის გატეხვა და მისთვის ჩირქის მოცხება. მერე ჩვეული მეთოდით დაიწყეს აკადემიის სისტემის მათეული რეფორმირება, რაც უფრო მეტად დეფორმაცია იყო: აკადემიის მწყობრი სტრუქტურიდან გამოჰყვეს სამეცნიერო ინსტიტუტები, გაყიდეს მათი შენობები, ივარქმნეს ლაბორატორიები და საცდელი სადგურები, გააპარტახეს მათი ტექნიკური აღჭურვილობა, შეამცირეს მეცნიერთა საშტატო ერთეულები, მათი შემადგენლობა მეოთხედამდე დაიყვანეს. ესეც არ იქმარეს, მეცნიერების ხელფასი ისე დაამცრეს, რომ ნებისმიერი ქუჩის მხვეტავიც არ იკადრებდა, ამ გასამრჯელოს დათანხმებოდა. ამა თუ იმ სამეცნიერო თუ სამრეწველო დაწესებულებებში შეკედლებულმა ინსტიტუტებმა ფაქტობრივად შეწყვიტეს არსებობა, რაც მეცნიერული აზროვნების მაცოცხლებელი წყაროების მოშთობა იყო.

ყოველივე ამის შედეგად კი გაუჩინარდა მეცნიერული აზრის ნათება: შესაბამისად, სულს დაფავს ივანე ჯავახიშვილის ისტორიული სკოლა; ნადგურდება სავალე წერეთლისა და შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიური სკოლა; გადაგვარება ემუქრება ელეფთერ ანდრონიკაშვილისა და გივი ხუციშვილის ფიზიკის სკოლას; გაქ-

რობის პირასაა დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიური და ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიური სკოლები; იღუპება ავლიპ ზურაბაშვილის ფსიქიატრიული სკოლა; ჩანაგდება არნოლდ ჩიქობავასა და აკაკი შანიძის ენათმეცნიერების სკოლა; უკანასკნელ დღეშია კორნელი კეკელიძისა და ალექსანდრე ბარამიძის ლიტერატურათმცოდნეობის სკოლა; იავარქმნილია გიორგი წერეთლის, სერგი ჯიქიასა და თამაზ გამყრელიძის აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა და ა. შ.

ერთი სიტყვით, გამალებული ტემპით ნადგურდება ქართველი ერის ყველაზე ფასეული საგანძური — მეცნიერება, რაც ქართველთა თვითონბისა და ვინაობის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბოძის წაქცევას ნიშნავს და, თუ დროზე არ ვუშველეთ საქმეს, მერე გვიან იქნება გოდება „ვაი, რა ბოძი წაგვექცაო“...

მშველები კი არ ჩანს... არსით ხმა, არსით ძახილი!..

უფრო საგანგაშოა, რომ განათლების სამინისტრო, რომელსაც მაშველი რგოლი უნდა გადაეგდო მეცნიერებისთვის და გადაერჩინა, პირიქით იქცევა: ცდილობს, როგორმე მეცნიერების ერთგული ქურუმები ბოლომდე „ჩარეცხოს“ და მათი კვალიც გააქროს. ამის საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის მოხმობა შეიძლება: თუნდაც იმის, რომ სამინისტრო ცდილობს, აკადემიის რაღაც გაუგებარი პარალელური სტრუქტურა შექმნას, რომელიც საბოლოოდ გააჩანაგებს აქა-იქ შერჩენილ მეცნიერულ აზისებს. სწორედ ამ მიზეზის გამო სურთ, გააუქმონ აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის ინსტიტუტი, მეცნიერული აზრის სიცოცხლის გამგრძელებელი ბოლო იმედი და მისთ.

ეს ყოველივე არ გაგიკვირდებათ, თუ გაიხსენებთ, რომ დეფორმაციის სათავეში იდგა ყოველად გახსრნილი და უცოდინარი, სოროსელი კახა ლომაია, რომელმაც დაიწყო ქართველი განათლებისა და მეცნიერების სრული



მოსპობა-გაჩანაგება. ის ამ ანტი-სახელმწიფოებრივი დანაშაულისთვის ციხეში უნდა იჯდეს, უკანალშიც ცოცხაყრილი, და არა ამაყად და თავმომწონედ დააბიჯებდეს ე. ნ. თავისუფლების კუნძულზე — ამერიკაში. ერთობ საგულისხმოა, რომ არც სანტექნიკოს ლომაიას შემცვლელები იყვნენ განათლების წიაღის შვილი: ერთი პროკურორი იყო, რომელიც გაუნათლებელი აღმოჩნდა და მერე ამერიკაში გაგზავნეს სასწავლებლად (ნ. გვარამია), მეორე კი ციხეებისა და სამხედრო საქმის „დიდი მცოდნე“ გახლდათ, რომელსაც ზერელე წარმოდგენაც არ ჰქონდა განათლების არსზე და რომელმაც თავი მხოლოდ იმით დაგვამახსოვრა, რომ სკოლებში მანდატურების ინსტიტუტი შემოიღო და „ციხისებური დისციპლინა“ დაამყარა (დ. შაშკინი). ორივე ეს ქრისტეს ფეხის მკვეტელი განსხვავებული პროფესიისა და ბუნების იყო, მაგრამ სოროსის სოროდან გამომდვრალ ერთხორც და ერთსულ არსებებად, ლომაიას გაკვალული გზის ერთგულ ჯარისკაცებად გვევლინებოდნენ და ერთ მიზანს ემსახურებოდნენ.

რაოდენ გულდასანუყეტი უნდა იყოს, „კანალიზაციის“ მასაში ამოსვრილი ლომაიას განათლების „სასიკვდილო“ პროგრამა, თუმცა შენელებით და შეფარვით, მაგრამ დღესაც ხორციელდება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ გ. მარგველაშვილიც, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ განათლების მინისტრად განამწერა, მართლაც თავისი წინამდებრების განახორციელებისა და სამსახურების განვითარების სამსახური და დისციპ-

ლინის ცოდნით, მაგრამ თავისი მსოფლიმედველობით მათგან შორს არ იდგა და, შეიძლება ითქვას, ზოგადად ლომაიას „კონცეფციის“ გამზიარებელი იყო. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავიხსენებთ გ. მარგველაშვილის მოღვაწეობას, რომელიც სოროსის ორგანიზაციისთან — „ლია საზოგადოება — საქართველო“ მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიზყდეს მისეული დიაგნოზი, რომელიც გვაუწყებს, რომ ქართველი ერი არის ნახევრად დებილი, განუკურნებელი სენით შეპყრიბილი, არშემდგარი და მისთ. ბუნებრივია, მკურნალი, რომელმაც ამგვარი დიაგნოზი გამოიტანა, თავს არ მოიკლავდა ავადყოფის გამოჯანმრთელებისთვის. მან სხვათა დასანახავად ერთი-ორი კი გაიფაფხურა, მაგრამ არსებითად არაფერი შეცვალა. სამაგიეროდ, შემცველებად დაგვიტოვა თავისი ერთგული, „გამობრძმედილი ბულალტერი“ თამარ სანიკიძე, რომელიც ისე შორსაა განათლებისა და მეცნიერებისგან, როგორც ცა დედამინისგან. ამ, როგორც ამბობენ, გამოცდილ ბულალტერს, წარმოდგენა არ აქვს, რა არის სწავლების მეთოდიკა, რა არის საერთოდ პედაგოგიკა, რა არის მეცნიერებადარა აკავშირებს მას განათლებასთან. ერთი უბედურებაა, რომ არ იცის; მეორე კი — ის, რომ არც უნდა, იცოდეს. შეუვალი სახით აცხადებს, მე არ ვიცი, რა არის მეცნიერება და არც მაინტერესებს. პოდა, თუ არ იცი და არ გაინტერესებს, წადი და შენს ბულალტერიას მიხედე! მაგრამ არა, ბატონები, ასე იოლად მას ვერ გააძევებ გა-

ნათლების სფეროდან, რადგან ის „სოროსის მოძღვრების“ ერთგული ადეპტია და სურს, პირნათლად შეასრულოს „სიკვდილის პროვრამის“ მთავარი მიზანი — დაამცროს და გაანადგუროს განათლების სისტემა და, რაც მთავარია, მეცნიერებათა გუმბათი — ეროვნული ცნობიერების ბურჯი — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ამ „სიკვდილის პროგრამის“ გამოძახილია მისი აბიტურიენტებისადმი მიმართული მუქარა: ვინც მიმდინარე წელს მისაღებ გამოცდებს ვერ დაძლევდა, მას მომავალში ჩაბარების უფლება არ ეძლეოდა, ვიდრე ოფიციალურად თავიდან არ გაივლიდა VIII-XII კლასების პროგრამას. ეს ხომ „კაციჭამია“ ველურის განცხადებაა, რომლის მსგავსიც ცივილიზაციულ მსოფლიოში არავის უთქვამს. ამის განხორციელებას ჯერჯერობით ვერ ახერხებს, მაგრამ ძლიერ ფართხალებს, ვითარცა კალმახი ბადეში და, თუ დროზე არ აილაგმა, საურველ მიზანს მიაღწევს.

ქალბატონ მინისტრს დიდი მონდომებითა და ერთგულებით მხარს უბამენ მისივე მოადგილები: ქეთევან ნატრიაშვილი და ლია გიგაური. პირველი ბიზნეს-მენეჯერის, ბიზნეს-კონსულტანტისა და ადმინისტრატორის პროფესით არის აღმურვილი და, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, უფრორე ცხოველების ჯანმრთელობის გაუმჯობესებას ცდილობს, ვიდრე ბავშვთა განათლების დონის ამაღლებას. მეორე, თუმცა სწავლების პროცესთან, როგორც პედაგოგი, დაკავშირებულია და სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში ნამოღვანარია, მაგრამ მისი ცხოვრების ნირიც გვარმუნებს, რომ მასაც უფრო აინტერესებს კონფლიქტებისა და კომუნიკაციის მენეჯმენტობა და სტრატეგიული ეკონომიკის პოლიტიკა, ვიდრე იკაობ გოგებაშვილის სწავლების მეთოდის საიდუმლოება.

საგულისხმოა, რომ განსხვავებული ინტერესებისა და პროფესიის მქონე ამ ქალბატონებს საერთოც

**გამაღებული ტეატრი ელგურებას ესახოთვება  
ერის ყველაზე ფასეული საგანეური —  
ხელისიარება, რაც ესახოთვება  
ვინაობის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი  
ნამდვილებას იმავე არა და არ  
ცუმველ საქმეს, მარე გვიან იქნება გოდება  
„ვაი, რა პოძი ნაგვარება...“**



აქვთ: а) განსაკუთრებულ მიღრეკილებას იჩენენ მართვისა და ად-მინისტრაციის პროფესიისადმი; ბ) განათლების სრულყოფის კურ-სებს გადაიან ევროპისა და ამერიკის სასწავლო ცენტრებში; გ) მათ ცოდნას აგვირგვინებს სხვადასხ-ვა ტრენინგი, რომლებიც აყალი-ბებს მათ ტრენერებად და ისინი ფესვებით დაკავშირებულნი არი-ან საქართველოს საზოგადოებ-რივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA) და, რაც მთავარია, მათი ინტერესები საბოლოოდ თავს იყ-რის თაღლითი სოროსის მიერდა-ფუძნებულ საზოგადოებასთან — „ღია საზოგადოება — საქართვე-ლო“. სოროსის რეფორმატორული მიზნები კი საყოველთაოდ ცნობილია, რომლებზეც ზემო-რეც გვქონდა საუბარი და აქ აღარ გავაგრძელებ.

აქვე უნდა საგანგებოდ აღვნიშ-ნო, რომ საქართველოს განათლე-ბის სისტემაში მოღვანეობს და ამჟამად განათლების მინისტრის მოადგილის პოსტს იკავებს გი-ორგიშერვაში, სოროსის ძუძუ-ნაწოვი, სოროსის ბუდეში დაფრ-თიანებული, ბუდაპეშტის „ღია საზოგადოების“ წამყვანი ლიდე-რი, რომელიც იქ მოღვანეობისას ერთხანს საერთაშორისო ჯგუ-ფებს ხელმძღვანელობდა, ბოლოს კი მის პრეზიდენტობას და დი-რექტორობასაც გამოჰკრა ხელი. ეს პიროვნება საქართველოში სო-როსის მოძღვრების ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი იდეების მქადაგებელი და გამავრცელებე-

ლია. ასე რომ, **თუ დღეს განათ-ლების სამინისტროს ხელმძღვა-ნელობას თვალს შევავლებთ,** სავსებით გასაგებია, თუ რატომ აგრძელებს მოქმედებას ის სო-როსისული სისტემა, რომელსაც ლომაიამ გაულრმავა კალაპოტი ჩვენში და რატომ არის დღეს ესე-ოდენ საშიში და საგანგაშო გა-ნათლებისა და მეცნიერების ის დონე, რომელიც ჩვენმა გარმია-ნელმა მეგობრებმა და ადგილობ-რივმა სოროსის ძუძუმწოველებ-მა მიზანმიმართულად შექმნეს და რაც ქართველი ხალხის გადა-შენების, ერის ვინაობის მოსპო-ბის საწინდარია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ამ დამანგეველ კო-კორტაში გამოირჩევა თავისი მეცნიერული მოღვანეობით თა-მაზ მარსაგიშვილი, რომლის პო-ზიციაც, არ ვიცი — ჩვენში მოღ-ვანე მავანის მითითებით, არ ვი-ცი ეგონისტური ზრახვების გამო, არ არის ჭეშმარიტი მეცნიერის საკადრისი. ამიტომაც ეს უკანას-კნელიც ვერ წარმოაჩენს თავს, როგორც ქართული განათლებისა და მეცნიერების ქომაგი და ხში-რად იმგვარ ნაბიჯებს დგამს, რომ სახელმწიფოებრივი აზროვნე-ბისთვის ზიანის მომტანია...

კიდევ მრავლის თქმა შეიძლე-ბოდა, მაგრამ სიტყვა ისედაც გაგვიგრძელდა და ჯერჯერობით დუშილს ვამჯობინებ.

\* \* \*

ბატონო ირაკლი, როგორც წერ-ილის დასაწყისში აღვნიშნე, არ

მგონიხართ ის თავკაცი, რომელ-იც ეროვნულ პრობლემებს პარი-ჰარად ეკიდება. შეიძლება ყოვე-ლივე ზემორე ნათქვამი თქვენთ-ვის ისედაც ცნობილია, მაგრამ მსურდა, ხაზი გამესვა იმ ფაქტის-თვის, რომ დღევანდელ გლობა-ლიზაციის ხანაში ერის დამონე-ბისა და მოსპობისათვის იარაღ-თან შედარებით უფრო ეფექტურ, მშვიდობიან გზას ირჩევენ. ამი-ტომაც უმეტესად განსაკუთრე-ბული თავდასხმის ობიექტად და ბრძოლის ველად კულტურისა და მეცნიერება-განათლების სფე-როს მიიჩნევენ, რადგანაც ეს გზა შედარებით უჩინარია, მშვიდობი-ანი, დემოკრატიის ყვავილნარით გარემოცული და „კეთილი სურ-ვილებით“ გაცხადებული. რაც ყველაზე საგანგაშოა, ამ უჩინარ ბრძოლაში ჩაბმული ჰყავთ მოს-ყიდული კოლაბორაციონისტული ძალები (მასმედია, არასამთავრო-ბო იმპერიაციები, ე. წ. პოლიტი-კოსები, ვაპოლიტოლოგები და თავად ამ დარგების მუშაკები), რომლებიც ასევე პატრიოტულ და დემოკრატიულ ნიღაბს აფარე-ბული ანგრევენ ჩვენი ეროვნუ-ლი ცნობიერების ფუნდამენტს. სამწუხაროდ, ამგვარი გავლენის აგენტებით უცხო ქვეყნის ნება-სურვილის აღმსრულებელი ლა-ქიები ჩვენს პარლამენტშიც და სახელისუფლო ორგანოებში, გან-საკუთრებით კი იმ სამინისტრო-ებში, ზემორე რომ მოგახსენეთ, მრავლად არიან. თქვენი უპირვე-ლესი მოვალეობაა, ჩვენი ქვეყნის ამ ნარ-ეკლისგან განმეოდა. ეს არის ყველაზე უკეთილშობილესი მისია, რომლის აღსრულების ძა-ლი თქვენ შეგწევთ: ეს არის სრუ-ლიად საქართველოს და ქართვე-ლი ხალხის დიდი სურვილი და ნე-ბა, ამიტომაც ჩვენს საზღვრებს მიღმა ე. წ. მეგობარი აფთრებისა თუ ტურების გნიასი ნუ შეგაფერ-ხებთ და ნურც შეგაყვონებთ!

მაღლითმხედი იყოს თქვენი და თქვენი ერთგული ერისკაცების მფარველი ამ ღვთითეურთხეულ ბრძოლაში!

**პატივისცემით,  
ელიზარ ჯავალიძე**

**თუ დღეს განათლების სამინისტროს  
ხელმძღვანელობას თვალს შევავლებთ, სავსებით  
გასაგებია, თუ რატომ აგრძელებას მოქმედებას ის  
სოროსისეული სისტემა, რომელსაც ლომავა  
გაუღრმავა კალაპოტი ჩვენში და რატომ არის  
დღეს ესორივ და საგანგაშო განათლებისა  
და ესორივ ის დოკუმენტი  
გარმოვარ გამოსახულება  
სოროსის ძუძუმწოველობისში სო-  
როსის მოძღვრების ერთ-ერთი  
დამფუძნებელი, მისი იდეების  
მქადაგებელი და გამავრცელებე-**



# სერგეი ესენინი: ცხოვრებაში ასე გევარი და იოლად ქალზე იგვიათად განერინება

სერგეი ესენინი საქართველოში თუნდაც იმიტომ ჩამოვიდოდა, რომ დიდი სურვილი ჰქონდა, კავკასია ენახა. მას სამიკიტნოს ბოჭემის მორევიდან თავის დაღწევა სურდა, რადგან მობეზრდა და მუშაობაშიც ხელს უშლიდა, თანაც სწავლა, რომ იდუმალი კავკასია შემოქმედებით აღმაფრენას მოუტანდა.

ბედმაც ოკეანის მიღმა გადატყორცნა — ამერიკაში, სადაც თავს ერთობ უცხოდ გრძნობდა. ჯერ ერთი, რომ ენობრივი ბარიერი უშლიდა ხელს — ინგლისური არ იცოდა, მეორეც, შელახული თავმოყვარება ანამებდა: იქ ხომ არავინ უწყოდა, სახელგანთქმული პოტირომ იყო. ესენინი თავს აისიდორა დუნკანის „დამატებად“ გრძნობდა და არც შეეძლო და არც სურდა მისი დიდების სხივებქეშ ყოფნა. ერთხელ აისიდორამ „მხედრით სვლა“ გააკეთა. მორიგი ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ ესენინი სცენაზე აიყვანა და ზარ-ზეიმით წარუდგინა პუბლიკას: „ჩემი მეუღლე სერგეი ესენინი, სახელგანთქმული რუსი პოეტი“. ის კი დაბრუული იდგა, ძალად იღიმოდა და დროდადრო თავს უკრავდა...

ასე რომ, მალე დატოვა კიდეც იქაურობა, თუმცა მანამდე მეგობარს წერილობით შესჩივლა, რომ ამერიკა ნაგავია. ბაქოში ჩავიდა ქალაქის გასაცნობად, ხმაურს რომ გასცლოდა და ეწერა... ბედი აქაც კვალდა კვალ და ედევნა და რესტორანში ჩეუბმა ესენინს ტფილისში გაეცევა აიძულა.

ტფილისში კი მას, დიდი ხანია, ელოდნენ და შესახვედრადაც მზად იყვნენ. ქართველმა პოეტებმა ესენინის ლექსები ზეპირად იცოდნენ, მათ ციტირებას ახდენდნენ მწერალთა შეკრებებზე, ლიტერატურულ შეხვედრებზე, დისპუტებზე...

...და აი, 1924 წლის სექტემბრის ცხელ დღეს ბაქოს მატარებელმა

სერგეი ესენინი თბილისში ჩამოიყვანა. მოძმე მოკალმეთა დახვედრის საქმეში „კომიტეტის“ უცვლელი წევრები, ტიციან ტაბიძის ხელმძღვანელობით, ვაგზალზე დახვდნენ. პირველივე წუთებში მასა და ესენინს შორის სიმპათია გაღვივდა, რომელიც მოკლე ხანში ნამდვილ მეგობრობაში გადაიზარდა. როგორც შემდეგ ტიციან ტაბიძე იხსენებდა, ის და შალვა აფხაძე ესენინის პირველი ქართველი მსმენელები იყვნენ, რომელმაც მაშინვე წაუკითხა მცირე ხნის წინათ დაწერილი „სამშობლოში დაბრუნება“.

„სულიერი კონტაქტი წამიერად დამყარდა და გაქრა ყველა ბარიერი. მეგობრობამ ცეცხლის ალივით იფეთქა, მაგრამ არა იმისათვის, რომ მყისვე ჩამქრალიყო, არამედ სულ უფრო ძალუმად რომ აგიზგიზებულიყო. ის ძალიან ცუდად იცნობდა საქართველოს აქ ჩამოსვლამდე, თუმცა ამ სტუმართმოყვარე ხალხის, პოეტური წრისა და მხარის შესწავლისა და შეცნობის წყურვილი უფრო გაუმდაფრდა“, — წერდა თავის დროზე პოეტი სიმონ ჩირვანი.

## რამ აატირა პოეტი

საქართველოში ჩამოსული რუსი პოეტი ესენინი, ქართველმა პოეტებმა რესტორან „სამადლოში“ დაპატიჟეს. ესენინმა სთხოვა, მწვანე ბალახზე გაეშალათ სუფრა. ამ დროს რესტორანთან რამ-

დენიმე მეურმემ გაიარა. ესენინმა სთხოვა, დაგვლოცეთო. ერთმა მეურმემ ყანი გამოართვა და უთხრა: ცოტა გვერდზე მიდექ, თამარ მეფის აქტოს ქოშის ნაკალევი არ წაშალო, თუ ვერ ხედავ, დაიჩოქე, მინას შეუბერე და გამოჩდება. ასეა, ჩემო „მმისწულო“, ქართველები ჩვენს წმინდა მიწაზე ვდგავართ. ხშირად ვიჩოქებით და ვკოცნით წინაპრის ნაფეხურს. ძალაც იქიდან გვეძლევა. ამიტომ არის, რომ მტერი და დუშმანი ვერ გვერევა, ეს იმათი დიდებისა იყოს, ვისაც აქ გაუვლია, კვალი დაუტოვებია, ხატი და სანთელი უდიდებია, თვითონ თავი გაუზირია და ჩვენი მიწა-წყალი დაუცავს, ჩვენი ჯილაგი დღემდე მოუტანია.

და უცებ ესენინი ცხარე ცრემლით ატირდა. როცა ჰეკითხეს, რა გატირებსო, უპასუხია: რა მატირებს და ჩემი უძლურება — მე, რუსეთის დიდ პოეტს, რომ არ შემიძლია სადლეგრძელოს ასე ლამაზად თქმა, ეს უსწავლელი გლეხი რომ ამბობსო.

## ყველა გზა „ზარია ვოსტოკას“ რეზაქციაში მიღის

„ზარია ვოსტოკას“ რეზაქცია სერგეი ესენინისთვის თავისებურ შტაბ-ბინად იქცა. ყველას შეუყვარდა იგი უბრალოების, მშვიდი მხიარულებისა და ჭკუამახვილობისთვის.

აქ მოდიოდა, რადგან მეგობრები ელოდნენ, გარს ეხვია ადგილობრივ უურნალისტთა ამქარი: ვირაფიანი, ვერუბიცე, სტორი, ლიფშიცი... და თანაც გაზეთიცა და გამომცემლობაც პოეტს მისი ფინანსური კრიზისების პერიო-



დებში ხელს უმართავდა: ავანსსა და კრედიტს მისთვის არასდროს იშურებდნენ. „ზარიაში“ გამოქვეყნებულ ლექსებში აღებული ჰონორარის დიდ ნაწილს ესენინი თავის დებს — კატიასა და შურას უგზავნიდა.

ერთხელ ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი ესენინის ძილში ქვითინმა გამოაღვიძა. გამოაფხიზლეს. ცუდი სიზმარი ხომ არ გეზმანაო, — ჰკითხეს პოეტს. ცურემლებით ლოყებდამბალმა ესენინმა უპასუხა, რომ მართლაც საშინელი სიზმარი ნახა:

უიმისოდ, ერთადერთი გამომკვებლის გარეშე, დარჩენილი დები ხელებს უწვდიდნენ და დახმარებას ევედრებოდნენ.

— ფულს დღესვე გიშოვით! — ნამოიძახა პაოლომ და მალე სამივე, გზად „მუკუზანით“ შეზარხოშებული, „ზარია ვოსტოკას“ და სალაშერად გაეშურნენ. ლიფშიცისა და ვირაფიანის კაბინეტებში სერგეი ნაღვლიანად დუმდა, ასე რომ, მრისხანე და დაუინებულ მოლაპარაკებებს პაოლო ანარმოებდა. ესენინს მაშინვე დაუდეს ხელშეკრულება მისი ახალი ლექსების წიგნის გამოცემაზე და ავანსიც მიართვეს.

ესენინი სულითა და გულით მიეჯაჭვა რედაქციის თანამშრომლებს, მალე დაუმეგობრდა ყველა მუშას, განსაკუთრებით, ძველ მეტრანპაჟე ხატისოვს, რომელსაც ხუმრობით „მამილოსაც“ ეძახდა.

ერთხელ, იხსენებს ნიკოლაი ვერუბიცკი, „ზარია ვოსტოკას“ სტამბის ამწყობები და მქედავები თავიანთი მეგობრის ბინაში საღამოს მართავდნენ და სთხოვეს, „სიროჟაც“ მოიყვანეო.

პოეტი თავს ჩინებულად გრძნობდა ამ კომპანიაში, ლექსებს წერდა, „კინტაურს“ ცეკვავდა, „მრავალუამიერს“ ბანს აძლევდა...

ერთხელ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ თანამშრომელი ნიკოლაი ვერუბიცკი რედაქციის შენობიდან გავიდა და პირველი, რაც დაინახა — დიდი სამგლოვიარო პროცესია იყო. კუბოს წინ მედუ-



ვისიანად მიიჩნევდნენ თბილისის დუქნებში, ღვინის მარნებში. ქართველი პოეტები ძმას ეძახდნენ. ისიც ძმებად მიიჩნევდა. „მე თქვენი ჩრდილოელი ძმა და მეგობარი ვარ!“ — ირწმუნებოდა ესენინი თავის ერთ პოეტურ შედევრში, რომელსაც კოლექტიური ადრესატი ჰყავდა — საქართველოს პოეტები.

საქართველომ გააოცა პოეტი არა ბარტოსიახლითა და ეგზოტიკით, არამედ, უნინარესად, თავისი აურით, სითბოთი, რომლითაც ხალხი და ბუნება ასაჩუქრებდა (უთოვლი თბილისურმა ზამთარმა მასზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ გამუდმებით ამას ჰყვებოდა რუსეთში), პოეზიის განსაკუთრებული რომანტიზმით.

## «ოდითგან ჩვენი ჩასელი კარნასი ელტვოდა უცხო ქვეყნებს და უვალაზა მეტად მერლოდ გან, კავკასიაზ, იღეალებას ჯალი გმოსავდა»

დუკეები მიუძლოდნენ. სევდიანი მელოდიები მთელ რუსთაველის პროსპექტს ეფინებოდა. და უცებკუბოს უკან მიმავალ ხალხში ტკივილამდე ნაცნობი ქერათმიანი მამაკაცი შენიშნა. დაეწია და მიხვდა, რომ არ შემცდარა: ეს თავად სერგეი ესენინი იყო! „ვინ უნდა მიაბარო მინას?“ — დაინტერესდა ვერუბიცკი. მან შემცდარმა აიჩეჩა მხრები და აღიარა, რომ კუბოს კი არა, მომაჯადოებელ მუსიკას მიჰყვებოდა.

მას საათობით შეეძლო, ესმინა მესტვირების სთვის, ქართული სიმღერები, განსაკუთრებით, „ურმული“ ხიბლავდა. მოსწონდა მარდი, უდარდელი მეტლეები, სტვენითა და შეძახილებით რომ დაქროდნენ ქვაფენილიან ქუჩებში — რომელ რუსს არ უყვარს ქროლვა? დაუღალავად დაიარებოდა ქალაქში, იოლად და უშუალოდ გააბამდა საუბარს გამვლელებთან, ათას რამეს ეკითებოდა. ისინიც გულლიად ხვდებოდნენ, ხალისიანად უპასუხებდნენ, თა-

ინტერესი მისი შემოქმედებისადმი გულწრფელი იყო. ესენინის პოეზიის საღამოებზე უზარმაზარი აუდიტორია იკრიბებოდა, თუმცა ის საღამო, ესენინმა დანამდვილებით იცოდა, ჩაიშლებოდა. იმ დღეს „ქართველ ბულბულს“ — ვანო სარაჯიშვილს კრძალავდნენ. საქართველო თალხით შეიმოსა. უნდა გენახათ პოეტის გაოცება, ხალხით სავსე დარბაზი რომ იხილა!

„საზოგადოებაშ აღფრთოვანებით მიიღო საყვარელი პოეტი. ესენინი ბრწყინვალები კითხულობდა. ამ დღის ძალაში განვითარება შუალედად და აო-ეტურმა საღამო თბილისელთა ცხოგიარებაში ხანგრძლივად გაართიანა რო თვითნარადი ტალანტი — სერგეი ესენინი და ვანო სარაჯიშვილი“, — იხსენებდა გოგლა ლეონიძე.

თბილისში ჩამოსული სერგეი ესენინი თავდაპირველად სასტუმრო „ორიანტში“ დაბინავდა,



მაგრამ იქ ძვირიანი ნომრები იყო და მისი ჯიბე ამას ვერ სწოდებოდა. ამიტომ რამდენიმე დღე ტიციან ტაბიძის ოჯახს სტუმრობდა (სხვათა შორის, ტიციანის სამი წლის გოგონამ — ტანიტმა, რომელმაც პირველად დაინახა ბიძიას თითქოსდა ოქროსმტვერშეფრენებული თმა, წამოიძახა: „ოქროს ფული!“. ეს მეტსახელი, რომელიც ყველას მოეწონა, პოეტს დიდხანს შერჩა). შემდგომ ის თავის მეგობარ ნიკოლაი ვერუბიცკისთან გადასახლდა კოჯირის ქუჩის 15 ნომერში — დაუსრულებული სტუმრიანობისგან, ქალაქის ხმაურისა და ალიაქოთისგან მოშორებით მუშაობა სურდა!

ჩანაფიქრი კი ესენინს ბევრი ჰქონდა — მასტებურიცა და საინტერესოც. შეიარაღებულმა თეზისით — „სხვადასხვა ხალხის გამაერთიანებლად“ ქცეულიყო, მტკიცედ გადაწყვიტა, რუსებისთვის ქართული პოზია გაეცნო. ვაუა-ფშაველას ნაწარმოებების გადათარგმნას აპირებდა. ტიციანი უკითხავდა ვაუას და იქვე პწკარედულად უთარგმნიდა. „სენინი შფოთავდა: დალავ-

**და, ადგილს ვერ პოულობდა... ცხოველებისა და გუნებისაში მიღმიღობაში ვაჟასა და თავისი მსგავსების მოხარული იყო. „აი სად ეძინა ჯიძს! — წამოიძახა მან, — ეს უნდა ვთარგმნი!“ — დაიციცა ესენინი. კიდევ რომ ეცოცხება, ვაჟა-ფშაველას ესენინის ული თარგმანები გვეძიოდა...“ — ჰყვებოდა გოგლა ლეონიძე.**

ვერ მოასწორო, ვერ იცოცხლა იქამდე... ვერ იქცა, საკუთარივე დაპირებისამებრ, „თქვენს მთარგმნელად რუსეთში“, გატეხა ფიცი — თავის ქვეყანაში სასიკვდილო სარეცელზე ლექსებით გამოთხვებოდა საქართველოს...

და მაინც ბევრი მოასწორო. თბილისური შემოდგომა, როგორც პუშკინისთვის ბოლდინისა, ესენინისთვის ერთობ ნაყოფიერი გამოდგა. მისი ბოლოდროინდელი ლექსების თითქმის მესამედი აქ დაწერა. „ზედმიწევნით კარგად ვმუშაობ და ვწერ. გაზაფხულამდე შეიძლება არც ჩამოვიდე!“ — ეს სტრიქონები 1924 წლის 17 დეკემბერს რუსეთში გაგზავნილი

წერილიდანაა... კიდევ სამი დღის შემდეგ: „ცხოვრებაში ასე ბევრი და ასე იოლად ძალზე იშვიათად გენერინება“. სადღაც გაქრა ის დათრგუნულობა და კაეშანი, რომლითაც გამსჭვალული იყო უცხოეთიდან სამშობლოში გაგზავნილი ბარათები! საქართველოში გატარებული დრო, თავად სერგეი ესენინის აღიარებით, მის ცხოვრებაში საუკეთესო იყო. ახალი შემართება ეწვია.

თითქმის ყველა ნაწარმოები, რომლებიც პოეტმა თბილისურ შემოდგომაზე შექმნა, პოემების ჩათვლით, გაზეთ „ზარია ვოსტოკიას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, რომელთანაც ესენინს განსაკუთრებული ურთიერთობები აკავშირებდა...

გაზეთში ესენინი ძალიან უყვარდათ და აფასებდნენ. „ზარია ვოსტოკიას“ ლიტერატურული ჩანართის რედაქტორობასაც აპირებდა.

როდესაც ესენინი გარდაიცვალა, გაზეთმა „ზარია ვოსტოკიამ“ თავის სამგლოვიარო განცხადებაში პოეტს თავისი „თანამშრომელი და ამხანაგი“ უწოდა.

## ტიციან ტახიძე სერგეი ესენინი

გაუხედნავი კვიცი იყავი  
და სისხლიანი, როგორც ჩაღატარ.  
დარჩები ლექსში გაურიყავი,  
ცოდვა, ამ ლექსს საფლავში გატან.

მოგდევდა სევდა დიდ ტრამალების  
და მოატანე დარიალამდე.  
სული სულს როგორ დაემალება?!  
ჩვენი თვალებიც ცრემლით  
დალამდენ.

განა შენ დარჩი მარტო ცოცხალი,  
რომ გადარჩენა არ გხარებია?..  
ვინ დაითვალოს ცრემლის  
კურცხალი,  
სირცხვილი, რაც გულს  
გაჟკარებია?..

გდიოდა ლექსი შენ,  
როგორც სისხლი,  
მოურჩენელი გულის იარა.

თავის სიკვდილით თავს  
ვერ დაიხსნი  
და სისხლი მხოლოდ სისხლს ეზიარა.

გამთენისას ხაშის დიდ ქვაბში  
ხარშავდა კეპქას მთვრალი პაოლო.  
ყინვას გაჟქონდა გარედ კაშკაში,  
სიკვდილმა ხელი მაგრად ჩაგავლო.  
და გულში სტირის შენი ანდერძი:  
სადღეგრძელოში

გვახსოვდე მარად.  
წითელ ლვინოში —  
შენ პურის კერძი  
წამოიზრდები სისხლის ტომარად.  
ლმერთი და სჯული, არა ვართ შორი,  
მონლოლის სისხლი გვიდულს  
ორთავეს,  
სული დააპეს და მერე ძორი,  
ძორიც ძერებმა გამოათავეს.

ასე უჭირდა, აღბათ, ამირანს,  
რომ დაულენეს ჩვენსავით მკერდი,  
შევსვამთ საწამლავს...

ჩვენ, როგორც მირონს —  
პირველად შენ სთქვი ეს ალავერდი.

ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ,  
შენზე ლრიალით გასკდა არღანი.  
საკუთარ ძმასაც ვეღარ გავუმშელ,  
რაც ჩაკირულა გულში ბალლამი...

სამწუხაროა, ყველა ესენი  
და უფრო მნარე კიდევ ის არი,  
ლამაზო ბიჭო! სერგეი ესენინ!  
ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი!..

ამხანაგებო, თუ ღრმა ლელეში  
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,  
ყველამ იცოდეს — სხვა პოეტებში  
ესენინ ჰყავდა ძმად  
ცისფერ ორდენს!..



# უკანასკნელი გასტარტული სოცემი ართი სერატის ისტორია

ეს ფოტოსურათი რუსთაველის სახელობის თეატრის დასის ერთმა ჯგუფმა 1993 წლის სექტემბერში, სოხუმში გამართული წარმოდგენის შემდეგ გადაიღო. ორიოდ დღეში სოხუმი დაეცა.

— ასე იყო, — იხსენებს საქართველოს სახალხო არტისტი ჯემალ ლალანიძე, უკანასკნელი მოშიკანი ქართული სცენის კორიფეთა იმ კოპორტისა, რომლის მსგავსი, ვეჭვობ, გამეორდეს ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიაში, — უმძიმესი დღეები ედგა მაშინ საქართველოს, ომი იყო, აფხაზეთის ომი.

ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფო საბჭოს (იოსელიანი, სიგუა, კიტოვანი) წევრი გახლდათ. ჰოდა, მან მაშინდელ კულტურის მინისტრს ვალერი ასათიანს მოუნია იდეა, სოხუმში მებრძოლი ჩვენი ჯარისკაცებისთვის გამართა კონცერტი, ან სხვა რამ მსგავსი ღონისძიება. სჭირდებოდა ეს ჩვენს ბიჭებს, გასამხნევებლად, იმ გამუდმებული დაძაბუ-

ლობიდან ცოტა ხნით მაინც გამოსასვლელად, რომელშიც დღე და ღამ უნევდათ ყოფნა — სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე.

სოხუმი ფრონტისპირა ქალაქი იყო და განუწყვეტლივ იბომბებოდა...

შევარდნაძემ მხარი კი დაუჭირა, მაგრამ, როგორც ვალერი ასათიანი იხსენებს, იყვნენ ისეთებიც, ვინც აჩქარებას არ ურჩევდნენ, დაელოდეთ, ვითარება დაწყნარდება და შემდეგ ჩადითო აფხაზეთში.

სოხუმში მებრძოლებს კი სწორედ ამ კრიტიკულ სიტუაციაში სჭირდებოდათ სულიერი ძალების მაქსიმალური მობილიზება, მუხტი სჭირდებოდათ განსაკუთრებული.

სხვა თუ არაფერი, ისტორიული

გამოცდილება კარნახობდა, ახსენებდა სამამულო ომის გამოცდილებას, როცა საომარ მოქმედებათა წინა ხაზზე კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეების საგანგებო ბრიგადები ჩადიოდნენ სწორედ ამ მიზნით.

გადადება არ ღირდა.

უკანდახევასავით იქნებოდა.

— თორმეტკაციანი იყო ჩვენი ჯგუფი, — განაგრძობს ბატონი ჯემალი, — პირველი, რა თქმა უნდა, რამაზ ჩხიკვაძე იყო, შემდეგ — გურამ სალარაძე, კახი კავსაძე, ქარი ლოლაშვილი, სოსოლაბიძე, ნანა ფაჩუაშვილი, თათული დოლიძე, ლეილა სიყმაშვილი, დავით ჩხიკვაძე (მსახიობი), რომელიც ჩვენთან ერთად მღერდა), ავთანდილ ვარსიმაშვილი, თავისუფალი თეატრის რეჟისორი, ამათ მეც მიმათვალეთ. წამოსული იყო ნატაშა ჩხიკვაძე, რამაზის მეუღლე. ჯგუფში გვყავდა ხმის ოპერატორი ბეჟან შერეზა-

დაშვილი, გამნათებელი ვალიკო არუთინოვი. სოხუმში დაგვხვდა დიმა ჯაიანი.

წარმოდგენის გასამრავალფეროვნებლად კულტურის მინისტრმა მომღერლებიც დაგვიმატა: მათ შორის — ეკა მამალაძე, თამრიკო ჭოხონელიძე.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე ჩვენს ჯგუფს წონას მატებდა და ამ აქციის მნიშვნელობას ხაზს უსვამდა.

ამ დროს რობიკო სტურუა ინგლისში იყო მინვეული სპექტაკლის დასადგმელად და, ბუნებრივია, სოხუმში ვერ ჩამოვიდოდა. ეს ძალიან გულდასაწყვეტი იყო, რადგან ვთამაშობდით ნაწყვეტებს სწორედ მის მიერ დადგმული საეტაპო სპექტაკლებიდან: „ყავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „მეფე ლირი“...

სოხუმი რომ ფრონტისპირა ქალაქი იყო, ჩარტერული რეისით ჩაფრენისთანავე ვიგრძენით: ავტობუსი „იკარუსი“, რომელიც დაგვახვედრეს, შემოვლითი გზებით ატარეს, ქალაქის ცენტრში რომ მიგსულიყავით, მიგვაცილებდნენ ჯარისკაცები, რომლებსაც შესაძლო თავდასხმისგან უნდა დაეცვათ მგზავრები. არაფერი გამორიცხული არ იყო.

როგორც იქნა, მივაღწიეთ თეატრამდე. შენობის კარ-ფანჯრები ფიცრებით იყო აჭედილი. მოვნახეთ ადამიანი, რომელსაც თეატრის დარაჯობა პქონდა მინდობილი. გაერთიანებული ძალებით ჩამოვგლიჯეთ აჭედილი ფიცრები. შევედით შენობაში. ძნელი ნარმოსადგენია, რაც იქ დაგვხვდა — ჭუჭყითა და მტერით იყო სავსე თეატრი. რაც შეგვეძლო, გავწმინდეთ, დავბერტყეთ ფარდები, დავხვეტეთ სცენა, დარბაზი, მტვერი მოვაცილეთ სავარძლებს.

ტემპში ვმუშაობდით, რადგან წარმოდგენა დღისით უნდა გაგვემართა — ელექტროენერგიის გამორთვა სოხუმში ჩვეულებრივ ამბად იყო მიჩნეული.

სამი საათისთვის მაყურებლებით გაივსო დარბაზი. ძირითადად ჯარისკაცები იყვნენ, ქალა-

ქის მოსახლეობაც მოვიდა.

წარმატება არაჩვეულებრივი იყო, არნახული.

წარმოდგენა რომ დამთავრდა, ეს ფოტოსურათი გადავიღეთ. განათება სუსტი იყო და, ცხადია, ხარისხიც დაბალია. ციფრული ფოტოკამერები კი იმ დროს საქართველოში ჯერ არ იყო შემოსული. ყველანი ამ სურათზე ვართ აღბეჭდილი — მსახიობები, ჩვენი დამხმარენი და, რაც მთავარია, მაყურებლები — ქართველი ჯარისკაცები.

შეიძლება ითქვას, ისტორიული სურათია.

უკანა გზაზე, კელასურში, აეროპორტს რომ უახლოვდებოდნენ, ავტობუსი გააჩერებინა გენო კალანდიამ, ქართველმა პოეტმა, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრი იყო და აფხაზების მწერალთა კავშირს თავმჯდომარებდა. გააჩერებინა ავტობუსი, გადმობრძანება სთხოვა ყველას და ზურაბ შენგელაიას ოჯახში შეიძატიუა: ბატონ გენოს თავისი დეიდაშვილისთვის უთხოვია, სტუმრები მყავს და, აბა, შენ იცი, ლირსეული მასპინძლობა გამანევინეო. ზურაბ შენგელაიას, ქართველი კლასიკოსის — ლეო ქიაჩელის შთამომავალს, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის — შოთა მესხიას ბიძაშვილს, სულით ხორცამდე ქართული ტრადიციების ერთგულ კაცს, რაღა თქმა უნდა, ისეთი სუფრა გაუშლია, როგორიც პატივსაცემ სტუმრებს ეკადრებოდა, თავი არ შეურცხვევინა. იმ გაჭირვებულ სოხუმში ასეთი გულუხვობა სასწაული იყო.

მაგრამ პური არ ცხვებოდა მაშინ ქიალაქში და ბოდიში მოუხდია მასპინძელს ამის გამო.

ვალერი ასათიანის, „სოხუმის დესანტის“ ორგანიზაციონსა და სულის ჩამდგმელს, ეს ნიუანსიც გაუთვალისწინებია და თვითმფრინავიდან, სადაც თბილისიდან წამოღებული საგზალი ეწყო, სულ კახური დედას პურებით შეუვსია ის მაღლიანი სუფრა.

თამადად გენო კალანდია დამდგარა.

— ამასობაში ჩამოლამდა, მანქანის ფარებზე გავაგრძელეთ ნადიმი ჩვენ და ჯარისკაცებმა. არაჩვეულებრივი, არნახული დრო გავატარეთ და ამ ტალღით ატაცებულებმა თვითმფრინავში გავაგრძელეთ სადღეგრძელობის თქმა, — ყვება ჯემალ ლალანიძე, — თითქოს ომი არ იყო, თითქოს არაფერს ნიშნავდა, რომ ჩვენი „იაკ-40“ გამორთული ნათურებით აფრინდა, სეპარატისტების სამიზნე რომ არ გამხდარიყო.

თამადად ვალერი ასათიანი გვყავდა. მოგეხსენებათ, რა თამადაც არის, არაფერი შეშლია. მაგრამ დრო ვერ გათვალა და, ბოლო სადღეგრძელოც დირსეულად რომ შეესვათ თანამეინახებს, მფრინავს სთხოვა, ერთი წრე კიდევ დაერტყა თბილისის თავზე, შემდეგ დაშვებულიყო. „იაკ-40“ ერთხელ კიდევ შემოევლო თავზე საქართველოს დედაქალაქს, ყველამ ჩვენ ჩვენი სიტყვის თქმა მოვასნარით.

— რა სადღეგრძელო თქვით, ბატონო ვალერი? — ვეკითხები ვალერი ასათიანს.

— საქართველოს გაერთიანების სადღეგრძელო იყო, ბოროტზე კეთილის ძლევის.

— ბატონო ვალერი, თქვენ გქონდათ შესაძლებლობა, იმ წარმოდგენის მსველელობის დროს მაყურებელთა რეაქციისთვის მიეგებდევნებინათ თვალი.

— გიპასუხებთ ამ შეკითხვაზე, მაგრამ მანამდე მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ჯგუფს სოხუმელები კელასურში დაგვხვდნენ. მათ შორის იყო ლორიკ მარშანია, გენო კალანდია, გენერალი ადამია და სხვები. გოგა ხაინდრავა, რომელიც მაშინ სახელმწიფო მინისტრი იყო, პირდაპირ თეატრში მოვიდა, დაცვის თანხლებით, წარმოდგენაზე ბოლომდე ვერ დარჩა. აღელვებული და აფორიაქებული ჩანდა, რაც იმ ვითარებაში გასაგები და ბუნებრივი იყო.

არ მინდა, სიტყვა „დაბნეულბა“ ვიხმარო, მაგრამ, როგორც პატარა ბავშვები, ისე სათუთი, თბილები და გულჩვილები ჩანდ-



ნენ ჩვენი ჯარისკაცები. ვერ გადმოგცემთ, რა დაემართათ, როცა დაგვინახეს: როგორც ძველ მეგობრებსა და ახლობლებს ეფერებოდნენ და ეხუტებოდნენ ჩვენს სახელგანთქმულ არტისტებს — რამაზ ჩხიკვაძეს, გურამ სალარაძეს, ჯემალ ღალანიძეს, კახი კავსაძეს, უანრი ლოლაშვილს, ჩვენს ბრწყინვალე მსახიობ ქალბატონებს. ეკა მამალაძეს ლამის ხელები დაუკოცნეს.

წარმოდგენის მსვლელობისას სინათლე გამოირთო და სპექტაკლი სანთლების შუქზე გაგრძელდა. ვხედავდი, როგორ უბრნყინავდათ თვალები ჩვენს მეომრებს და ეს თვალები თითქოს შუქს მატებდა სოხუმის თეატრის ნახევრად ჩანსელებულ სცენას.

საოცრება ხდებოდა: განწყობილება იყო დუმილიანი, ცრემლიანი, ყელში ბურთივით რომ გაწვება და ძალას რომ გაცლის. ასეთი იყო რეაქცია და არა ბლავილიანი ოვაცია, თუმცა ძლიერი ტაშიც იყო და აღფრთოვანებაც ნანახითა და მოსმენილით. არაჩვეულებრივად მიიღეს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის ნამიერი დუმილი, რომელიც ნარმოდგენის დამთავრების შემდეგ მოულოდნელად ჩამოვარდა: ყველა ელოდა, ყველას სურდა, რომ დაუსრულებლად გაგრძელებულიყო ეს ღვთაებრივი შეხვედრა თეატრალურ სამყაროსთან.

მუხტი იგრძნობოდა საოცარი: რამაზ ჩხიკვაძე ისეთ ფორმაში იყო, სასწაულს ახდენდა.

აზდაკი მეფობდა სცენაზე, ეს უპატიოსნესი მექრთამე მოსამართლე, დაგლეჯილი ქუდით თავზე და მრავლისმნახველი ტანსაცმლით შემოსილი, სახრჩობელისთვის განნირული ოპტიმისტი:

— მე გათახსირებული ბოროტმოქმედი ვარ. აი, ჩემი უნებლიერობით მოქმედების მამხილებელი საბუთი (გადასცემს ჯარისკაცებს „საბუთს“, რომლებიც მას უაზროდ ხელში ატრიალებენ). ხმა ამოიდე, შალვა, ხომ ხედავ, ამ ხალხმა კითხვა არ იცის. თქვი, შალვა, თქვი, როგორ უცდილობი მთელი ღამე, ბოროტმოქმედისთვის ფარდა ამეხადა.



**შალვა:** — თან სულ მემუქრებოდა, ბატონებო...

**აზდაკი:** — ესეც იყო, ვერ დავმალავთ.

**შალვა:** — ჰოდა, ასეთი რამ არ გეკადრება, აზდაკ!

**აზდაკი:** — ხმა ჩაიწყვიტე, შალვა! შენ გავიწყდება, რომ ახალი დრო დადგა! ჰოლიციელებს მუსრს გაავლებენ. ახლა უჯობესია, კაცმა თვითონ ალიაროს თავისი დანაშაული, თორემ ხალხის რისხვას ვერსად დაემალება! სადა არის მოსამართლე, რომ მოვიდეს და გამასამართლოს... სად არის მისი აღმატებულება, ბატონო გუბერნატორი?..

**ჯარისკაცი:** — მაინც რას მოელოდი ჩვენგან?

**აზდაკი:** — რაც სპარსეთში მოხდა.

**ჯარისკაცი:** — მერედა, რა მოხდა სპარსეთში?

**აზდაკი:** — ამ ორმოცი წლის წინათ ყველანი ჩამოახრჩეს... ბაბუაჩემი თვითონ მოსწრებია ყოველივე ამას. სამ დღეში გაუჟღეტიათ ყველანი.

**ჯარისკაცი:** — მერედა, რის გამო მოხდა ეს ყველაფერი, შე თა-

თარო, შენა?

**აზდაკი:** — თქვენ გაინტერესებთ, რის გამო მოხდა ეს ყველაფერი, მე თათარო, მენა?..

(და იწყება სპექტაკლის კულმინაცია, აზდაკის მონოლოგი-სიმღერა).

— ბაბუაჩემმა ეს სიმღერა დამიტოვა. მაშინ იქ, სპარსეთში ასე მღეროდნენ... მე და ჩემი მეგობარი გიმღერებთ. შალვა! შალვა! თოკი! თოკი მაგრად გეჭიროს, ბრიყვო! ეს სიმღერას უხდება. გთხოვთ!

რატომ ჩვენს კაცებს აღარა აქვთ ძარღვებში სისხლი?

ჩვენს ქალებს ცრემლი რატომ დაუშრათ?

და რატომ შერჩათ სისხლი სასაკლაოზე მიდენილ

ხბორებს?

ცრემლი კი — წყლის ნაპირს მტირალ ტირიფებს?

რატომ?..

ქართული თეატრი ბრწყინვალებდა სოხუმის სცენაზე.

ფარდა დაეშვა...

„ნეტავი, იქ არის თეატრი?“

არმაზ სახეაღიძე

P.S. ასეთია ამ ერთი ფოტოსურათის ისტორია, რომელიც ჩვენს მკითხველებს გავაცანით. ისტორია, რომელიც არ ჰგავს იმ ბლლარუნშოუებს, ქართული ტელეეკრანები და სცენა რომ დაიპყრო. სამწუხაროდ.

უფრო საწუხარი კი ის არის, რომ იმ წარმოდგენის მონაწილეთაგან ზოგიერთი და დამსწრეთა უმეტესობა — ჯარისკაცები ჩვენს პუბლიკიას ვერ წაიკითხავს: ღმერთმა გაანათლოს მათი სულები!



# დაუვიცეარი შეხვეძეები

ფოტოები, რომლებიც ჩვენს რედაქციას 92 წლის მეცნიერმა, იმ პერიოდში ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა, ფილოლოგმა ლითარ ქაჯაიამ მოგვაწოდა, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნისაა. მათზე აღბეჭდილია ერის სასიქადულო ადამიანების ცხოვრების საინტერესო მომენტები, რომელთა შესახებ მოგითხოვთ ბატონი ოთარი.

**ბატონმა ოთარმა მთელი თავისი ცხოვრება სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდას მიუძღვნა.**

მან, თავისი მასწავლებლის — აკაკი შანიძის რჩევით, შეადგინა მეგრულ-ქართული ლექსიკონის ოთხტომეული, რომელსაც რამდენიმე ათწლეული მოანდომა. კოლეგები იმთავითვე მიიჩნევდნენ, რომ მისი ნაშრომი ქართველოლოგიურ მეცნიერების საგანძურში საპატიო ადგილს დაიჭირდა.

## გალაპტიონი სტალინიში (ცხინვალში)

**ცხინვალი (<\* რცხილ < ველი ქართულით: ქრცხილა) 1931-1961 წლებში იწოდებოდა სტალინი-რად.**

1956 წლის მაისის ბოლო რიცხვებია. ხმა გავრცელდა, სტალინირს დიდი გალაკტიონი ეწვევაო. სიხარულმა მოიცვა მთელი ქალაქი: ქართველი თუ ოსი, ებრაელი თუ სომეხი. დილის 5 საათია, პედაგოგიური ინსტიტუტის კარს მოადგა მანქანა. გადმობრძანდნენ: **ბატონი გალაპტიონი, დიმიტრი განაშვილი და**

**ალექსანდრე ლლონი.** უნდა ითქვას, რომ გალაკტიონის ჩამოყვანას დიდი ამაგი დასდო პროფ. ალექსანდრე ლლონტმა. ის ეახლა ბატონ გალაკტიონს სახლში და დაარწმუნა, მისი ჩასვლა სტალინირში (ცხინვალში) და პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებთან შეხვედრა აუცილებლად საჭიროა ორი ერის — ქართველებისა და ოსების — ისტორიული თანაცხოვრების განმტკიცებისთვის. თან შეუთანხმა, რომ, მასთან ერთად, ნამობრძანდებოდა პროფ. დიმიტრი ბენაშვილი.

ოვაციით შეხვდნენ და გააცილეს ისინი სააქტო დარბაზში. დამხვდურთა შორის არიან: სტუდენტები ინსტიტუტის პროფესიონალური ცხინვალის

ბატონმა დიმიტრიმ მოკლედ მიმოიხილა გალაკტიონის შემოქმედება და ბრძანა: არასწორად მიმართია გავრცელებული აზრი, თითქოს გალაკტიონის შემოქმედებაში გამოიყოფა ორი პერიოდი: რევოლუციის წინა პერიოდში დანერილი ლექსები და რევოლუციის შემდეგ დაწერილი ლექსები. ეს გალაკტიონის შემოქმედებისადმი არასწორ მიდგომად მიმართია, გალაკტიონის პოეზია ერთია, ერთი მთლიანი და განუყოფელი. ამაზე გალაკტიონმა უეცრად ტაში შემოკრა. როგორც გამოჩნდა, ეს აზრი მას მოეწონა.

მას ესალმებიან ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. ბატონ გალაკტიონს უსურვებენ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და ახალახალი მარგალიტების შემატებას ქართულ პოეზიაში.

სიტყვა ეძლევა გალაკტიონს. ის იზიარებს მისი მეგობრის მოსაზრებას. შემდეგ კითხულობს ორ ლექსს: „ქარი ქრის“ და „მთაწმინდის მთვარე“. მისთვის ჩვეული ხმით დაიბუბანა: „ქარი ქრის, ქარი ქრის“; „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი, მდუმარებით შემოსილი შელამების ქნარი“...

№1 ქართული საშუალო სკოლის (დირექტორი ვახტანგ კასრაძე) და №4-ე ასევე ქართული საშუალო სკოლის (დირექტორი მიხეილ გაგლოშვილი) მოსწავლეები და პედაგოგები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მწერალთა კავშირის წევრები, ქალაქის ქართველი და ოსი მოსახლეობის ნარმომადგენლები. სააქტო დარბაზი ყველა მსურველს ვერ იტევს.

შეხვედრას ხსნის პროფ. ალ. ლლონტი. მოკლე შესავლის შემდეგ სიტყვას აძლევს ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მწერალსა და კრიტიკოსს, გალაკტიონის მეგობარს, დიმიტრი ბენაშვილს.





სააქტო დარბაზის ჭერი, კედლები ზანზარებს. ბატონი გალაკტიონი კმაყოფილია.

ერთმანეთს ცვლიან სტუდენტები, კითხულობენ გალაკტიონის ლექსებს, ზოგიერთმა საკუთარი ლექსიც გაურია.

კულმინაცია... ბატონი ალექსანდრე დლონტი აცხადებს: ოსურ ენაზე საკუთარ „მე და ლამეს“ თარგმანს წაიკითხავს ოსური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტი. მინდიაშვილი. სცენაზე ადის ტანმორჩილი ახალგაზრდა, მამით ქართველი, დედით ოსი. აღმოჩნდა, ის ერთნაირად ფლობს ქართულსაც და ოსურსაც.

აღფრთოვანებას ვერ მალავს ეს ბუმბერაზი კაცი, დგება და მკერდში იკრავს ამ ქართველ-ოს სტუდენტს. გალაკტიონის გაოცებასა და სიხარულს საზღვარი არ აქვს.

შეხვედრა დამთავრდა. გალაკტიონის სადიდებელი შეძახილები. ინსტიტუტის წინ ზღვა ხალხი

ელოდება... სხდებიან მანქანაში და მიემგზავრებიან ერთ-ერთი სტუდენტის სახლში. აქ არიან ქართული ენის, ქართული ლიტერატურის კათედრათა წევრები, სტუდენტები. სუფრას თავკაცობს ბატონი ალექსანდრე დლონტი. ის ჩვეული მალალფარდოვანი სიტყვებით ერთხელ კიდევ ამკობს დიდ გალაკტიონს.

გავათენეთ. ბევრი თბილი სიტყვა ითქვა, განუწყვეტლივ ისმოდა გალაკტიონის ლექსები.

ეს სურათები თბილისში გამომგზავრების წინ გადავიდეთ სახლთან, სადაც შინაარსით დახუნდლული, დაუვიწყარი ლამე გავატარეთ ქ. სტალინირში.

ცხინვალთან და გალაკტიონთანაა დაკავშირებული ასევე ერთი ფრიად საინტერესო მოგონება.

ცხინვალში მოღვაწეობის პერიოდში ჩვევად მქონდა, რომ, ყოველ კვირას თუ არა, ორ კვირაში ერთხელ მაინც შემევლო ცხინვალის ცენტრში მდებარე საოლქო

დონის წიგნების მაღაზიაში. თბილისში როცა ვერ ვახერხებდი წიგნის შეძენას, იქ აუცილებლად დამახვედრებდნენ. წიგნის მაღაზია სამგანყოფილებიანი, სამენოვანი იყო: ქართული, ოსური და რუსული წიგნებით.

ერთ მშვენიერ დღეს შევდივარ ამ მაღაზიაში და ჩემი ოთხი სტუდენტი კედელთან აიტუზა. — რა ხდება, ბიჭებო? მესამე კურსის სტუდენტი აღმაზორ თავაძე მეუბნება: პატივცემულო, მალაზიას მიუღია გალაკტიონ ტაბიძის წიგნი, რომელმიაც დაბეჭდილია ასი რჩეული ლექსი. მე ვეუბნები მათ, რომ ასივე ლექსი ზეპირად ვიციმეთქი, ამათ არ სჯერათ. მე ვეუბნები, შემამოწმეთ და თუ დავმარცხდები, მე გიყიდით სამივეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ მიყიდეთ-მეთქი და ამ დროს თქვენც შემობრძანდით.

გამყიდველ გოგონას ვანიშნე, ჩამორიგებინა წიგნები! ერთი მეც ავიღე. დაიწყო შეჯიბრი: ერთ მხარესაა აღმაზორი, მეორე მხა-



შოთო გადაღებულია ინსტიტუტის  
შესასვლელთან. 1967 წლის 27 მაისს



რეს — თანაკურსელები (ა. ჩიტიშვილი, ი. ოვაძვილი და თ. ელკანოვი). ამ შეჯიბრის მედიატორები, ჩემდა უნებურად, მე გავხდი. ქუჩაში გამვლელ-გამომვლელიდან ბევრი აღმოჩნდა მაღაზიაში, ყველას აინტერესებდა, რით დამთავრდებოდა ეს ნიჭის, მეხსიერების, გალაკტიონის პოეზიისადმი სიყვარული.

გაიმარჯვა სიყვარულმა.

ოთხივე დავასაჩუქრე გალაკტიონის ამ რჩეულით.

## აპარი შანია ცხინვალში

1967 წლის თებერვალში აკაკი შანიძე 80 წლის გახდა. ეს თარიღი ქართველმა ხალხმა ღირსეულად აღნიშნა. იმ პერიოდში ცხინვალში ვმუშაობდი, ვხელმძღვანელობდი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას. კათედრის სხდომაზე დავაყენე საკითხი, მოგვეწვია ბატონი აკაკი ინსტიტუტში და შეგვეხვედრებინა სტუ-

დენტებისათვის. წინადადება კათედრის ნევრებმა ერთსულოვნად გაიზიარეს. ამის შემდეგ ბატონ აკაკის ბინაში ვეახელი და ვთხოვე, წამობრძანებულიყო ცხინვალში, შეხვედროდა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს, ცხინვალის საზოგადოებას. დამთანხმდა, დავთქვით დროც, მაისის ბოლო რიცხვები.

ბატონი აკაკის თანხმობით აღფრთვანებულმა დავიარე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბი-





ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ა. პუშკინის (ამჟამად ილიას) სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) პროფესორ-მასწავლებლები: ძველი ქართული ენის კათედრის, ახალი ქართული ენის კათედრათა ნევრები, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მოღვაწე ენათმეცნიერები. აბსოლუტურმა უმრავლესობამ გაითავისა ჩემი თხოვნა და 27 მაისს 12 საათისათვის ეწვივნენ ცხინვალს. ბატონ აკაკის ახლდნენ 12 პროფესორი.

ბატონმა აკაკიმ დაათვალიერა ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, რომლის კედლებზე გამოფენილი იყო ზეთზე შესრულებული სურათები ქართველი მწერლებისა და პოეტების — შოთა რუსთაველით დაწყებული გალაკტიონით დამთავრებული, ასევე ცალკე ერების კედლებზე — აკაკი შანიძეს, გიორგი ახვლედიანს, არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურიას.

კათედრის კედლის გაზეთთან მდგარი ბატონი აკაკი უეცრად მიხმობს თავისთან და მეკითხება: ოთარ, გეთაყვა, ეს ყანიძე ვინდაა? გამხიარულდნენ სტუმრები.

საქმე შემდეგში იყო: არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ დაიძებდა ბატონი აკაკის საგანგებო წერილი, რომელშიც მან დააყენა საკითხი, რომ ქართულ დამწერლობაში დღეს, სხვა ენებისაგან განსხვავებით, არ გვაქვს დიდი ასოები, ძველ ქართულში კი იყო. ჩვენი წინაპრები ნუსხურსა და მხედრულ დამწერლობებში სათაურებში, წერტილის შემდეგ ახალი წინადადებების დასაწყისში, ასევე საკუთარ სახელმწიფი, გვარებსა და გეოგრაფიულ სახლებში საწყის ასოდ იყენებდნენ ასომთავრულს. უპრიანი, მიზანშეწონილი იქნება, ბრძანებდა ბატონი აკაკი, ეს ტრადიცია ალვადგინოთ თანამედროვე ქართულ დამწერლობაში.

ვიხელმძღვანელეთ რა ბატონი აკაკის ამ ინიციატივით, მისადმი

მიძღვნილ კედლის გაზეთში ეს პრინციპი გავატარეთ. როგორც ჩანდა, ბატონი აკაკის ესიამოვნა ეს და ამიტომ მისთვის ჩვეული იუმორით მკითხა, ყანიძე ვინდაა? ასომთავრული შ გარეგნულად ჰქავს ყ-ს.

საოლქო აღმასკომის სხდომათა დარბაზი ხალხითაა გადაჭედილი. ეს შეხვედრა იქცა ქართული ენის ზემად.

დღის მეორე ნახევარში შეხვედრა გაგრძელდა ჩვენი ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის თანამშრომლის — მ. ჭაისა ოჯახში. სუფრას სტუმრებთან ერთად უსხდნენ ინსტიტუტის რექტორი პავლე დოგუზოვი, ფილოლოგის ფაკულტეტის ფაკულტეტის დეკანი გიგა მამითი, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ნევრები დღისა და სალამოს განყოფილების IV-V კურსის სტუდენტები (აქ სურათი 3).

ბატონმა აკაკიმ რამდენიმე ქართული სიმღერა შესთავაზა თანამეინახებს, აყვნენ სტუდენტებიც. ერთი სიტყვით, მეორე განყოფილებამაც წარმატებით ჩაიარა.

მეორე დღე, 28 მაისი, კვირა იყო. გეგმის შესაბამისად გავემზიავრეთ ჯავაში. ბატონმა აკაკიმ გაიხსნა: 1939 წელს აქ, ჯავაშის სანატორიუმში ვისვენებდიო და აქ დავამთავრეო „ქართული ენის გრამატიკა“ (მორფოლოგია, სასკოლო სახელმძღვანელო).

ასე დამთავრდა აკაკი შანიძის ორდლიანი სტუმრობა ცხინვალში.

## აპაპი შანიძე ლეგარდეზი

1969 წლის აგვისტოს ცხელი დღეები იდგა. სოფელ ბანძაში ამბავი ჩამოიტანეს, აკაკი შანიძე ლეგარდეზი ავიდაო დასასვენებლად. გამიკვირდა, რადგან ვიცოდი, ბატონი აკაკი სვანეთში აპირებდა წასვლას, ქართველურ ენათა ანდაზებზე მუშაობდა და ზოგი რამ ჰქონდა დასაზუსტებელი.

მეორე დღესვე მეუღლესთან ერთად ავედი ლებარდეზი. მარტვილის რაიონში არის ზღვის დონიდან 1500-1550 მეტრზე ასეთი უმშვენიერესი საკურორტო ადგილი შესანიშნავი მუსე (რკინოვანი) წყლით და, თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოში ერთ-ერთი უნიკალური, ზღვისა და მთის გაჯერებული ჰაერით შემკული. ბატონმა აკაკიმ მიამბო: ჩავედი ქუთაისში, წვიმდა. მითხრეს: უამისნდობის გამო მესტიაში ფრენა შეიძლება ორი-სამი დღე არ იქნესო. გადავწყვიტე ლებარდეზი ასვლა.

ლებარდეზი ბატონი აკაკი ორ კვირას დარჩა. 82 წლის მოხუცი თავს ბრწყინვალედ გრძნობდა. განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო მასპინძლობით: მეგრელები პატივისცემაში ჩაგახრჩენო,



— იტყოდა ხოლმე ხუმრობით, თუმცა არც ისე უსაფუძვლოდ.

რომ დამინახა, ესიამოვნა. გაუსარდა ცხონებულ ნოდარსაც. მითხრა: ოთარ, შენ და შენი მასნავლებელი იცხოვრებთ მეგრულ ოდაში, რომელიც საგანგებოდ ვასილ მჟავანაძისათვის აშენდა. ვასილ მჟავანაძემ იმ სახლში დამე გაათია, ჩვენ (ბატონმა აკაკიმ და მე) კი — 17 ლამე.

აღმოჩნდა, ლებარდეში ბევრი მისი უნივერსიტეტელი სტუდენტი ისვენებდა, ისინი გარს ეხვივნენ ბატონ აკაკის და ნიავსაც არ აკარებდნენ. ჩემი ლებარდეში ასვლის შემდეგ ბატონმა აკაკიმ ყველას დიდი მადლობა გადაუხადა ყურადღებისათვის, თან დაამატა: ამ სახლში მე და ჩემი მოწაფე ვიცხოვრებთ, თქვენ ნუ შეწუხდებით.

კურორტ ლებარდეს დირექტორად იმხანად მუშაობდა რომანოზ ძაძამია, განათლებული, ჩვენი ქვეყნის დიდი პატრიოტი, სპეციალობით მათემატიკოსი, დიდი მოყვარული ქართული მწერლობის, განსაკუთრებით ქართული პოეზიის. ქართველ პოეტებს თურამ კარგი ლექსები ჰქონდათ დაწერილი სამშობლოზე, ზეპირად იცოდა.

დადგა ჟამი ლებარდედან გამომდინარებისა. ბატონმა რომანოზმა გამოსამშვიდობებული სუფრა ლებარდეს ასასვლელმი, ლია ცის ქვეშ, წალკოტში გამალა. ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ბატონ აკაკიზე.

## აღგილობრივი ქადრის მოძალება

კათედრამ საგანგებო სხდომაზე მიღლო გადაწყვეტილება, ეზრუნა ადგილობრივი კადრის (ქართველი და ოსი ახალგაზრდების) მომზადებაზე. საგანგებო დადგენილებით ამის განხორციელება დაევალა კათედრის გამგეს.

ამთავითვე ხაზგასმით მინდა ვთქვა (ეს ჩემი სუბიექტური აზრია და შეიძლება, ვცოდავდი კიდეც), რომ ქართული ენისა და ლიტერატურის IV კურსის სტუდენტები, სტუდენტ ანზორ ფუსავეს, რომელიც კარგი დეკლამატორი იყო, ჰქონდა პოეტური ნიჭი, გამოიჩინდა არტისტიზმით, დავავალე, შეექმნა სასცენო მონახაზი.

## რომანზ ძაბაშია (კურორტ ლებარდეს დირექტორი), ოთარ ქაჯაია და აპაკი შანიძე



თოდიკის სპეციალობებზე, ვცდილობდი, 40-45% ქართული სკოლადამთავრებული ოსი გოგო-ბიჭები მოხვედრილიყვნენ. რამდენად გამომდიოდა ეს, სხვა საკითხია.

და აი, ერთ წელს მიღება ძალიან იღბლიანი გამოდგა: მისაღები გამოცდების შედეგად 25 ჩარი-

## ოთარ ქაჯაია რო სტუდენტებთან ერთად



ცხული სტუდენტიდან 13 ქართული სკოლადამთავრებული ოსი გოგო-ბიჭი აღმოჩნდა. მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩიოდნენ: მ. ნართიკოევა, ნ. ბეპიევა და ნ. თაბუაშვილი (თაბუევა). მათ ნარჩინებით დაამთავრეს ინსტიტუტი.

კათედრის სხდომაზე გადაწყდა, მათთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა. პუშკინის (ამჟამად ილიას) პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) წინაშე გაგვენია შუამდგომლობა, ასაკირანტურაში ადგილების გამოჩენის შემთხვევაში, დაეშვათ გამოცდებზე ან მიეცათ უფლება, ჩატარებინათ საკანდიდატო მინიმუმი და გამოეყოთ მეცნიერ-ხელმძღვანელი.

სამივემ ჩაბარა საკანდიდატო მინიმუმი. ორმა (თაბუაშვილმა და ბეპიევამ) დაიცვეს საკანდიდატო დისერტაციები. ნ. ბეპიევა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიაც კითხულობდა ლექციებს, ხოლო თაბუაშვილი ქართულ ლიტერატურის ისტორიის კურსს კითხულობდა სამსრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტში.

ერთი სიტყვით, კათედრის ძალისშემცვამ ადგილობრივი ოსი გოგო-ბიჭების ქართულ ფილოლოგიაში (კერძოდ, ქართულ ენასა და ლიტერატურაში) გაწვრთნამ სასურველი ნაყოფი გამოიღო.

## სელხან-საბას იუბილე

ტარდებოდა სულხან-საბა ორბელიანის იუბილე. კათედრამ გარკვეული ღონისძიებები დასახა. შევკრიბე ქართული ენისა და ლიტერატურის IV კურსის სტუდენტები, სტუდენტ ანზორ ფუსავეს, რომელიც კარგი დეკლამატორი იყო, ჰქონდა პოეტური ნიჭი, გამოიჩინდა არტისტიზმით, დავავალე, შეექმნა სასცენო მონახაზი.

იუბილის დღეს ინსტიტუტს მოაწყდა ახალგაზრდობა. სააქტო დარბაზი 250-მდე კაცს იტევდა მხოლოდ, დასწრების მსურველი კი ძალიან ბევრი იყო. რექტორა-



ტი იძულებული გახდა, ქალაქის მილიცია შეენუხებინა.

სულხან-საბას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე რამდენიმე მოხსენების შემდეგ იწყება მეორე განყოფილება. სხდომას ესწრება უშიშროების საოლქო განყოფილების უფროსის პირველი მოადგილე ალექსანდრე ბადათურია, სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევიდან იყო წარმოშობით. ვჯდები მის გვერდით.

იხსნება ფარდა. სცენაზე დგას კათედრა, კათედრაზე ბჟუტავს სანთელი. აქვე ზის ანაფორაში ჩაცმული ჭალარა საბა (ანზორ ფუძაევი) და პყვება თავის ევროპაში მოგზაურობის პერიპეტიებს. კერძოდ, როგორ ეახლა რომის პაპს, შემდეგ საფრანგეთის იმპერატორ ლუდოვიკოს, როგორ ეხვენა დახმარებოდნენ საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. საბას მოგზაურობა ევროპაში უშედეგოდ დამთავრდა. იწყება საუბარი ქართლის ჭირზე. სიღრმეში დგანან სტუდენტები-გოგონათა ქორო და მოგვითხრობენ ქართლის ჭირზე, სწავლა-აღზრდის საკითხებზე. ყოველი სტრიქონი ურუანტელის მომგვრელია: „შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა, ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა, ავაზაკობა, ქურდობა, გზებზედ დასხდომა მზირისა, ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა, მწირისა!“, „მე, თუ გინდა, თავი მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად, ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

ხაზი გაესვა ქართლის ჭირს, შინაურ აშლილობას: „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლლილვი,

დიდო, ქისტი, სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრათვით ქიშტი! მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი, თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!“

ასე, საბასეული და გურამიშვილისეული რჩევა-დარიგებებით დამთავრდა ეს განყოფილება.

შემდეგ წამყვანი ანზორ ფუხავი აცხადებს: ცეკვა „ქართულს“ შეასრულებს წოე უორდანია. გვყავდა სტუდენტი უორდანია, რომელსაც თანაკურსელები რატომლაც წოეს ეძახდნენ.

საიუბილეო საღამო წარმატებული აღმოჩნდა. მაგრამ იყვნენ ბოროტი ადამიანები, ჯაშუშები, რომლებმაც იმავე ლამეს მიიტანეს ამბავი უშიშროებაში, რომ საღამოზე ცუდ კონტექსტში ახსენესო თხები, ახსენესო წოე უორდანია.

ერთი კვირის შემდეგ თბილისი-ცხინვალის მატარებლით ცხინვალში ჩავდივარ. რყინიგ ზის სადგურზე მხვდებიან სტუდენტები. ერთ-ერთი მიყვება: პატივცემულო ლექტორო, მეორე დღეს უშიშროებაში დაგვიბარესო ყველა, ვინც მხატვრულ განყოფილებაში ვმონანილეობდითო. რატომ ახსენეთო თხები ცუდ კონტექსტში, ანზორ ფუხავმა რატომ ახსენა წოე უორდანიანია და ა. შ. გადავწყვიტეთ, გაგვეფრთხილებინეთ, რადგან ხვალ აუცილებლად დაგიბარებენო. ჩვენ ახსნა-განმარტებები დაგვანერინეს და თან გვეითხეს, ამხანაგი ქაჯაია სადარისო.

დილით, 9 საათზე დაიწყო ლექცია. ნახევარი საათი არ იქნებოდა გასული, მიბარებს რექტორი. უშიშროების უფროსის პირველმა მოადგილემ დაგირეკაო. ვუკავ-

შირდები, — სამ საათზე ვიქნები თქვენთან-მეთქი.

მივედი. კომენდატურაში მელოდებოდა. ავდივართ უფროსთან, უშიშროების პოლკოვნიკ ჯიოვთან. თბილად მიმიღო. მეკითხება: ამხანაგო ქაჯაია, რა ხდება, ინსტიტუტიდან ცუდი ინფორმაცია შემოვიდა: საიუბილეო სხდომაზე ოსები დამამცირებელ კონტექსტში იქნა მოხსენიებულიო, თანაცვილაც სტუდენტი წოე უორდანიად მოიხსენიესო, რა ხდება? რას მეტყვით?

ვეუბნები: თან მაქვს მხატვრული განყოფილების სცენარი, რომელიც ჩემი დავალებით შეადგინა სტუდენტმა ანზორ ფუხავმა, მე გავეცანი და მოვიწონე, რომ მასში პოლიტიკური არაფერია. ქოროს მიერ რაც ითქვა, დავით გურამიშვილს ეკუთვნის და სასკოლო სახელმძღვანელოშია შეტანილი. მერე ალექსანდრე ბადათურიას მივუბრუნდი: — შენ ხომ სკოლაში ეს ნასწავლი გაქვს?

„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი ჩერქეზ, ლლილვი, დიდო, ქისტი, — სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრათვით ქიშტი...“ — ეს სიტყვები დავით გურამიშვილს ეკუთვნის. მეორეც, აქვე მოხსენიებულები არიან: ლეკი, ჩერქეზი, ლლილვი, დიდო, ქისტი — ესენიც ხომ საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხებია? როგორც ჩანს, აქ უცოდინარობამ იმუშავა! პოლკოვნიკმა თავი იმართლა, მე რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული და დ. გურამიშვილი არ მისწავლიაო.

რაც შეეხება წოე უორდანიას, ის სტუდენტი, გვარად, უორდანია, გურიაში (სამეგრელოშიაც, იმერეთში) ორი სახელი ჩვეულებრივი მოვლენაა: ერთია კანონიკური, მეორე — შინაურობაში მოსახმარი. ამით ვხსნი მე ა. ფუხავევის მიერ ამ სტუდენტის წოე უორდანიად მოხსენიებას-თქო.

ამით დამთავრდა ჩვენი შეხვედრა. კმაყოფილი დარჩა ალექსანდრე ბადათურია, დამბეზღებელი, ალბათ, საყვედურს დაიმსახურებდა.

**ქართული ენისა და ლიტერატურის,  
დაცვასითი განათლების კადაგოგიკისა და  
ეთოლიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ველი  
40-45% ქართული სერადაგთავარებული  
რსი გოგო-ბიჭები მოხველეობის კონკრეტულ გამდენილებას და საკითხებისა.**

## გრიგოლ აბაშიძე – 100

# «ეს მიცდა ტყევალის ჩრდილში ღამარხევა, ტყევალის ყვავილის თათარი სულარა...»

დიდუბის პანთეონში გრიგოლ აბაშიძის საფლავს ყოველ გაზაფხულზე ტყემლის ყვავილების საბანი ეხურება, ისე, როგორც ამ ლექსშია.

გრიგოლ აბაშიძე 1994 წელს გარდაიცვალა. მხცოვანმა მწერალმა საფლავში საქართველოს ბედზე ფიქრი ჩაიყოლა. ბოლო პერიოდში შექმნილი თითქმის ყველა ლექსი სევდითა და ტკივილით არის სავსე.

გრიგოლ აბაშიძე — პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ესე-ისტი, 1914 წელს დაიბადა ჭიათურის მახლობლად, სოფელ რგანში. 1936 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის ფაკულტეტი, შემდეგ კი ორი წელი მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სასცენარო განყოფილებაზე სწავლობდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ სხვადასხვა დროს იყო უურნალების: „ნიანგის“ (1944-1951), „დროშის“ (1951-1960) და „მნათობის“ (1960-1967) რედაქტორი; 1967-1981 წლებში — საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი და თავმჯდომარე; რედაქტორობდა ანთოლოგიებს, ცალკეულ მნიშვნელოვან გამოცემებს; 1982-1994 წლებში ხელმძღვანელობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს.

პოეზიამ გ. აბაშიძე ბავშობიდანვე გაიტაცა. ლექსების გამოქვეყნება სტუდენტობის წლებში დაიწყო, ხოლო პოემა „მავი ქალაქის გაზაფხული“ ოცი წლის პოეტს საყოველთაო აღიარება მოუტანა. მისი პირველი ლექსი 1934 წელს გამოქვეყნდა, პირველი კრებული — 1938 წელს, 1945 წელს დაიბეჭდა კრებული „დრო-

შები“, ხოლო 1948 წელს — კრებული „ჯაჭვგაუხდელი“.

**1951 წელს ლექსების ციკლისათვის „სამხრეთის საზღვარზე“ და პოემისათვის „სამგორის ველზე“ პოეტი მიერიშა სტალინური პრემია.**

მისი პოემებია: „ძლევის ქედი“ (1943), „გიორგი VI“ (1942), „ზარზმის ბრძანება“ (1946), „ფიქრები ენგურის ხეობაში“ (1973) და სხვ. აღსანიშნავია ლექსები: „განმეორდება!“, „გაზაფხული“, „სანაპიროზე სამი ფანჯარა“, „ორი


ტრიოლეტი“, „ჯიგთახათუნი“, „ოცნება უფლისნულისა“ და სხვ. მისი ლექსების წამყვანი თემაა სამშობლო, მისი წარსული, აწმყოდა მომავალი, ქართველი ხალხის მაღალი ჰუმანიზმი და პატრიოტიზმი. გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანები „ლაშარელა“

(1957), „დიდი ლამე“ (1963), „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ (1975) ასახავს ქართველი ხალხის ტრაგედიას XIII საუკუნის პირველ ნახევარში, როცა

საქართველოს დიდი აღმოჩინება მონღლოლთა ურდოების შემოსევამ შეწყვიტა. მისი შემდგომი რომანებია: „ყორნალი“ (1967) და

„სამძიმარი“ (1984).

აღსანიშნავია მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობაც. თარგმანი



შანდორ პეტეფის, მიხაი ემინესკუს, ხრისტო ბოტევის, ნიზამი განჯელის და სხვა დიდი პოეტების ნაწარმოებები. ფრანგი პოეტის — პიერ რონსარის თარგმანისათვის 1985 წელს პოეტს მიენიჭა ივანე მაჩაბლის სახელობის

**პრემია.** მწერალი ავტორია პოემების: „ლეგენდა თბილისის დამაარსებლებზე“ და „მოგზაურობა სამ დროში“. გრიგოლ აბაშიძე დიდი ერუდიციის ლიტერატორი და ფართო დიაპაზონის შემოქმედი იყო. უანრობრივი მრავალეროვნების მიუხედავად, პოეზია მუდამ რჩებოდა მის უმთავრეს გატაცებად. მწერლის თხზულებები თარგმნილია მრავალ უცხოურ ენაზე.

**იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემი-**



კოსი (1979), სოციალისტური შრომის გმირი (1974). დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენებით. 1984 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. 1994 წელს დაჯილდოვდა „ლირსების ორდენით“. 1994 წელს ლექსების უკანასკნელი პრეპული-სათვის „არაზოვნისაკავ“ გრიგოლ აბაშიძეს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო არამია (გარდაცვალების შემდეგ).

საქართველოში დატრიალებულ უბედურებას საოცრად განიცდიდა. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას ვერ ურიგდებოდა. შენუსებული დადიოდა, თან ცდილობდა, არ შეემჩნია, მაგრამ ეტყუბოდა, კარგად რომ არ იყო. ნერვიულობას ვერ გაუქმოდ და 1994 წლის 28 ივნისს ინსულტით გარდაიცვალა.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



პირველ რიგში: ლადო ასათიანი და მირზა გელოვანი; მეორე რიგში: დიმიტრი ბათაშვილი, ნიკა აგიაშვილი, გიორგი კალანდაძე, ერემია ქარელიშვილი, გრიგოლ აბაშიძე;

მესამე რიგში: გივი კაცახიძე, რევაზ მარგიანი, ალექო გეგენავალია, ალექსანდრე საჭაბა, ლევან კიკნაძე, ლადო ავალიანი, ვასო ლორთქიშვილი, გიაბრიელ ჯაბუშანური, თბილისი, 1939 წ.

## გრიგოლ აბაშიძე

# „ზიქრები საქართველოს რეპარტე“

შენს რუკას — შენი ბრძოლების სარკეს,  
წენდა და გლეჯდა ბედი წყეული,  
ძონძებს ჰეგავს შენი მინაწყლის თარგი,  
დაფლეთილია შენი სხეული.

ბალ-ვენახიანს, ციხე-ტაძრიანს  
შენს სამხრეთს ხურავს ცა გაუხსნელი,  
მავანს და მავანს მიუტაცნია,  
სხვათა და სხვათა ადგას უღელი.

რაც დღემდის მოგყვა, რაც შეგრჩენია —  
კოდორიანი, ალაზნიანი,  
თუმც შენი ჰევია, რაღა შენია,  
ისიც გამხდარა სხვათა ზიარი.

მუხას წააქცევს, ლერნამს კი არა,  
პირალესილი ამდენი ცული,

რა მოგიშუშებს ამდენ იარას,  
რამ მოგირჩინოს ამდენი წყლული!

და რომ გეხვევა ლრუბელი ბნელი,  
შორიდან როგორ გიყურო მშვიდად.  
ნუთუ დამხობა ჩვენს დროში გელის,  
დაუდევრობით შენთავე შვილთა?!

არა, შენ წელში ისევ სწორდები,  
რომ კვლავ წამოდგე ბუკით, ნალარით,  
ისევ ინევენ მზისკენ ყლორტები,  
შენს ძველ ფესვებზე უხვად ნაყარი.

დიდება ამ დღეს, დიდება ამ დღეს,  
ბორკილი ეგდოს ძირს დამსხვრეული,  
ლაზარესავით ხვალ ისევ აღდგეს  
დღეს დაფლეთილი შენი სხეული!

1992



# ქ ერგულეთი



ქობულეთი საისტორიო წყაროებში იხსენიება მე-17 საუკუნიდან. გაცილებით უფრო ადრე ბერძენ ისტორიკოსებს ამ მიდამოებში მოხსენებული აქვთ ქალაქი პეტრა. შესაძლოა, ეს ქალაქი სწორედ ქობულეთი იყოს. ბერძნულად პეტრა ნიშნავს კლდეს. ხოლო ქართული სიტყვა ქვაბი, საბას განმარტებით, არის „კლდე გამოკვაფული“, ე. ი. კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბული.

ქობულ-ეთ-ში ეთ გამოიყოფა, როგორც გეოგრაფიულ სახელთა სანარმოებელი სუფიქსი. გვრჩება ქობულ, ანუ იგივე ქვაბულ. შეიძლება სხვაგვარი ვარაუდიც: ქობულეთი მიღებული იყოს არა ქვაბისა და ქვაბულისგან, არამედ ადამიანის საჟუთარი სახელისგან — ქობული, რომელიც გვხვდება ძველ ქართულში (მაგალითად: ქობული საკუთარი სახელი გვხვდება მე-6 საუკუნის მცხეთის ჯვრის ნარნერაში).

ქობულეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფიჭვნარი მდებარეობს. აქ არქეოლოგიური გათხრები წარმოებს და ძველი ქალაქის ნაშთები გვხდება. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს უნდა იყოს ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული პითია (პითი ძვ. ბერძნულად „ფიჭვს“ ნიშნავს).

ქობულეთს აჭარელთა ყოფა-ცხოვრების, სამეურნეო ყოფის, ნივთიერი და სულიერი კულტურის მდიდარი ტრადიციები აქვს,

რომლებიც სათავეს ელინიზმიდან იღებს.

## ნაეალაქარზე აღზიდული ქალაქი

ქობულეთის „ქვეყანა“ თავის გეოგრაფიულ საზღვრებში უკვე ადრენეოლითიდან ისეთი „თვითკმარი მხარე იყო, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა მწარმოებელი მეურნეობის ადრეული ეტაპის ფორმირებაში. აქვე ჩაეყარა საფუძველი ადრესამინათმოქმედო მეურნეობასა და მეცხოველეობას, მეთუნეობას, ე. წ. ქვის ინდუსტრიას და ა. შ.

ადრებრინჯაოს ხანაში ქობულეთის „ქვეყანაში“ ფუნქციონირებდა კოლხური სამყაროს ერთერთი ლითონდამმუშავებული კერა, რომელიც თავისი ტექნიკური აღჭურვილობით ჩამოუვარდებოდა ახლო აღმოსავლეთის დანინაურებულ რეგიონებს.

გვიანბრინჯაოს-ადრერკინის

ხანაში ქობულეთის „ქვეყანა“ აგრძელებდა წინამორბედ პერიოდში შექმნილ ტრადიციებს და საგრძნობლად ავითარებდა მას. გრძელდებოდა ლითონდამუშავება, იქმნებოდა რკინის მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი კერა. გაჩნდა მოხვნითი მიწათმოქმედება, სამთო მოპოვებითი წარმოება.

„აღმოსავლეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი წარმოადგენდა რკინის წარმოების ერთ-ერთ პირველ კერას ძველ მსოფლიოში. ეს იყო ქართველ ტომთა კოლხური ჯგუფის განსახლების რეგიონი, სადაც წარმოიქმნა კოლხეთის პირველი სახელმწიფო ეპოქა „გაფორმდა ცნობილი ხალხური ცივილიზაცია, რომელიც არგონავტებზე თქმულებაში არის ასახული“ (დ. ხახუტაშვილი, კოლხეთის რკინის მეტალურგია სათავებთან, გვ. 218, 1964 წ.).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ქობულეთის საფეიქრო საქმის დანინაურებაზე მიგვანიშნებს მრავალი კვირისტავი, რომლებიც ზღვისპირა ზოლის წამოსახლარებზე აღმოჩენილი. ნართის სხვადასხვა სახეობა გამოიყენებოდა მრავალგვარი დანიშნულებით: ტანსაცმლის, ტომრების, თავსაბურავის, ფეხსაცმლის ზოგიერთი სახეობის დასამზადებლად. ქობულეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ტერმინი „ქსოვა“ დღესაც გამოიყენება. ტერმინი „წვნის“ ხანაცვლოდ იხმარება „კალათის მოქსოვა“, „გიდელის მოქსოვა“, „გოდორის მოქსოვა“ და ა. შ.

ანტიკური ხანის ქობულეთის რეიტინგი საფეიქრო საქმეში თავისითავად გვაფიქრებინებს, რომ მას ძირძევები ტრადიციები ასაზრდოებდა, ჰეროდოტე მოგვითხოვთ: „...მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად... კოლხურ სელს ელინები სარდონულს უნდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი — ეგვიპტურს“ (ჰეროდოტე, ისტორია, ტომი I, გვ. 156, თბ., 1975 წელი).

ქობულეთი კოლხური სამყაროს არამარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკუ-



რი ნაწილი, არამედ სულიერი ცხოვრების თანამოზიარე იყო, რაც კარგადაა ასახული იმ ნივთიერ კულტურაში, რომელიც ქობულეთის არქეოლოგიური შესწავლის პროცესში იქნა გამოვლენილი, აგრეთვე, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალაში.

**ძოგულეთში, ისაანის ტორზეანამოსახლარზე აღმოჩენილი ნივთიერი ცყაროები ნარმოადგენს „უაღრესად ძვირფას ცყაროს, რომელსაც შეუძლია გადაჭრას ქართველისალების ეთნოგრაფიის რიგი არსებითი საპიროებისა, მაგალითად: ისპანის ტორფექვეშა ნამოსახლარზე, ქვედა ჰორიზონტში მოპოვებული იქნა ადამიანის მცირე ზომის ქანდაკება, რომელიც თიხისგანაა დამზადებული. ვარაუდობენ, რომ იგი ნაყოფიერების ღვთაების გამოსახულებაა. აქ დადასტურებულია, აგრეთვე, ხარის კულტის ასებობა, რომელიც დიდი რაოდენობით გეხვდება ფიჭვნარის, ბობოყვათის ნამოსახლარებზე. **აღმოჩენილია საკურთხევლები**, რომელთა მშენებლობაშიც ხარის რქების ფორმის თიხის სადგრებია გამოყენებული. მოგვიანებით უნდა გაჩერნილიყო „ხარი-მხვნელის“ კულტი, კერძოდ იმ დროს, როცა გაჩნდა მოხვნითი მინათმოქმედება. კოლხური სინამდვილე არის ასახულითემულებაში არგონავტების ლაშქრობაზე. აი, რას ეუბნება მეფე აიეტი იაზონს: „არე-**




სის ველზე გაშვებული მყავს ორი სპილენძის ჩლიქიანი ხარი, რომელებიც ცეცხლს აფრქვევენ. მე მათ ულელში ვაბამ და არესის ოთხი დღიური ხოდაბუნებისაკენ მივრეკავ“ (ა. როდისელი, არგონატიკა, თბ., 1970 წელი).

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და მათ შორის ქობულეთშიც ფართოდ იყო გავრცელებული გველის კულტი. განსაკუთრებით „ოჯახის მფარველი გველის“, რომლის მოკვლადლესაც ითვლება ცოდვად. „ქობულეთში და საერთოდ აჭარაში, ყოველ სახლს გააჩნია ბინის პატრონი, გველის სახით. ის ადამიანს არ ვნებს, იშვიათად გამოჩნდება. თუ მას ვინმე მოკლავს, მისი ცხოვრე-

ბის საქმე წინ არ წავა, ადამიანს ზიანი მიეცემა, ოჯახის უფროსი შეიძლება თან წაიყოლოს. ოჯახის გველს ხშირად რძეს დაუდგამდნენ ჯამით. ეს ისტორიები გველის კულტის შესახებ წინაპრებისგან სმენიათ თანამედროვე აჭარლებს“.

„გველის კულტის არსებობას ადასტურებს ისპანის ტორფექვეშა ნამოსახლარები. გველის სქემატური გამოსახულება აბაზიანის ტიგელზეა დატანილი. აგრეთვე, თიხის სადგრებზე, ბრინჯაოს პინცეტებზე, ბრინჯაოს ბალთებზე, სარიტუალო საკიდებლებზე განსაკუთრებით მრავლადაა გველის გამოსახულებები ბრინჯაოს კოლხურ ცულებზე“ (დ. ხახუტაიშვილი, ქობულეთის ქვეყანა, გვ. 97, ბათუმი, 1995წ.).

„ქობულეთის „ქვეყანაში“ გველის კულტის არსებობის მაუნიებელია გამოსახულებები საბერველების საქშენ შტვირებზე, აგრეთვე, რიტუალურ თიხის ფილებზე ბობოყვათის ქვიშაზვინურებიდან. „აქვე შეიძლება გავიხსენოთ თქმულება არგონავტებზე, სადაც წმინდა მუხაზე შემოკიდულ ოქროს სანმისს გველებაპი დარაჯობდა, ქობულეთის მახლობლად იგულისხმება“ (გ. თავამაიშვილი, არქეოლოგიური გათხრები, ბობოყვათის ქვიშაზვინურებზე. გვ. 39, თბ., 1991 წელი). გველის კულტის არსებობა ქობულეთმა დღემდე შემოინახა.



# «ბატონის ციხის» ისტორიისათვის

„ბატონის ციხის“ არქიტექტურული კომპლექსი დღემდე შემორჩენილი ერთადერთი სამეფო სასახლეა საქართველოში. ქალაქ თელავში მდებარე კომპლექსი, თავისი არქიტექტურულ-ისტორიული მახასიათებლებით, კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს.

ხუროთმოძღვრული კომპლექსის შემადგენლობაში შედის: კახით მეფეთა სასახლე, ერეკლე მეორის კარის ეკლესია, არჩილის კარის ეკლესია, ციხის გალავანი, აბანო და სასახლის ტერიტორიაზე გაყვანილი გვირაბი.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, კვირიკე დიდმა (1010-1037), გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის პირველმა მეფემ, „ჰყოთელავი სასახლედ და ტახტად კახეთისა და ჰერეთისა“.

„ბატონის ციხის“ არქიტექტურული კომპლექსის მშენებლობა, პირობითად, ორ ეტაპად იყოფა. მშენებლობის პირველ ეტაპზე (1667-1675 წ.წ.) — არჩილის მეფობა) ერეკლე მეორის მემორიალური სასახლე (კახთ მეფეთა სასახლე), აღმოსავლეთის კარიბჭე და აბანოა აგებული. მშენებლობის მეორე ეტაპზე, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარს მოიცავს, ერეკლე მეორის კარის ეკლესია, გალავანი კუთხის მრგვალი ბურჯებით და დასავლეთის კარიბჭეა აგებული.

„ბატონის ციხის“ კომპლექსი გეგმაში წაგრძელებულ, არათანაბარ მართულთხა ფორმას წარმოადგენს. იგი გვიან შუა საუკუნეებში კახეთის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი რიყის ქვით ნაგები მაღალი გალავნითაა გარშემორტყმული, რომელიც 3 ჰექტარამდე სივრცეს ფარგლებს. ისტორიული წყაროების მიხედვით, „ბატონის ციხის“ არქიტექტურული კომპლექსი არა მხოლოდ მეფეთა საცხოვრებელი ან-სამბლი იყო, არამედ მას დიდი სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა — აღნიშნული ისტორიული

გალავანი მეფე ერეკლეს დროს ქალაქს შემოსვებისაგან იცავდა და მოსახლეობისათვის მტკიცე თავდაცვით საშუალებას წარმოადგენდა.

კომპლექსის ტერიტორია ორ — დასავლეთის და აღმოსავლეთის ნაწილებად იყო დაყოფილი, რაც დღემდე შენარჩუნებულია. დასავლეთის ვრცელი მონაკვეთი, საფიქრებელია, რომ ციხე-გალავნის როლს ასრულებდა. მისი ფართობი 1,5 ჰექტარზე მეტია, რაც სამეფო ანსამბლის არსებობაზე მიუთითებს. ხოლო აღმოსავლეთის მონაკვეთი შიდა ციხეს წარმოადგენს, რომლის ფართობი ერთ ჰექტარს აღემატება.

„ბატონის ციხის“ კომპლექსის გალავანი ჩრდილოეთის მხარეს ფერდობს მიუყვება და შედარებით დაბალია. დანარჩენი სამი მხარე ვაკეზეა გაშენებული, ამიტომ, აქ გალავნის სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 10-12 მეტრს აღწევს. გალავანი რიყის ქვითა და კირის დუღაბით აგებულ მაღალ, მრგვალქონგურებიან კედელს წარმოადგენს, რომელშიც სათოფურებია დატანებული. შიდა კედლებით იგი ორ არათანაბარ მონაკვეთადაა დაყოფილი — კედლის შიდა პირზე საბრძოლო ბილიკია მოწყობილი, ამავე ხაზზეა განლაგებული სათოფეები და საალოდებები. გალავნის კუთხეებში ოთხი ცილინდრული ორ-სამ სართულიანი მრგვალი ბურჯებია განლაგებული. გალავნის კედლები სწორი კუთხეებით ფარგლავს სივრცეს. სამხრეთის კედლის შუაში კედლის საერთო ფრონტიდან წინ გამოტანილია გალავნის ნაწილი მრგვალი ბურჯებით, საზარ-

ბაზე ბაქნითა და სასროლი ხვრელებით.

„ბატონის ციხის“ ჭიშკრის კოშკი XVII საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული, ხოლო გალავნის კოშკი XVIII საუკუნეში.

„ბატონის ციხის“ გალავნის მშენებლობაში ერეკლესეულ წვლილზე საუბრობს ომან მდივანი, რომლის მიხედვითაც, „თვით მეფემ ირაკლიმ“ განაახლა გალავანი თელავისა“.

იგივე აზრია გამეორებული პაპუნა ორბელიანთან, რომელიც მშენებლობას 1753 წლით ათარიდებს — „კახთ ბატონი წატრდანდა კახეთს, განასრულა გალავანი თელავისა“.

„ბატონის ციხეში“ შესასვლელი კარიბჭეები გალავნის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარესაა განთავსებული, რომელიც თავდაცვით ნაგებობებსაც წარმოადგენს.

დასავლეთის კარიბჭე დასავლეთის კედლის ცენტრშია აგებული, კედლის საერთო სიბრტყიდან წინ არის გამოტანილი და ციხის კედლების მიმართ საგრძნობლად ამაღლებულია. იგი ორსართულიანი ნაგებობაა — ქვედა სართულზე ფართო გასასვლელი კარია კამარვანი გადახურვით (ძველად აქ რეინის კარი ყოფილა შებმული), ხოლო ჩრდილოეთსა და სამხრეთ მხარეს მეორე სართულზე ასასვლელი კიბეა. მეორე სართული მაღალი კედლებით შემოზღუდულ გადახურავ საპრძოლო ბაქანს წარმოადგენს, რომელიც სამი — სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან მაღალი მრავალქონგურებიანი კედლებით არის შემოსაზღვრული. აქ მრავლადა დატანებული სათოფურები და სალოდები.

დასავლეთი ჭიშკრის გარე ფასადი მდიდრულადაა დეკორირებული. ისრისებური, ტრიუმფალური თაღის ორივე მხარეს ორიარუსად კედლის ნიშები და აგუ-



რის სწორკუთხა ჩარჩოებში ჩაწერილი სახოვანი წყობაა მოთავსებული, რაც ზღუდის ყველაზე ძლიერი მხატვრულ-დეკორაციული აქცენტია. ჭიშკარი, რომელიც ზღუდის საერთო ფრონტიდან ძლიერად არის ნინ გამოწეული, ორსართულიანი ჭიშკრის ერთგვაროვან გადაწყვეტას იძლევა. ჭიშკრის აგების პერიოდად XVIII საუკუნეა ნავარაუდევი.

1982 წელს დასავლეთის კარიბჭეში გაკეთდა წყლისგან დამცავი სისტემა, რომლის საშუალებითაც მასში წყალი აღარ გროვდებოდა (არქიტექტორი ზ. მელვინე თუხუცესი).

„ბატონის ციხის“ აღმოსავლეთის კარიბჭე აღმოსავლეთის კარიბჭეში გაკეთდა წყლისგან დამცავი სისტემა, რომლის საშუალებითაც მასში წყალი აღარ გროვდებოდა (არქიტექტორი ზ. მელვინე თუხუცესი).

„ბატონის ციხის“ აღმოსავლეთის კარიბჭე აღმოსავლეთის კარიბჭეში გაკეთდა წყლისგან დამცავი სისტემა, რომლის საშუალებითაც მასში წყალი აღარ გროვდებოდა (არქიტექტორი ზ. მელვინე თუხუცესი).

1979-83 წლებში შესწავლილ იქნა არჩილისეული კოშკი. შესწავლის საფუძველზე, 1989 წელს გაკეთდა გეგმა, რომელიც 2001-2002 წლებში განხორციელდა (არქიტექტორი ზ. მელვინე თუხუცესი). პირვანდელი სახე დაუბრუნდა არჩილისეულ კოშკს, რომელსაც აღუდგა პირველი სართული, ჩრდილოეთი მოენტყო აივანი, შეკეთდა სახურავი, შესასვლელში გაკეთდა ახალი კარი და კიბები. აღდგენილ იქნა სასახლემდე მისასვლელი გზა და სამეფო ეზო.

„ბატონის ციხის“ საუროვანო არსებული სარკმლები, სამხრეთის კედელში მოწყობილი ბუხარი და აღმოსავლეთით მოწყობილი აივანი, რომელიც დაგვირგვინებული იყო თაღოვანი მაშინულების რიგით (მისი ნაშ-

თი იკითხებოდა კარნიზში), გვაფიქრებინებს, რომ იგი საცხოვრებელი სადგომი იყო.

**ლ. რჩეულიშვილის მოსაზრებით, სწორედ მას უნდა უწოდებდეს „სალხინოს“ ალ. ორბელიანი.** 1854 წელს იგი წერს: „მეფეთ სასახლე ქვიტკირისა დაქცეულია მხოლოდ სალხინოს მეტი და წინა მოსაზრებისა“.

აღმოსავლეთ კარიბჭის არქიტექტურა და გადამხურავი კონსტრუქციის სისტემა XVII საუკუნის სუროთმოძღვრებისთვისა დამასასიათებელი. იგი არჩილის მოღვაწეობის პერიოდშია აგებული.

აღმოსავლეთის კარიბჭე არა-ერთხელ ყოფილა აღდგენილი და შეკეთებული (მაგ., XIX საუკუნის შეკეთება კარგად ჩანს ეზოდან, სადაც ქვედა სართულის თაღი რუსული აგურით არის გამოყვანილი).

1979-83 წლებში შესწავლილ იქნა არჩილისეული კოშკი. შესწავლის საფუძველზე, 1989 წელს გაკეთდა გეგმა, რომელიც 2001-2002 წლებში განხორციელდა (არქიტექტორი ზ. მელვინე თუხუცესი). პირვანდელი სახე დაუბრუნდა არჩილისეულ კოშკს, რომელსაც აღუდგა პირველი სართული, ჩრდილოეთი მოენტყო აივანი, შეკეთდა სახურავი, შესასვლელში გაკეთდა ახალი კარი და კიბები. აღდგენილ იქნა სასახლემდე მისასვლელი გზა და სამეფო ეზო.

„ბატონის ციხის“ სუროთმოძღვრული კომპლექსის აღმოსავლეთ მონაკვეთის ცენტრალურ ნაწილში განთავსებულია კახო მეფეთა ერთსართულიანი სასახლე, რომელიც კომპლექსში დამოუკიდებ-

ლად მდგარ ნაგებობას წარმოადგენს. სასახლე გეგმაში კვადრატს მიახლოებულია. მასში განთავსებულია სწორკუთხა მისაღები დარბაზი და ხუთი მცირე ზომის ოთახი დერეფნებითურთ. სასახლის არქიტექტურული გაფორმება შეისრული თაღოვანი ღიადებით არის განხორციელებული.

სასახლის უნიკალობა, გარდა მისი სუროთმოძღვრული იერისა, უპირველესად, მისი აგების ისტორიაშიცაა. მეფეთა სასახლის აგების ისტორიასა და დათარიღების საკითხს იკვლევდნენ სხვადასხვა მკვლევარები, კერძოდ, ლ. რჩეულიშვილი, გ. ჩუბინაშვილი. თ. აღდამიძე, ც. ჩიკოიძე, ჯ. ხარიტონაშვილი, ვ. ელანიძე და სხვა. ძალზედ მნიშვნელოვანი და საინტერესოა მკვლევარ თ. აღდამიძის მოსაზრება, რომ სასახლე კახეთის მუსულმანი მმართველის მიერ არის აშენებული და ასეთად იგი დავით იმამულიხანს მიიჩნევს, რომელიც კახეთის გამგებლობას 1703 წლიდან შეუდგა.

თ. აღდამიძის მოსაზრების გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ დავით იმამულიხანი ადგილობრივ სუროთმოძღვრულ თავისებურებებზეც ამახვილებდა სათანადო ყურადღებას. მკვლევარი ლ. რჩეულიშვილიც მიიჩნევს, რომ ქართული სუროთმოძღვრული აზროვნებისათვის სრულიად უჩვეულო და არადამახასიათებელია უცხოურის კალკირება. ქრისტიანობის გავრცელების ადრინდელ ეტაპზე, თუ მე-19 საუკუნის საერთო არქიტექტურაში ქართველი ოსტატები გარდაქმნიდნენ უცხოეთიდან შემოჭრილ სტილს და „აქართულებდნენ“ მას, რაც სადგომების კვადრატულ გადაწყვეტასა და გვირგვინისებურად ამაღლებული კამარით გადახურვაში აისახებოდა. აქვე გასათვალისწინებელია ის ფატიც, რომ აკად. გ. ჩუბინაშვილი გვიანდებულ ხანაში ციხეთი ვაკეზე შენებას და მათ ოთხკუთხა ფორმას კახეთისათვის, კერძოდ კი, ალაზნისპირისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს.



სასახლესთან, გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში არჩილის კარის ეკლესია მდებარეობს. არჩილის ეკლესიად წოდებული მცირე ეკლესია წმ. ნინოს სახელობისაა, რომელიც აშენებულია, როგორც სასახლესთან არსებული მცირე სამლოცველო. ეკლესიამ ჩვენამდე შეკეთებული სახით მოაღწია. იგი მცირე ზომის, ქვიტკირის ერთნავიანი აფსიდი-ანი შენობაა.

ერეკლე მეორის კარის ეკლესია გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან მდებარეობს. ექვთიმე თაყაიშვილის გამოკვლევით, ერეკლე მეორის კარის ეკლესია აშენებულია ერეკლეს მიერ 1753 წელს. დღესდღეობით ეკლესია საგრძნობლად შეცვლილია. გადაკეთებულია დასავლეთის ნაწილი, რომელსაც მიდგმული აქვს დამატებით ახალი მასივი, რომელიც უფრო ვიწროა და დაბალი, ვიდრე პირველადი ნაგებობა. პირვანდელი ძველი ერეკლესული ეკლესია აგურით არის ნაგები და იგი ჩვეულებრივ დარბაზულ, ერთნავიან შენობათა ჭიპს მიეკუთვნება.

ეკლესის მახლობლად გალავნის კუთხის ბურჯზე შემდგარი სამრეკლო XIX საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. იგი არატრადიციული არქიტექტურული ფორმით იქცევს ყურადღებას — ნარმოადგენს არა ცალკე მდგომ ნაგებობას, არამედ მის ფუძედ გამოყენებულია ჩრდილო-დასავლეთ გალავნის კუთხის მომრგვალებული ნაწილი. ეს, ერთი შეხედვით, უჩვეულოა და არქიტექტურული თვალსაზრისით არღვევს კიდეც გალავნის ჰორიზონტალურად გაშლილ სტრუქტურას. მაგრამ საგანგებოდ შერჩეული მომრგვალებული კუთხის ფორმა ამოზრდილი სამრეკლოთი მთლიანობაში არ ქმნის ეკლექტურობის განცდას, პირიქით, თავისებურებას სძენს ხუროთმოძღვრულ იერს.

აბანო „ბატონის ციხის“ ტერიტორიის ორად გამყოფ კედელზე, სამხრეთის გალავნის შეერთების კუთხეშია აშენებული. ერთსროთუ-



ლიანი აბანო გვიანფეოდალური პერიოდის, ძველი ქართული სტილის აბანოების სისტემაზე მოწყობილი, იმ განსხვავებით, რომ მისი კედლები მოხატული ყოფილა. იგი ჩვენამდე სრულად არ არის მოღწეული — შემორჩენილია მხოლოდ საბანაო ოთახი აუზით და ცხელი წყლისათვის მოწყობილი წყლის ავზი, რომლის იატაკის ქვეშ მოწყობილი იყო ღუმელი და რამდენიმე სათავსო. აბანო რამდენიმე სადგომისაგან შედგებოდა. ერთ-ერთი ასეთი სადგომი უშუალოდ საბანაო ოთახთანაა დაკავშირებული. იგი საგანგებოდ ყოფილა გაფორმებული მოხატულობით. აბანო ბურით თბებოდა, რომელიც აბანოს ქვეშ, მიწის ზედაპირიდან ორი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა.

კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი გვირაბი „ბატონის ციხის“ ჩრდილო-დასავლეთ სექტორშია აგებული, რომელიც საიდუმლო გასასვლელის და ნაგებობებთან დამაკავშირებელი გზის ფუნქციას ასრულებდა. ქვიტკირით აგებული დერეფანგვირაბიდან წყაროსთან ჩასასვლელი კიბე იყო მოწყობილი.

კომპლექსის ნაწილია, აგრეთვე, ბატონის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით რამდენიმე მეტრის დამორჩებით აღმართული დიდი

მრგვალი საზარბაზნე ბურჯი (დიამეტრი 14მ.), რომელიც XVIII საუკუნის 70-იან წლებშია აგებული.

**ისტორიული ცყაროების მიხედვით, „ბატონის ციხის“ კომპლექსში, XVII-XVIII საუკუნეებში კახი მაცხოვანი რეზიდენცია იყო განთავსებული. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აქ მაცხოვანი რეზიდენცია იყო მოთავსებული და თელავის მაცხოვანი სახლი ერთობლივ კახეთის სამეცნიერო-განვითარების სამსახური, რაზეც, ასევე, ძეგლის ხუროთმოძღვრული სახე მიმდინარეობდა.**

კახი მეფეთა სასახლე თავისი ცხოვრების პირველი ოთხი ათეული წლის მანძილზე ვეღარ ასრულებდა თავის პირვანდელ ფუნქციას. იგი, ხშირად, უპატრონოდ იყო მიტოვებული და, საფიქრებელია, რომ ზიანდებოდა კიდეც. ამის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ისტორიულ წყაროებში 1724 წლით დათარიღებული ეპიზოდი, როდესაც მეფე კონსტანტინე მეტოლები მოიყვანა ახალგორის და მიიყვანა დედოფალ კონსტანტინე მეტოლების მიერთებული დამართული დიდი

კომპლექსის ნაწილია, აგრეთვე, ბატონის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით რამდენიმე მეტრის დამორჩებით აღმართული დიდი

ისტორიული წყაროებიდან ირკ-



ვევა, რომ XVIII საუკუნის ნახევრიდან თელავის სასახლეში უკვე აღდგა ცხოვრება და მეფეთა სახლმა საუკუნის დასასრულამდე ინტენსიური ცხოვრებით იცხოვრა.

ქართლ-კახეთის მეფეთა რეზიდენციის პატივს ქალაქი თელავი XIX საუკუნეში კარგავს. საქართველოში დამოუკიდებელი სამეფოს გაუქმებისთანავე ბატონის ციხის არქიტექტურულ კომპლექსსაც შეუწყდა კახეთის მეფეთა რეზიდენციის ფუნქცია. მან ვერ შეინარჩუნა ის მეორადი მხატვრული სახეც, რომელიც ერეკლე მეორის მიერ XVIII საუკუნეში ჰქონდა მინიჭებული. მის მეფობაში თელავის მეფეთა სახლი არათუ უცხოელ ელჩთა მისაღები და ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრია, არამედ იგი მხარის ყველაზე მძლავრ ბასტიონად და შიშიანობის პერიოდის საიმედო თავშესაფრად იქცა.

მკვლევარ ლ. რჩეულიშვილის გადმოცემით, ერეკლე მეორე გაზრდილი საჭიროების დასაკმაყოფილებელად დამატებით სადგომებს აგებდა. მისი მოღვაწეობა შექმნილ ისტორიულ სიტუაციაში ზოგადი ქალაქმშენებლობითი პრობლემის გადაწყვეტას ემსახურებოდა. ბატონის ციხე ნაწილი ხდება იმ სტრატეგიული მშენებლობისა, რომლის მიზანი ხალხის დაცვა იყო.

გიულდენშტედტის მითითებით, ერეკლე მეორის წელილი მხოლოდ სასახლის ირგვლივ კედლების შემორტყმით არ განისაზღვრა და მას თვით სასახლეშიც გარკვეული ცვლილებები შეუტანია: „სასახლე ნაწილობრივ ძველი და ნაწილობრივ ახალი ნაწილებისაგან შედგება“. ერეკლე მეფეს ამოუსიდა XVII საუკუნის შენობის აივნები და ოთახებად უძლევია ისინი. ამ სადგომების



მეფეთა სასახლის გაუქმების თარიღად უნდა მივიჩნიოთ. იგი თავის ფუნქციას კარგავს და იწყება მისი ახალი ცხოვრება, ადაპტაცია ახალ ვითარებასთან. 1802 წელს მასში ყაბარდოს პოლეის შეფი და მეთაური გენერალ-მაიორი გულიაკოვი ბინადრობს. 1805 წელს იგი რუსეთის მთავრობის სახაზინო უწყებას გადაეცემა. 1811 წელს შედგა დაძველებული სასახლის გადაკეთების პროექტი, მასში ყაზარმებისა და სახაზინო დაწესებულებების მოსათავსებლად, ხოლო 1822 წელს რ. ლაილს მის „დაბალ ოთახებში“ მაიორი ილინსკი დახვდა დაბინავებული, სააუდინციო დარბაზი კი თავლად ყოფილა გამოყენებული.

**ისტორიული ცყაროების მიხედვით, 1845 წელს მეფისნაცვალება ვორონცოვანა სასახლე მოინახულა, რომელიც მას დანარჩენებული დახვდა. მისი პრდანებითი დანარჩენებული აღდგენითი სამუშაოები 1850 წელს დასრულდა. შედეგად აღდგენილ იქნა აღმოსავლეთის ნანის ნახევრი.**

1860-იანი წლებიდან თელავის სასახლეს ახალი ფუნქცია მიენიჭა. მთლიანი შენობა წმ. ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას გადაეცა, სადაც 1865 წელს წმ. ნინოს სახელმობის ქალთა სასახლებელი დაარსდა. სასწავლებლის მოთხოვნილებების გათ-

ვალისწინებით, არქიტექტორ ზალცმანის პროექტით ძველი შენობის გადაკეთება და ახალი სართულის დაშენება განხორციელდა.

1912 წელს სასახლე და წმ. ნინოს სასწავლებლის შენობები ერთმანეთთან იქნა დაკავშირებული.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან „ბატონის ციხის“ არქიტექტურულ კომპლექსში თელავის ისტორიული მუზეუმია განთავსებული. კახო მეფეთა სასახლეში ერეკლე II-ის მემორიალური მუზეუმი განთავსდა. „ბატონის ციხის“ არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე, გარდა ისტორიული ნაგებობებისა, სამუზეუმ კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა, ქეთევან იაშვილის სახ. სამხატვრო გალერეის შენობა და ადმინისტრაციული ნაგებობებია განთავსებული.

„ბატონის ციხის“ არქიტექტურული კომპლექსი დროთა განმავლობაში სხვადასხვა სახის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებს დაექვემდებარა. ამის მიუხედავად, ძეგლი, მცირდი სახეს სახეს ინარჩუნებს და იგი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უაღრესად მნიშვნელოვან კულტურულ კერას ნარმოადგენს.

**მაკა მავაზლიძე,**  
ხელოვნების  
საერთაშორისო ცენტრი



# ქალი თბილის ურვა საქართველოში მსერვაჲ სევადასევა ეროვნების მხატვართა გამოქადაგება

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართულ სახვით ხელოვნებაში ძირითადი ჟანრებისა და დარგების ჩამოყალიბება იწყება. სწორედ ამ დროს გამოვლინდა მხატვრების ინტერესი ყოფითი ჟანრის მიმართაც. ფერმწერებისა და გრაფიკოსების ყურადღება მიიპყრო საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილის მრავალფეროვნებამ, განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა ქალაქ თბილისის თავისებური ყოფა. თბილისი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მისი სახე, თავისებური მდებარეობა და ხუროთმოძღვრების განსაკუთრებული სილამაზე, მრავალფეროვანი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, ძველთაგანვე ხიბლავდა მნახველს. ძველი თბილისის ვინწრო, ქალტურად განლაგებული ქუჩები, სახელოსნოებით, დუქნებითა და ფარდულებით, შუა ბაზარი, სადაც ყოველთვის ჩქერდა სიცოცხლე, მოსახლეობა სხვადასხვა იერით და კოლორიტული ჩაცმულობით იზიდავდა მოგზაურებს, განსაკუთრებით მწერლებისა და მხატვრების ყურადღებას. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ქართველ მხატვართა შემოქმედებაში ძველი თბილისის ყოფა-ცხოვრების ასახავს (ნ. ფიროსმანი, ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ელ. ასვლედიანი, გ. ზაზიაშვილი და სხვ.).

ამ თემას მიუძღვნეს თავისი ნამუშევრები არა მარტო ქართველმა, არამედ თბილისში მცხოვრებმა არაქართველმა მხატვრებმაც. მათ შორის საინტერესოა თავისი ინდივიდუალობით ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი მხატვარი — ვანო ხოჯაპეგოვი, რსპარ შემორინები და ბრირის რომანოვსკი.

ისინი მკვეთრად განირჩევიან ერთმანეთისაგან მხატვრული მიდგომითა და ხელწერით, მაგრამ მათ საერთო თემა — თბილისური ყოფის ასახვისადმი ინტერესი აერთიანებს. ამ მხატვრების შემოქმედებაში XX საუკუნის 10-20-იანი წლების თბილისის ცხოვრება და სპეციფიკური კოლორიტი აისახა.

ვანო ხოჯაბეგოვი და ოსკარ შემერლინგი თბილისის მკვიდრნი იყვნენ. ვ. ხოჯაბეგოვი, თბილისის ხელოსნების ფენიდან გამოსული, თვითნასწავლი მხატვარი იყო და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თბილისა არ განშორებია. ო. შემერლინგმა კი პეტერბურგისა და მიუნხენის სამხატვრო აკადემიებში მიიღო განათლება და სწავლის დასრულების შემდეგ კვლავ თბილისში დაბრუნდა. თუ ვანო ხოჯაბეგოვი და ოსკარ

შემერლინგი მთელი თავისი ცხოვრებით დაკავშირებული იყვნენ თბილისთან, რომელიც მათთვის მშობლიური ქალაქი იყო, რუსი მხატვარი ბორის რომანოვსკი მხოლოდ 20-იანი წლების დასაწყისში ჩამოდის თბილისში. იმ რთულ ისტორიულ პერიოდში თბილისისათვის არა ერთსა და ორ უცხოელს შეუფარებია თავი. მათ რიცხვს მიეკუთვნება ბორის რომანოვსკიც.

ვანო ხოჯაბეგოვი წვრილვაჭარ-

თა და ხელოსანთა წრიდან იყო გამოსული და მთელი თავისი არსებით ამ ხალხთან იყო შესისხლხორცებული. მათი ყოველდღიური შრომა, დღესასწაულები, სიხარული და მწუხარება — აი, ის თემატიკა, რომელსაც უძღვნა მხატვარმა მთელი თავისი შემოქმედება.

ვ. ხოჯაბეგოვის მიერ შესრულებულ ათობით ნახატზე იშლება ძველი თბილისის ყოფაცხოვრება. მათზე გამოსახულია: ნახშირის გამყიდველები, ყასბები, მეკურტნე რაჭველები, ყარაჩოხელები, მეთულუხებები და სხვა. განსაკუთრებით აინტერესებდა მხატვარს თბილისელთა ლხინისა და დროსტარების სცენები. ამ თემაზეა დახატული „ჭიდაობა“, „მუშტი-ტი-კრივი“, „მამლების ჩეუბი“, „ვერძების ჭიდილი“ და სხვ.

ვ. ხოჯაბეგოვის ნანარმოებები უმეტესწილად ოსტატურადაა შესრულებული. იგი ხატავდა ქალალდზე მხოლოდ ფანქრით. მხატვარი ძირითადად მიმართავს კონტურულ ნახატს, შუქ-ჩრდილით ფორმის მოდელირების გარეშე. დაძაბული კონტურით იგი გამოკვეთს საგნის მოცულობას. სასურათო სიბრტყეზე ფიგურების განაწილებით იქმნება სიღრმისა და სივრცის შთაბეჭდილება. ამ ნახატების მთავარი მიმზიდველობა თხრობის გამომსახველობაშია. ვანო მათ მეხსიერებით ქმნიდა. იმახსოვრებდა თავისი გმირების ყოველ უესტს, მიმიკას, მოძრაობას, აფიქსირებდა ყველაზე სახასიათოს, იშორებდა შემთხვევითს, მეორეხარისხოვანსა და ქმნიდა ძველი თბილისის მცხოვრებთა განზოგადებულ სახეებს.

აი, რას იგონებდა ვ. ხოჯაბეგო-



ვის შესახებ მხატვარი ჯოტო გრიგორიანი: „ვანოს ძალიან უჭირდა ნატურიდან ხატვა, მაგრამ თუ ვინმე სთხოვდა, მეხსიერებით რაიმე დაეხატა, იღებდა ფანქარს და ხატავდა დიდი გატაცებით და თავისუფლებით მისთვის ახლობელ სცენებს თბილისის ცხოვრებიდან“.

კომპოზიციიც გადაწყვეტის მიხედვით, ხოჯაბეგოვის ნახატები შეიძლება ორ ტიპად დაყყოთ: პირველი ჯგუფის სურათებისთვის დამახასიათებელია ხედვის ახლო წერტილი. ამ სურათებში მხატვარი ძლიერ უახლოვდება თავის გმირებს, ავსებს მათი გამოსახულებებით მთელ სასურათო სიბრტყეს და ამით ანიჭებს მათ საგანგებო მნიშვნელოვნებას. სქელი კონტურით იგი შემოსაზავს ფიგურებს და გამოკვეთავს მათ სილუეტს. დეტალების აქცენტირებით აძლიერებს ნახატის გამოსახველობას. ამ ტიპის კომპოზიციებში მთელი ყურადღება ფიგურებზე ფიქსირდება. გარემო მათში მინიშნებითაც კი არაა. ვ. ხოჯაბეგოვის ყველა ნახატი წინასწარ შემუშავებული პრინციპითაა აგებული. ამ სურათებში ადამიანთა ფიგურები ნახევარწრიულად ან სასურათო სიბრტყის პარალელურადაა განლაგებული. ეს ნახატები არ ქმნის სწრაფი ჩანახატის შთაბეჭდილებას. მხატვარი დიდხანს ფიქრობდა მეხსიერებით დაფიქსირებულ სიუჟეტზე. მეხსიერებით სურათის შექმნის მეთოდი კი აპრობირებდა მხატვრის ინტერესს განზოგადებული პლასტიკური ფორმის მიმართ, სადაც უგულველყოფილი იყო დეტალები, ხოლო მასათა კომპოზიციური განაწილება წონასწორობასა და, ხშირად, სიმეტრიაზე იყო დამყარებული. მაგალითად, სურათი „მუშტიკრივი“, სადაც წინა პლანზე დახატული მკლავებდაკაპინებული ყარაჩოხელები კარგად გადმოსცემენ ძველი თბილისის ფალავნების ძალასა და ხასიათს. კომპოზიცია აგებულია სარკისებური სიმეტრიის პრინციპით. მოკრივეთა ფიგურები, ორივე კი-

### ოსპარ შეირლიგი — „ძველი თბილისის სურათები“



დური მხრიდან, მიმართულია ცენტრისკენ, რაც ქმნის სიმყარის და დასრულებულობის შთაბეჭდილებას.

სურათთა მეორე ტიპს განეკუთვნება ნამუშევრები, რომლებშიც შორი წერტილიდან დანახული მრავალფიგურიანი სცენებია წარმოდგენილი. ამ ჯგუფის ნახარმოებები მხატვარი ცდილობს კომპოზიცია სივრცეში თავისუფლად გაშალოს, მაგრამ ამ რთულ ამოცანას იგი თავს ვერ ართმევს. მხატვარი ანაწევრებს კომპოზიციას, ცალკეული დეტალების გამოსაკვეთად მოხმობილი ფორმათა შუქ-ჩრდილით მოდელირება აქვეითებს სურათის მთლიანობას და იგი კარგავს თხრობის ლაკონურობას. ფიგურები, ამ ტიპის



ვანო ხოჯაბეგოვი — „მრეცხავები დაბახანები“

სურათებში, ნაკლები ოსტატობითა დახატული, კონტურიც, პირველ ჯგუფთან შედარებით, ნაკლებად გამომსახველია. მეორე ჯგუფის სურათებიდან ტიპიურია ნახატთა სერია თემაზე — შაჰსევაჟე, რომელშიც გადმოცემულია მუსულმანთა რიტუალური სვლა მუჰამედისთვის დაღუპულ პირველ წმინდანთა დატირების დღეს ვ. ხოჯაბეგოვის ნახატების გამომსახველობა დიდადაცა განპირობებული სასურათო სიბრტყეზე გამოსახულებათა რიტუალური განაწილებით. ამ თვალსაზრისით სამაგალითოა ნახატი „ნახშირის გაყიდვის შემდეგ“. ორივე შემთხვევაში სახედრების ფიგურები ფრიზისებურადა განლაგებული. პირველ სურათში გამოსახული ნახშირით სავსე კალათებით დატვირთული სახედრების მოძრაობის მონოტონური რიტმი, მძიმე, ერთფეროვანი შრომით გამოწვეული, სევდიან განწყობილებას ქმნის. სურათის ჰორიზონტალური ფორმატის მკვეთრი დაპირისპირება დატვირთულ სახედართა გამოსახულებებთან განსაზღვრავს აღნიშნული ნახატის ხასიათს. მეორე ნახარმოებში მოძრაობის მონოტონურობას ტვირთისგან განთავისუფლებული სახედრების თავშეუკავებელი რბოლა ცვლის. მხატვარი რიტმულად განლაგებული ცარიელი გოდრების ვერტიკალებით აწესრიგებს მათი მოძრაობის ჰორიზონტალურ მიმართულებას.

ვ. ხოჯაბეგოვი დაინტერესებული იყო გარემოს, პეიზაჟის გადმოცემის პრობლემითაც. რამდენიმე ნახატში იგი სწორედ აგებს პერსპექტივს და ოსტატურად განალაგებს ფიგურებს სივრცეში. იგი გულდასმით ხატავს გარემოს, მაგრამ პეიზაჟის გადმოცემის დროს ვერ ახერხებს მისი ხასიათის გადმოცემას მაშინ, როცა წინა პლანზე მოქმედი ადამიანის ფიგურები ყოველთვის პლასტიკურად მეტყველი და გამომსახველია. ამ სურათზე შეიმჩნევა პირველადი ნახატის კვალი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ირ-

ჩევდა ძიების პროცესში მხატვარი მთავარს. პატარა, მსუბუქი შტრიხებით იგი ცდილობდა მიეკვლია ფიგურების დამაჯერებელი მოძრაობისათვის. შემდეგ დამხმარე ხაზებს შლიდა და მხოლოდ გარშემომწერ ხაზებს ტოვებდა. ნახატს სქელი კონტურით ასრულებდა, რომლითაც გამოსახულებათა ნაპოვნი მოძრაობა იყო ხაზგასმული.

ვ. ხოჯაბეგოვი აქტიური, დამკვირვებელი მხატვარი იყო. იგი აფიქსირებდა მოვლენის ყოველ ცალკეულ მნიშვნელოვან მომენტს. ერთი ამბის მოყოლის დროს იგი ხშირად რამდენიმე ვარიანტს ხატავდა, თითქოს კინოკადრებს ქმნიდა. მაგალითად, სურათებში — „ვერძების ჭიდილი“, „ქართული ჭიდაობა“, მხატვარმა ალბერტ და მოქმედების სხვადასხვა ეტაპი: ბრძოლის დასაწყისი, შერკინება და ფინალი.

მხატვარი ხანდახან ერთსა და იმავე სცენას იმეორებდა, რომლებშიც ოდნავი კორექტივებით ბევრს ცვლიდა. ასეთია ერთ თემაზე შექმნილი ორი ნახატი: „ქელების შემდეგ“.

პირველ სურათზე, ფრიზისებრ განლაგებულ მოხუც ხელოსანთა ფიგურებში გადმოცემულია ყოველი მათგანის ხასიათი, მაგრამ ავ-



ტორი ამით არ კმაყოფილდება და იმეორებს რა იმავე კომპოზიციას, უკანა პლანზე კიდევ ორ ფიგურას უმატებს, რითაც ამძაფრებს მოძრაობის რიტმს. ამავე დროს, იგი ადიდებს ფიგურათა საერთო ზომებს, ავსებს მათი გამოსახულებით მთელ სასურათო სიბრტყეს, ამსხვილებს კონტურს და აძლიერებს გმირების გროტესკულ ხასიათს. ამ ნაწარმოებში ვ. ხოჯაბეგოვი იძლევა ძველი თბილისის ხელოსანთა ტიპიური სახეს.

მხატვარი მწვავედ გრძნობდა ძველი თბილისის საზოგადოების

მკვეთრ სოციალურ დიფერენციაციას და უბრალო ხალხის მიმართ თანაგრძნობას თავისი ნახატებში გამოხატავდა. ასეთია სურათები: „ყასაბთან“, „აღდგომისნინა ბაზარი“, „კინტო ომამდე და იმის შემდეგ“ და სხვ.

ვანო ხოჯაბეგოვი უაღრესად ნიჭიერი მხატვარი იყო. იგი საზრდობდა კონკრეტული ყოფითი მოტივებით და აღნევდა მათში გარკვეულ განზოგადებას, სახეთა ტიპიზირებას. წუთით შეჩერებული ჟანრული სცენები, მხატვრის შემოქმედებითი ალლოს წყალობით თბილისის ყოფის დამახასიათებელ კრებით სახედ იქცევა, სადაც ყურადღება მთავარზეა გამახვილებული.

\* \* \*

სხვაგვარად შეიგრძნობდა თბილისის ყოფას მხატვარი მსპარ შემორინები. მისთვის თბილისი ეთნოგრაფიული მრავალფეროვნებით მდიდარ გარემოს ნარმოადგენდა. ო. შმერლინგი სიცოცხლის მოყვარე, უშრეტი იუმორის მქონე მხატვარი გრაფიკოსი იყო. იგი თანაბარი ინტერესით მუშაობდა, როგორც პოლიტიკური კარიკატურის, ასევე ყოფით ჟანრში.

1910-იან წლებში თბილისში გამოიცა ო. შმერლინგის მიერ შესრულებული ლია ბარათების კრებული „ნარმავალი ტფილისი“, ამ ლია ბარათების პოპულარობა



ბორის რომანოვსკი — „სირაჩხანა“



## ოსპარ შმერლინგი — „ძველი თბილისის სურათები“

ძალზე დიდი იყო. კრებული რამდენიმეჯერ განმეორებით გამოიცა. ბოლო, 1983 წლის გამოცემას წამდლვარებული აქვს ო. შმერლინგის სიტყვები: „დაე, ქართველი ერის ცხოვრება მუდამ იყოს მხიარული, ბედნიერი და ყველა ქართველმა იცინოს იმაზე, რაც სასაცილოა. ვიყოთ, მხიარულნი და ვიცინოთ“ ამ სიტყვებით მხატვარმა სრულად გამოხატა თავისი შემოქმედების ძირითადი ხასიათი.

ოსკარ შმერლინგი „ძველი თბილისის სურათები“, კომპლექტში შესულ ყოველ სურათში მხატვარი თბილისური ცხოვრების ამსახველ მხიარულ ამბავს მოგვითხრობს. აქ მას ეხმარება კარიკატურისტის მახვილი თვალი. იგი ცდილობს მონახოს თბილისის მკვიდრთა ყველაზე გამომსახველი სახეები. ძირითად მას იზიდავს საზოგადოების დაბალი ფენიდან გამოსული ადამიანები. მხატვარი მათში საინტერესო პორტრეტებს ეძებს. ო. შმერლინგი თანაბარ ყურადღებას აქცევდა, როგორც გარეგნობას, ასევე მათ შინაგან განწყობილებას. მხატვრის მიერ ასახული ქალაქური სცენები დროის დინების განცდითაა შესრულებული. მაყურებელი ყოველთვის შეიგრძნობს ასახული სცენის, მასში მოქმედი ადამიანების დიჩალოგის ხასიათსა და მოძრაობის ცვალებადობას.




სურათები შესრულებულია გუაშითა და აკვარელით. კომპოზიციის აგების თვალსაზრისით ისინი ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. პირველი ჯგუფის ნახატებში ორ-სამფიგურიანი კომპოზიციებია, რომელებიც ავსებენ სასურათო სიბრტყეს. ფიგურები მოცემულია ნეიტრალურ ფონზე და ასახული სცენის მთელი სიუჟეტი და გამომსახველი ძალა ამ ფიგურებითაა გადმოცემული. სადა, ნეიტრალურ ფონზე კარგად იყითხება კონტრასტული ფერებით შესრულებული ადამიანების ჩაცმულობა, სადაც აქცენტი ნახატზეა გადატანილი. ნახატი მკაფიობა, სქელი კონტურის ხაზი ფორმას შემოსაზღვრავს, ავლენს

მათ სახასიათო მოძრაობასა და სილუეტს. ფერს ამ სურათებში დაქვემდებარებული მნიშვნელობა ენიჭება. ადამიანთა გარეგნობაში მხატვარი ცალკეულ დეტალებს აზვიადებს, რაც მათ კარიკატურულ უძერადობას ანიჭებს. ო. შმერლინგი მოქალაქეთა სიცოცხლით სავსე სახეებს ქმნის. ასეთებიც სურათები: „შეზარხოშებულინი“, „მენვრილმანე“, „კინტო თაბახით“, „მეჯლანე“ და სხვ.

მეორე ჯგუფის სურათები შესრულებულია აკვარელით. ეს მრავალფიგურიანი კომპოზიციებია. ასახული სცენები თავისუფლად იშლება სივრცეში. მხატვარი დიდ ყურადღებას აქცევს გარემოს, დეტალურად ხატავს ქალაქის პეიზაჟს, ან ოთახის ინტერიერს. ეს სურათები გამოირჩევა ფაქიზი ფერწერითა და აკვარელის გამჭვირვალების, მისი ფერადოვანი შესაძლებლობის ფართო გამოყენებით. მხატვარი გატაცებულია უამრავი წვრილმანით. მას სურს არაფერი გამორჩეს, ზედმინევით გულდასმით აღნერს გარემოს, რომელიც მოქმედებენ ადამიანები. დეტალების სიმრავლემ გადატვირთა სურათები. მრავალრიცხოვანი ფიგურები კარგავენ იმ გამომსახველობას, რომელიც ახასიათებდა ორ-სამ ფიგურიან კომპოზიციებს.

თბილისის პეიზაჟებიც უღიმლამოა. თბილისური ხუროთმოძლვრების მიმზიდველობა არ იგრძნობა. 1920-იანი წლების ბო-



ბორის რომანოვსკი — „თოვე“

ლოსთვის მხატვარი მრავალ ამგვარ აკვარელს ქმნის („დილიშანსის გაცილება“, „სასფლაოზე“, „ბაზარი“ და სხვ.).

ოსკარ შმერლინგი რეალისტი მხატვარია, რომლის საუკეთესო ნახატებში მისი იუმორის გრძნობა და კარიკატურისთვის კანონზომიერი თხრობის სიმძაფრე ვლინდება.

მხატვარს ყოველთვის სურდა, ობიექტურად აღექვა და დაეფიქტირებინა თბილისის მკვიდრთა გარკვეული სოციალური წრის წარმომადგენლობის თავისებური, ტიპური სახეები, მაგრამ მაინც, იგი ყოველთვის შორიდან, დამკვირვებლის პოზიციიდან აღიქვამდა თბილისის ცხოვრებას.

შორიდან დამკვირვებლის თვალი, „ეგზოტიკური“ გარემოს მიმართ ინტერესი ო. შმერლინგის შემოქმედებასთან აახლოებს მხატვარ პორტი რომანოვსკის, რომლის შემოქმედება დღემდე თითქმის უცნობ მასალას წარმოადგენდა. 1927-30 წელში ბ. რომანოვსკიმ შეასრულა გრაფიკული სერია „ძველი თბილისი“, სავარაუდოა, რომ ეს ციკლი მხატვარმა კომუნალური მუზეუმის დაკვეთით დახატა.

მხატვრის ყურადღება, ვ. ხოჯაბეგოვის და ო. შმერლინგის მსგავსად, თბილისის დაბალი ფენების ცხოვრებამ მიიპყრო. კინტოების, ყარაჩოხელების, სხვადასხვა ხელოსნების საქმიანობა, მათი ცხოვრების წეს-ჩვეულებანიგადმოგვცა ბ. რომანოვსკიმ თავის ნახატებში. სერია შესრულებულია ტუშით, კალმით და აკვარელით. სურათების მაჟორული ფერადოვნება, ნახატის მკაფიოება და მთხოვბელის მახვილი ხედვა იმთავითვე იზიდავს მაყურებელს, სერიის ფურცლებზე დიდი მრავალფეროვნებით აისახა თბილისის ყოფის სხვადასხვა ეპიზოდი. მხატვარი უდავოდ ბევრს აკვირდებოდა ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ქალაქის ქუჩებს, ლანდშაფტებს, მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტიპაჟს, ხალხის ჩაცმულობასა და ეროვნულ თავისებურებებს. ბ. რომანოვსკის აღნიშნულ ციკლში

### პორტი რომანოვსკი — „თბილისის მოძღვანი ეტაზზე“



ლადო გუდიაშვილის შემოქმედების გამოძახილი შეიმჩნევა. ეს მულავნდება როგორც თემატიკაში, ასევე სახვითი ენის ერთგვარ მსგავსებაშიც.

საფიქრალია, რომ ბ. რომანოვსკი 1926 წელს თბილისში ლ. გუდიაშვილის პერსონალურ გამოფენას გაეცნო. ლ. გუდიაშვილი, მისი შემოქმედების განუმეორებლობა და, განსაკუთრებით, თბილისის ბოჭემისადმი მიძღვნილი მისი სურათები, უცხოეთიდან ჩა-

მოსულ მხატვარს გულგრილს ვერ დატოვებდა. ჯერ კიდევ პარიზში ცხოვრების დროს. ბ. რომანიშვის ეთნოგრაფიული და ნაციონალური თვისებების გამომხატველი ხელოვნება იტაცებდა. პარიზში იგი რუსული ყოფის ამსახველ სურათებს ქმნიდა. ეს სურათები მოწმობს, რომ ბ. რომანოვსკი რუსული რეალისტური სკოლის ტრადიციებზე იყო აღზრდილი. უდაოა ისიც, რომ პარიზში მცხოვრები მხატვრისთვის პარიზული სკოლის მიმდინარეობისთვის ჩვეული პლასტიკური ფორმის დეფორმაცია, ფერწერის დეკორატიულ-სიბრტყობრივი მანერა, კარგად ნაცნობ მხატვრულ ხერხებს წარმოადგენდა.

გრაფიკულ ციკლში „ძველი თბილისი“ ბ. რომანოვსკი ცვლის ხატვის რეალისტურ მანერას და მიმართავს გროტესკს, ფორმის გაზიადებას და მის ხაზგასმულ დეფორმაციას. იგი დიდ ყურადღებას აქცევს კინტოების და ყარაჩოხელების მოძრაობის პლასტიკას. ეს ის თვისებებია, რომლებიც ბ. რომანოვსკის შემოქმედებას ლ. გუდიაშვილის მხატვრულ ხედვასთან აახლოევებენ. ეს სიახლოვე ბ. რომანოვსკის ნახატებისა ლ. გუდიაშვილთან უფრო გარეგნულია და სახვითი ენის მსგავსებით შემოიფარგლება, ხოლო




პორტი რომანოვსკი — „დაკლული ფრინველებით ვაზონება“



მათი მხატვრული პოზიცია მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთო-საგან. ლ. გუდიაშვილის გმირები მხატვრის ფანტაზიით შექმნილ გარემოში არსებობენ. ამ სურა-თებში ძველი თბილისის წარმავა-ლი ცხოვრების მიმართ სევდაა გამოხატული. ლ. გუდიაშვილი კინტოების, ყარაჩოხელების და ქალების სახეების შექმნის დროს იყენებს დეფორმაციას, მოძრაო-ბის გაზვიადებულ პლასტიკას, ეს სახვითი ხერხები მხატვარს სახე-თა სულიერი სიმარტოვის და ტრაგიზმის გადმოცემაში ეხმა-რება. ბ. რომანოვსკი ლ. გუდიაშ-ვილისაგან განსხვავებით, თბი-ლისის ყოველი კუთხე-კუნჭულის ობიექტურად ფიქსირებას ცდი-ლობს. მისთვის ამა თუ იმ სცენის დამაჯერებელი გარეგნული ასახ-ვაა მნიშვნელოვანი. მხატვარი განსაკუთრებული სიყვარულით გადმოგცემს ყოფით დეტალებს, გულისყურით აფიქსირებს არქი-ტექტურას, ცდილობს ზუსტად დაახასიათოს გარემო. მას იტა-ცებს თბილისის ვინრო ქუჩები, პატარ-პატარა უსისტემოდ ნაშე-ნი სახლები და ხის აივნების ათას-გვარი მოხაზულობა. მხატვარი თითქმის ერთნაირი ყურადღებით გადმოგცემს როგორც ადამიანთა საქმიანობას, ასევე მათი მოქ-მედების გარემოს. ბ. რომანოვს-კის არც ლ. გუდიაშვილის ნამუშე-ვართა მონუმენტური მასშტაბუ-რობა გააჩნია. ბ. რომანოვსკის მცირე ზომის სურათები კამერუ-ლი უანრული ხასიათისაა. მხატ-ვარი ყველა საგანს ფორმის შე-მომსაზღვრელი კონტურით გა-მოჰკვეთს, რაც გამოსახულებებს სიბრტყესთან აახლოვებს და მათ დეკორაციულ ხასიათს ანიჭებს.

გრაფიკული ციკლის ყოველ სუ-რათში ბ. რომანოვსკი კადრის შერჩევის განსაკუთრებულ ხერხს მიმართავდა. იგი უეცრად კვეთ-და კომპოზიციის ცალკეულ დე-ტალს და ამით აძლიერებდა შეჩე-რებული მომენტის შთაბეჭდილე-ბას. ასეთია ციკლის ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელი „მრეცხავი ქურთი ქალები“.

## ბორის რომანოვსკი — „ქარავანი“



შდერადობის გადამწყვეტი ნაწილია.

ბორის რომანოვსკის მიერ შეს-რულებული გრაფიკული ციკლი „ძევლი თბილისი“ მაღალი მხატ-ვრული დონით გამოირჩევა. იგი ბევრი ნიშნით ეხმანება ვ. ხოჯა-ბეგოვისა და ო. შმერლინგის ნა-ნარმოებებს. ეს თანხვედრა, უპი-რველეს ყოვლისა, საერთო თემა-ტიკაში მუდავნდება. სამივე მხატ-ვარს თბილისის ბოჟემა, მისი და-ბალი მრავალფეროვანი სოცია-ლური ფენა და ძევლი აზიური უბ-ნები აინტერესებს. სწორედ ქალა-ქის ამ ნაწილში ხედავდნენ ისინი შთაგონების წყაროს და თბილის-ისათვის დამახასიათებელი ცხო-ვრების ყაიდას.

მათ ბევრი აქვთ საერთო სახვი-თი ენის მხრივაც. სამივე ოსტა-ტისთვის უმთავრესი ხაზია, მისი გამომსახველობა და პლასტიკუ-რობა. სამივე მხატვარი მიისწრა-ფის ტიპიურისაკენ, მაგრამ ვ. ხო-ჯაბეგოვისთვის ტიპიური მისი ახლობელი უბრალო ხალხის წრი-დან გამოსული იდილიზირებული გმირია, ო. შმერლინგი ყოველით შორიდან აკვირდება თბილი-სის დაბალ ფენას და კარიკატუ-რული ელემენტების გაძლიერე-ბით თბილისელი მოქალაქეების ტიპებს ქმნის. ბორის რომანოვს-კისთვის კი, არსებობდა გარკვეუ-ლი, ეგზოტიკური თბილისის პერ-სონაჟები, რომლებიც მის ნახა-ტებში უფრო მეტად მოძრაობის პლასტიკით, ატრიბუტების გა-მოვლენით და ფორმათა დეფორ-მაციითაა გადმოცემული.

ვ. ხოჯაბეგოვის, ო. შმერლინ-გის და ბ. რომანოვსკის ნანარმო-ებები XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული სახვითი ხე-ლოვნების, ყოფითი უანრის ჩამო-ყალიბების რთულ პროცესში გარკვეულ როლს თამაშობდნენ. ამ მხატვართა შემოქმედებითი ძიებები თანხვედება იმდროინდე-ლი ქართული სახვითი ხელოვნე-ბის განვითარების პროცესს და ჩვენი ეროვნული კულტურის ნა-ნილს ნარმოადგენს.

**დალი ლეხანიძე**



როსარ შვერლიგები — კელი მზაილისის სულათები

© 1988



ISSN 1987-5908



9 771 987 590006